შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ნუტრიმაქსი“

(საიდენტიფიკაციო კოდი: 206330709)

ობლიგაციების წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი

წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს შეთავაზების პირობებს მისი რეგისტრირების თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს ობლიგაციის შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 10,000,000 (ათი მილიონ) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის (შემდგომში - „კუპონი“, ან „პროცენტი“ ან „საპროცენტო სარგებელი“) და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების, მათ შორის გამოსყიდვის ოფციის უფლებების მქონე, არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი, დემატერიალიზებული ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) შეთავაზების პირობები. საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება პროსპექტის დამტკიცებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდის დასახელება	შპს „ნუტრიმაქსის“ (“**ემიტენტი**“, „**კომპანია**“) არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „ნუტრიმაქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206330709) **იურიდიული მისამართი**: ლ.ღოღობერიძის 67 ბ, ქ. თბილისი **ფაქტობრივი მისამართი:** ლ.ღოღობერიძის 67 ბ, ქ. თბილისი **ელ. ფოსტა:** info@nutrimax.ge **ვებ-გვერდი:** www.nutrimax.ge **ტელეფონი:** (+995 32) 2 30 53 35
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206) **მისამართი:** საქართველო, თბილისი 0108, პუშკინის ქ. N3 **ელ-ფოსტა:** st@gt.ge **ვებ-გვერდი:** https://galtandtaggart.com/en **ტელეფონი:** (+995 32) 2 44 01 11
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 **ელფოსტა:** info@nbg.gov.ge **ვებგვერდი:** www.nbg.gov.ge **ტელ:** (+995 32) 2 40 64 06 **ფაქსი:** (+995 32) 2 40 65 77
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	19 მაისი, 2026 წელი

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს "ნუტრიმაქსი" (ს/ნ: 206330709)

ხელმოწერილია შპს „ნუტრიმაქსის" სახელით:

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ბექა ბექაია

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 14.05.2026

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: გიორგი ჩიტაიშვილი

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 14.05.2026

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის" სახელით:

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ქეთევან თოიძე

თანამდებობა: დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა:

თარიღი: 14.05.2026

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი (კუპონი)	ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და შეადგენს წლიურად [8.00 – 8.50]%-ს. საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონი) დადგენა ხდება ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building).
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების და განთავსების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 360 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ორჯერ საორიენტაციოდ 29 ნოემბერსა და 29 მაისს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2026 წლის 29 ნოემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	„ემიტენტს“ საკრედიტო რეიტინგი აღებული არ აქვს.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2028 წლის 29 მაისი.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

	“ემიტენტი” აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების პირობებს. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE | Listing Rules. თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE | Listing Rules.
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაცია წარმოადგენს „კომპანიის“ არასუბორდინირებულ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდების გაცემის პოლიტიკა	გთხოვთ, გაეცნოთ კომპანიის დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში - „დივიდენდის გაცემის პოლიტიკა“.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	10,000,000 აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), საორიენტაციო დაფარვის ვადით 2028 წლის 29 მაისი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია.
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) აშშ დოლარი
ობლიგაციების რაოდენობა	10,000 (ათი ათას) ცალამდე.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარამდე.
ობლიგაციების გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება საორიენტაციოდ 2026 წლის 29 მაისს.
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა 2026 წლის 9 მაისის საერთო კრების გადაწყვეტილებით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი.
გამოსყიდვის ოფცია	„ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად დადგენილ შემთხვევებში, „ობლიგაციებს“ გააჩნია გამოსყიდვის ოფცია, „ობლიგაციების“ განთავსებიდან ნებისმიერ დროს. „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 102%-ს გამოშვების თარიღიდან 1 წლამდე, 101%-ს გამოშვების თარიღიდან 1 წლის შემდეგ, 100.5%-ს დაფარვის თარიღამდე ბოლო 6 თვიდან 3 თვემდე, 100%-ს დაფარვის თარიღამდე ბოლო 3 თვის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, რასაც ემატება ვადაზე ადრე გამოსყიდვის თარიღზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2028 წლის 29 მაისს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს. ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები“.
კალკულაციის და გადახდის აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206).
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი - 10. „დეფოლტის შემთხვევები“).

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრები მოხმარდება სესხების რეფინანსირებასა და კაპიტალურ დანახარჯებს. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“).
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ფინანსურ ინსტიტუტებსა და კომპანიის აქციონერებზე.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 2.0%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

- **კავშირი განთავსების აგენტებს და პოტენციურ ინვესტორებს შორის**

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტთან“, კერძოდ, „განთავსების აგენტისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, მეორე მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ნუტრიმაქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206330709)

არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების

ემისიის პროგრამის პროსპექტი

10,000,000 (ათი მილიონ) აშშ დოლარის ექვივალენტამდე ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით, ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად. თითოეული ემისიისთვის (პირველი ემისიის თარიღს აზუსტებს აღნიშნული ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების დოკუმენტი, ხოლო შემდგომი ემისიების გამოშვების თარიღი დაზუსტდება შესაბამისი შეთავაზების დოკუმენტის საშუალებით) თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ათასი) ერთეული შესაბამის ვალუტაში; შესაბამისი ემისიის ვალუტა დაზუსტდება მისი „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთი შემდეგთაგანი: ევრო ან აშშ დოლარი. თითოეული ემისიისთვის ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

შპს „ნუტრიმაქსი“ (შემდგომში **„კომპანია“, „ემიტენტი“**) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს "ნუტრიმაქსი" (ს/ნ: 206330709)

პასუხისმგებელი პირის განცხადება:

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *"ემისიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე".*

ხელმოწერილია შპს „ნუტრიმაქსის "სახელით:

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ბექა ბექაია

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 14.05.2026

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: გიორგი ჩიტაიშვილი

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 14.05.2026

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის" სახელით:

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ქეთევან თოიძე

თანამდებობა: დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა:

თარიღი: 14.05.2026

<u>მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:</u>

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში **„პროსპექტი“**) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, 0114, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩევლები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინა მდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩევლები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციის და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევს არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსებისა და კალკულაციისა და გადახდის აგენტი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა „კომპანიისა“, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით (ა) რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან (ბ) რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტს სს „გალტ ენდ თაგარტს“: (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0108, პუშკინის ქ. N3, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში **„განთავსების აგენტი“**)და შპს „ნუტრიმაქსს“ (შემდგომში **„კომპანია“** ან **„ემიტენტი“**), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან/და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი

გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ დამტკიცებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ	დამტკიცების თარიღი
Ekaterine Mikabadze 01017014956 Digitally signed by Ekaterine Mikabadze Date: 2026.05.19 13:36:23	19 მაისი, 2026 წელი.
_____	_____

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა 16

შესავალი 16

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ 20

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 25

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ 34

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება 35

სარეგისტრაციო დოკუმენტი 36

კომპანიის მიმოხილვა და ისტორია 38

„კომპანიის“ ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები 39

საწარმოო სიმძლავრეები და ხარისხის კონტროლი 41

ბიზნესის სეზონურობა 41

ორგანიზაციული სტრუქტურა 42

ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები 43

სამომავლო სტრატეგია და მიზნები 44

ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსებისა და ტექნოლოგიების შესახებ 44

ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები 45

ძირითადი ბრენდები და მარკეტინგული პროგრამა 48

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები 51

დაზღვევა 52

ინვესტიციები 52

ინდუსტრიის აღწერა 54

ცხოველების საკვების ბაზრის ზომა 54

ტოპ კომპანიები 56

ცხოველების საკვების იმპორტი 58

ცხოველების საკვების ექსპორტი 59

საცალო ფასები 60

რეგულაცია 60

კონკურენტული პოზიცია 61

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა 62

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 62

საოპერაციო შედეგები 70

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 75

კაპიტალიზაცია და დავალიანება 81
„ემიტენტის“ განცხადებები 87
რისკის ფაქტორები 88
ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები 88
ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები 98
შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები 104
მარეგულირებელი გარემო 110
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი 119
ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი 124
საჩივრის შესახებ განცხადება 125
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 126
სასამართლო დავები 127
ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა 128
გამოყენებული წყაროები 129
სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი 129
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა 130
ობლიგაციების გამოშვების პირობები 133
1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება 133
2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება 134
3. სტატუსი 137
4. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დანიშვნა 137
5. დათქმები 137
6. საპროცენტო სარგებელი 143
7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა 145
8. გადახდები 147
9. დაბეგვრა 149
10. დეფოლტის შემთხვევები 149
11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა 151
12. აღსრულება 154
13. პუნქტის ბათილობა 154
14. შეტყობინებები 155

15. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია 156
16. ტერმინთა განმარტებები 157
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში 164

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „ნუტრიმაქსის“ („**ემიტენტი**“, “**კომპანია**“) არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „ნუტრიმაქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206330709) **იურიდიული მისამართი:** ლ.ღოღობერიძის 67 ბ, ქ. თბილისი **ფაქტობრივი მისამართი:** ლ.ღოღობერიძის 67 ბ, ქ. თბილისი **ელ. ფოსტა:** info@nutrimax.ge **ვებ-გვერდი:** www.nutrimax.ge **ტელეფონი:** (+995 32) 2 30 53 35
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ ((საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206) **მისამართი:** ქ. თბილისი 0108, პუშკინის ქუჩა N3 **ელ.ფოსტა:** gt@gt.ge; sales@gt.ge **ვებ-გვერდი:** https://galtandtaggart.com/en **ტელეფონი:** +995 322 401 111
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 **ტელ:** (995 32) 240 6406 **ფაქსი:** (995 32) 240 6577 **ელფოსტა:** info@nbg.gov.ge **ვებგვერდი:** www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	19 მაისი, 2026 წელი.
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

„ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი

ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი".

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩევლებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

სამომავლო განცხადებები

წინამდებარე „პროსპექტში" მოცემული განცხადებების ნაწილი შესაძლებელია წარმოადგენდეს **„სამომავლო განცხადებებს".** სამომავლო განცხადებები შეიცავს განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის" გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას, რომელიც არ წარმოადგენს ისტორიულ ინფორმაციას.

ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მოსალოდნელი“, „სავარაუდო“, „მიზანი“, „პოტენციური“, „ელის“, „სჯერა“, „მიზნად ისახავს“, „ვარაუდობს“ „შეიძლება“, „სურს“, „შესაძლებელია“, „გეგმა“, „მიღწევა“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გამოხატავს სამომავლო განცხადებებს, მაგრამ არ არის ერთადერთი საშუალება ამგვარი განცხადებების იდენტიფიცირებისთვის.

თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, სამომავლო განცხადებები შეიცავს დამახასიათებელ რისკებს და გაურკვევლობებს, როგორც ზოგადს, ასევე კონკრეტულს, და არსებობს რისკი, რომ ვარაუდები, პროგნოზები და სხვა სამომავლო განცხადებები ვერ იქნება მიღწეული. აღნიშნული რისკები, გაურკვევლობები და სხვა ფაქტორები, მათ შორის, მოიცავს „რისკის ფაქტორებში“ და ასევე „პროსპექტის“ სხვა ნაწილებში ჩამოთვლილ ფაქტორებს. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლებელია გამოიწვიოს ფაქტობრივი შედეგები, რომლებიც არსებითად განსხვავდება სამომავლო განცხადებებში მოცემული გეგმებისგან, მიზნებისგან, მოლოდინებისგან, ვარაუდებისგან და განზრახვებისგან.

შესაბამისად, ინვესტორები ზედმეტად არ უნდა დაეყრდნონ სამომავლო განცხადებებს და, სამომავლო განცხადებების განხილვისას, ფრთხილად უნდა გაანალიზონ აღნიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვევლობები და მოვლენები. წინამდებარე „პროსპექტში“ სამომავლო განცხადებები მოცემულია „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისათვის არსებული მდგომარეობით. „კომპანია“ არ იღებს ვალდებულებას განაახლოს ან შეასწოროს რომელიმე მათგანი (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების ან სხვა საფუძვლით), გარდა გამოსაყენებელი სამართლით განსაზღვრული შემთხვევებისა. „კომპანია“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას ან ვარაუდს და არ იძლევა რაიმე გარანტიას, რომ სამომავლო განცხადებებით ნავარაუდები შედეგები მიღწეულ იქნება, და ამგვარი სამომავლო განცხადებები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს რამდენიმე მოსალოდნელი სცენარიდან ერთ-ერთს და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ყველაზე მეტად მოსალოდნელი ან სტანდარტული სცენარი. წინამდებარე გამაფრთხილებელი განცხადებები ეხება „კომპანიის“ ან „კომპანიის“ სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ გაკეთებულ ყველა სამომავლო განცხადებას და ასევე წინამდებარე „პროსპექტში“ მოცემულ, მესამე პირების მიერ გაკეთებულ ნებისმიერ პროგნოზს.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;

iv. შეეძლოს ობლიგაციების შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;

v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ "როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს."

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

ემიტენტი არის შპს „ნუტრიმაქსი“ (ს/ნ 206330709). იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ლ.ღოღობერიძის 67 ბ, ქ. თბილისი. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@nutrimax.ge

ვებ-გვერდი: www.nutrimax.ge

ტელეფონი: (+995 32) 2 30 53 35

შპს „ნუტრიმაქსი“ საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 2009 წლიდან და წარმოადგენს შინაური ცხოველების, ფრინველებისა და აკვაკულტურის საკვების ერთ-ერთ წამყვან მწარმოებელ კომპანიას რეგიონში. კომპანია ლიდერ პოზიციას იკავებს საქართველოში კომბინირებული საკვების, საკვები დანამატებისა და კვების ტექნოლოგიების მიწოდების მიმართულებით.

ნუტრიმაქსი დაარსების დღიდან არის უმსხვილესი ჰოლანდიური კომპანია Trouw Nutrition-ის პარტნიორი, რომლისგანაც იღებს როგორც უმაღლესი ხარისხის საკვებ დანამატებს, ასევე, მუდმივად განახლებად თანამედროვე ცოდნას კვების ტექნოლოგიასა და ფერმის მენეჯმენტში.

კომპანია ფლობს ფერმის ცხოველებისა და ფრინველების საკვების (feed mill) საწარმოს, რომლის წლიური საწარმოო სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 84 ათას ტონას.

2021 წლის აგვისტოში შპს „ნუტრიმაქსმა“ დააფუძნა მისი ერთადერთი შვილობილი კომპანია — შპს „ნუტრიმაქს პეტფუდი“ (შემდგომში – „შვილობილი კომპანია“ ან „პეტფუდი“), რომელიც ფლობს რეგიონში ერთადერთ მაღალტექნოლოგიურ ექსტრუდირებული საკვების საწარმოს კომპანიონი ცხოველებისთვის (ძაღლი და კატა) და თევზებისთვის, წლიური საწარმოო სიმძლავრით 24 ათასი ტონა. აღნიშნული საწარმო ექსპლუატაციაში შევიდა 2023 წლის გაზაფხულზე და 2025 წლის მდგომარეობით საქართველოს შინაური ცხოველების საკვების ბაზარზე ლიდერი პოზიცია დაიკავა.

შვილობილი კომპანიის მიერ წარმოებული პეტფუდის პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ექსკლუზიურად შპს „ნუტრიმაქსის“ მიერ. “ნუტრიმაქსის” ბიზნეს მოდელი ძირითადად ეფუძნება სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით გაყიდვებს. ასევე, დისტრიბუტორების პარალელურად კომპანიას ჰყავს კორპორატიული კლიენტები. კომპანია არ ფლობს საცალო რეალიზაციის მაღაზიებს, რაც ამცირებს ფიქსირებულ ხარჯებს და ზრდის ოპერაციულ მოქნილობას.

ადგილობრივ რეალიზაციასთან ერთად, კომპანია აქტიურად არის წარმოდგენილი უცხო ქვეყნის ბაზრებზე. მიმდინარედ, “კომპანიის” პროდუქციის ექსპორტი ხდება 5 ქვეყანაში. ესენია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, მოლდოვა.

<u>პროდუქტის ასორტიმენტი</u>

ნუტრიმაქსის ბიზნეს-მიმართულებები იყოფა 2 ძირითად კატეგორიად:

1. **Nutrimax Feed** - ფერმის ცხოველების და ფრინველების და თევზების საკვების მიმართულება, რომლის ასორტიმენტში შედის:
   - ბროილერის მზა საკვები
   - ღორის მზა საკვები
   - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მზა საკვები
   - თევზის საკვები
   - ბროილერის კონცენტრატი
   - ღორის კონცენტრატი
   - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კონცენტრატი
   - სხვა ცხოველების მზა საკვები (ბოცვერი, მწყერი, ინდაური, მეკვერცხული ქათამი და სხვა)

2. **Nutrimax Pets** - კომპანიონი ცხოველების საკვების მიმართულება, რომელიც აწარმოებს:
   - ძაღლის მშრალი საკვებს
   - კატის მშრალი საკვებს

„კომპანიის“ მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და ბრენდების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ძირითადი ბრენდები და მარკეტინგული პროგრამა“.

კომპანიის პარტნიორები და ბენეფიციარი მფლობელები

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა და საბოლოო ბენეფიციარები წარმოდგენილია გრაფიკზე:



ემიტენტის საბოლოო ბენეფიციარების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტის „საბოლოო ბენეფიციარები“ ქვეთავში.

ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

2008 - დაარსდა შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯია“;

2009 - კომპანიამ დაიწყო ფუნქციონირება და მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებს შესთავაზა თანამედროვე, დაბალანსებული მზა საკვები და კონცენტრატები;

2010-2015: ბაზარზე გამოჩნდა ნუტრიმაქსის ბრენდები: Broiler Max, Pig Max, Milk Max, Beef Max და სხვა. ნუტრიმაქსი ჩამოყალიბდა ლიდერ კომპანიად საქართველოში ფერმერული ცხოველებისთვის მზა საკვებისა და კონცენტრატების წარმოების მიმართულებით;

2016 – „ნუტრიმაქსმა“ გახსნა ახალი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ევროპული სტანდარტების საკვების დამამზადებელ ქარხანა, რომლის წარმადობა წელიწადში აღემატება 84 000 ტონას;

2017 - კომპანიამ მიიღო ISO 22000:2005 სერტიფიკატი, ხოლო 2020 წლიდან გადავიდა ISO 22000:2018 ვერსიაზე;

2022 - აშენდა ექსტრუდირებული საკვების თანამედროვე საწარმო, დაიწყო კომპანიონი ცხოველების (ძაღლი, კატა) და თევზის საკვების წარმოება;

2023 - ექსპლუატაციაში შევიდა ნუტრიმაქს პეტფუდის ახალი საწარმო რომლის საწარმოო სიმძლავრე შეადგენს 24,000 ტონას წელიწადში;

„ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების“ შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ იმავე სახელწოდების ქვეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტში“.

მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით

<u>ცხოველების საკვების ბაზრის ზომა</u>

საქართველოში ცხოველების საკვების ბაზრის მოცულობა ბოლო 5 წელიწადში გაორმაგდა და 361 მლნ ლარი შეადგინა 2025 წელს. ბაზრის 58.5%ადგილობრივი წარმოებაა, ხოლო 41.5% იმპორტი. 2025 წელს, ჯამურად ბაზრისთვის მიწოდებული პროდუქციის 7.9% გავიდა ექსპორტზე, ხოლო 92.1% იყო ადგილობრივი მოხმარება. აღსანიშნავია, რომ იმპორტის საშუალო ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივი წარმოების, რაც უშუალოდ პროდუქციის განსხვავებით აიხსნება.

ცხოველების საკვებში შედის როგორც ფერმის ცხოველების საკვები, ასევე კომპანიონი შინაური ცხოველების საკვები. ბაზრის მოთხოვნას და მომავალ ზრდას განაპირობებს ფერმების აქტიურობა და ცხოველთა რაოდენობა, ასევე კომპანიონი შინაური ცხოველების რაოდენობის ზრდა. 2018-25 წლებში გაიზარდა ხორცზე მოთხოვნა და შესაბამისად, გაიზარდა ფერმის ცხოველებზე მოთხოვნაც.

დიაგრამა 1: ცხოველების საკვების ჯამური მიწოდება, მლნ ლარი

დიაგრამა 2: ცხოველების საკვების ჯამური მოთხოვნა, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

<u>ტოპ კომპანიები</u>

ცხოველების საკვების მწარმოებელი კომპანიების შემოსავალი 2018-25 წლებში სწრაფი (24.6% CAGR) ტემპით იზრდებოდა და 2025 წელს 210 მლნ ლარი შეადგინა.

დღეს ბაზარზე 94 კომპანია ოპერირებს.

ტოპ 5 კომპანიას 2024 წელს ბაზრის 80.4% ეკავათ . ტოპ-5 კომპანიაა:

- ნუტრიმაქსი (ბაზრის 48.1%);
- ინვეტ ფიდი (ბაზრის 22.4%);
- აგრო ლუქსი (ბაზრის 5.3%);
- სმარტ ფიდი (ბაზრის 3.6%);
- აგრო უნივერსალი (ბაზრის 1.0%);

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - *„ინდუსტრიის აღწერა“.*

„ემიტენტის“ მენეჯმენტი და ძირითადი მმართველი გუნდი

გიორგი ჩიტაიშვილი - დირექტორი

„ემიტენტის“ კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ *„მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.*

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია". ს/ნ: 211325056. მისამართი: 0177, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41.

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში კომპანიის ფინანსური აუდიტორი არ შეცვლილა.

„ემიტენტის" დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი.

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები:

განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206); მისამართი: ქ. თბილისი 0108, პუშკინის ქუჩა N3; ელ.ფოსტა: gt@gt.ge; sales@gt.ge; ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en; ტელეფონი: (+995 32) 2 401 111.

კომპანიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სს „გალტ ენდ თაგარტთან" („განთავსების აგენტი"). ხელშეკრულება სს „გალტ ენდ თაგარტს" ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერრაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე (Best Effort-ის პირობებში). განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. გალტ ენდ თაგარტის, როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტის მოვალეობაა კუპონისა და ძირითადი თანხის კალკულაცია და ანგარიშსწორება.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი" და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების" ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი", რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტთან", კერძოდ, „განთავსების აგენტისა" და სს „საქართველოს ბანკის" საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC". ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის" კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს". ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა" და „ემიტენტს", მეორე მხრივ, „განთავსების აგენტსა" და სს „საქართველოს ბანკს" შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა" და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს" მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს" კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს", ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების" შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის" შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით" არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი" და არა „განთავსების აგენტი".

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც 2024 და 2023 წლებისთვის ეფუძნება ემიტენტის აუდიტირებულ IFRS კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, ხოლო 2025 წლის მონაცემები წარმოდგენილია IFRS მენეჯერულ ანგარიშგებებზე დაყრდნობით. 2024 და 2023 წლებისთის, აუდიტის დასკვნის ტიპი არის არამოდიფიცირებული.

2025 წლის 31 დეკემბრიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:[1]

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება, ძირითადი მაჩვენებლები	**2025**	**2024**	**2023**
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	**91,502**	**80,381**	**75,626**
საერთო მოგება	**17,709**	**15,552**	**16,080**
საერთო მოგების მარჟა	*19.4%*	*19.3%*	*21.3%*
საოპერაციო ხარჯები	(11,732)	(10,358)	(9,873)
EBITDA	**7,933**	**7,117**	**7,681**
EBITDA მარჟა	*8.7%*	*8.9%*	*10.2%*
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,957)	(1,923)	(1,474)
EBIT	**5,976**	**5,194**	**6,207**
EBIT მარჟა	*6.5%*	*6.5%*	*8.2%*
ფინანსური და სხვა ხარჯები	(2,337)	(2,556)	(2,247)
მოგება დაბეგვრამდე	**3,639**	**2,638**	**3,960**
მოგების გადასახადის ხარჯი	(197)	(341)	(294)
მიმდინარე წლის მოგება	**3,442**	**2,297**	**3,666**

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ძირითადი მაჩვენებლები	**31-დეკ-2025**	**31-დეკ-2024**	**31-დეკ-2023**
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
გრძელვადიანი აქტივები	25,767	25,274	24,503
მოკლევადიანი აქტივები	23,358	17,774	18,322
სულ აქტივები	**49,125**	**43,048**	**42,825**
გაუნაწილებელი მოგება	14,096	12,749	13,004
სულ საკუთარი კაპიტალი	**14,096**	**12,749**	**13,004**
გრძელვადიანი ვალდებულებები	1,357	6,503[2]	10,316
მოკლევადიანი ვალდებულებები	33,672	23,796	19,505
სულ ვალდებულებები	**35,029**	**30,299**	**29,821**

მიღებული სახსრების გამოყენება და შეთავაზების მიზეზების აღწერა

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) საწყობის მშენებლობის დაფინანსებასათვის ii) არსებული ფინანსური ვალდებულებების რეფინანსირებასთვის. დეტალური ინფორმაცია

[1] სრული 2024 და 2023 წლებისთვის გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, თუმცა გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენელი ველების გაერთიანებას / ჯამს

[2] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

„ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2024 და 2023 წლებზე დათვლილია აუდიტირებული რიცხვების გამოყენებით, ხოლო 2025 წლისთვის, „ემიტენტის“ მენეჯერული ფასს ანგარიშგების გამოყენებით. ფინანსური კოეფიციენტები დათვლილი და წარმოდგენილია პროსპექტის მიმართ არსებული მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და არ წარმოადგენს აუდიტირებული ანგარიშგებების ნაწილს.

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის“ მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

1	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	2025 (პრო-ფორმა)	2025 (მენეჯერული)	2024[3] (აუდიტირებული)	2023 (აუდიტირებული)
1.1	ფინანსური ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა	2.17	2.05	1.99	2.00
1.2	ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან	3.85	3.65	3.57	3.38
1.3	წმინდა ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან	3.83	3.62	3.46	3.30
1.4	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.60	0.59	0.59	0.61
1.5	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	2.13	2.13	2.45	3.17
1.6	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) - სუბსიდიების გამოკლებით	2.01	2.01	1.82	2.05

2	მომგებიანობის კოეფიციენტები	2025 (პრო-ფორმა)	2025 (მენეჯერული)	2024 (აუდიტირებული)	2023 (აუდიტირებული)
2.1	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROAA)	7.3%	7.5%	5.3%	9.1%
2.2	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROAE)	25.6%	25.6%	17.8%	29.1%
2.3	ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)	19.4%	34.4%	24.4%	26.2%
2.4	საერთო მოგების მარჟა	19.4%	19.4%	19.3%	21.3%
2.5	EBITDA მარჟა	8.7%	8.7%	8.9%	10.2%
2.6	EBIT მარჟა	6.5%	6.5%	6.5%	8.2%
2.7	წმინდა მოგების მარჟა	3.8%	3.8%	2.9%	4.8%

3	ლიკვიდურობის კოეფიციენტები	2025 (პრო-ფორმა)	2025 (მენეჯერული)	2024 (აუდიტირებული)	2023 (აუდიტირებული)
3.1	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	0.43	0.11	0.14	0.21
3.2	მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	2.80	0.69	0.75	0.94
3.3	საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	-0.04	-0.01	0.28	0.14
3.4	საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	20.34	-11.20	-22.31	73.25
3.5	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, CF Based)	1.01	1.01	1.04	1.05
3.6	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based)	1.16	1.16	1.84	3.09

[3] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი. აღნიშნული ვალდებულებების სწორად, მიმდინარე ნაწილში კლასიფიცირებით, 2024 წლისთვის გარკვეულ კოეფიციენტების შესრულება იქნებოდა შემდეგი: ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE) – 27.5%; ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები - 0.12; მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი - 0.62; საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტები - 0.23; საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი - (13.38)

4	საოპერაციო კოეფიციენტები	2025 (პრო-ფორმა)	2025 (მენეჯერული)	2024 (აუდიტირებული)	2023 (აუდიტირებული)
4.1	მარაგების ბრუნვის დღეები (DIO)	75.9	75.9	71.2	73.0
4.2	დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO)	12.1	12.1	14.0	16.2
4.3	სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO)	22.6	22.6	19.3	21.9
4.4	ფულის ამოღების ციკლი (CCC)	65.4	65.4	65.8	67.3
4.5	ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი	3.71	3.84	3.55	3.68
	წინამდებარე პროსპექტით გამოსაშვები ობლიგაციების კოვენანტები	**2025 (პრო-ფორმა)**	**2025 (მენეჯერული)**	**2024 (აუდიტირებული)**	**2023 (აუდიტირებული)**
5.1	ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან [ლიმიტი: <=4.0]	3.44	3.15	3.07	2.88
5.2	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based)[4] [ლიმიტი: >=1.2]	0.04	0.04	0.79	-0.52

Pro-Forma სცენარი:

Pro Forma მოიცავს ემიტენტის მიერ 10 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ობლიგაციების ემისიის ეფექტს, რომლის მიზნობრიობა არის:

საწყობის მშენებლობის დაფინანსებასა და არსებული ფინანსური ვალდებულებების რეფინანსირებას. pro-forma ეფექტი ითვალისწინებს გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების 0.6 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტით ზრდას, ხოლო 9.4 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების გრძელვადიანში გადატანას.

პრო-ფორმა კოეფიციენტების კალკულაციის მიზნებისთვის კორექტირებები განხორციელებულია მხოლოდ საბალანსო უწყისში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე, ხოლო მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და სხვა რიცხვები წარმოდგენილია უცვლელად. მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მონაცემები არ დაკორექტირებულა, ვინაიდან ემისიის ეფექტი აღნიშნულ მაჩვენებლთან მიმართებით არის სუბიექტური. ამასთან, ისეთი კოეფიციენტები, რომელთა ეფექტების ჩვენებაც არარელევანტურია ან სუბიექტურ დაშვებაზეა დამოკიდებული, არ არის კორექტირებული ემისიის ეფექტით.

თუკი ვერ მოხდება ობლიგაციების სრულად განთავსება, კომპანია არსებული მიმდინარე ვალდებულებების გადაფარვას შეძლებს ბალანსზე არსებული ფულითა და ფულის ექვივალენტებით, პერიოდის განმავლობაში დაგენერირებული EBITDA-თი, არსებული აუთვისებელი დამტკიცებული სესხებიდან ან/და კომერციული ბანკებისგან სესხის აღებით.

ზოგადი შენიშვნები:

EBIT – საერთო მოგებას გამოკლებული გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები, გამოკლებული საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

EBITDA - EBIT-ს დამატებული გაყიდვების თვითღირებულებასა და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებს მიკუთვნებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი;

შენიშვნა შერჩეულ კოეფიციენტებზე:

საბრუნავი კაპიტალი/ლიკვიდურობის კოეფიციენტები - 2023, 2024 და 2025 წლებისთვის "კომპანიის" მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე (საბრუნავი კაპიტალი - 2023: (1,183) ათასი ლარი, 2024: (6,022) ათასი ლარი, 2025: (10,314) ათასი ლარი). აღნიშნული მეტწილად გამომდინარეობს კომპანიის საკრედიტო ხაზებზე/მოკლევადიან სასესხო დაფინანსებაზე დამოკიდებულებიდან. დამატებით, 2025 წლის მოცემულობით, „კომპანია" არღვევდა

[4] აღნიშნული ფინანსური კოვენანტი ამოქმედდება ობლიგაციების ემისიის შემდგომ და ობლიგაციების დათქმების მიხედვით, შემოწმება მოხდება მხოლოდ დივიდენდების გაცემის მიზნობრიობით.

“ბაზისბანკთან” ხელშეკრულებით გათვალისწინებულ DSCR და ICR კოვენანტებს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, „კომპანიას“ ბანკისგან მოპოვებული აქვს გათავისუფლების წერილი (waiver letter). გათავისუფლების წერილი კომპანიას მიღებული აქვს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, 2026 წელს 4 თებერვალს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ “ბაზისბანკს” არ განუხორციელებია ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრული უფლებები, კომპანიამ 2025 წლის ანგარიშგებაში, ბანკისადმი ვალდებულებები დააკლასიფიცირა როგორც მიმდინარე.

ობლიგაციების ემისიით, კომპანია მიზნად ისახავს მოკლევადიანი დაფინანსების ჩანაცვლებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კომპანიის ლიკვიდურობას, როგორც ეს ჩანს pro-forma სცენარში.

საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტები - 2023 და 2024 წლებში, კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე, ხოლო 2025 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი უარყოფითია. უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები მეტწილად გამოწვეულია კომპანიის მიერ საოპერაციო მოგების საბრუნავ კაპიტალში/მარაგებში ჩასხმით. 2020-2022 წლის პანდემიის და უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, კომპანიამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მინიმალური მარაგების დონეს, ასევე 2023 წელს პეტფუდის საწარმოს გახსნის შემდეგ, კომპანიას ეტაპობრივად ემატებოდა პროდუქტები და ხაზები (თევზის სახეობები, ძაღლის და კატის საკვების ბრენდები), რამაც დამატებითი სახსრების მობილიზების საჭიროება გამოიწვია საბრუნავ საშუალებებში, ამიტომ საოპერაციო მოგების დიდი ნაწილი სამუშაო კაპიტალის დაფინანსებას ხმარდებოდა.

EBIT და EBITDA მარჟები - 2023 წლის მდგომარეობით EBIT მარჟა შეადგენდა 8.2%-ს, რაც 2024 წლის მოცემულობით 6.5%-მდე შემცირდა და 2025 წლისთვის იმავე ნიშნულზე შენარჩუნდა. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა EBITDA მარჟაში, რომელიც 2023 წლის მდგომარეობით 10.2%-ს შეადგენდა. 2024 წლის მდგომარეობით მარჟა 8.9%-მდე შემცირდა, ხოლო 2025 წლისთვის 8.7%-მდე.

აღნიშნული შემცირება ნაწილობრივ გამოწვეული იყო საბაზისო ეფექტით, კერძოდ კომპანიისთვის 2023 წელი განსაკუთრებით მომგებიანი იყო, თუმცა მომდევნო წლებში ასევე გაიზარდა პირდაპირი შრომის ხარჯები და ნედლეულის თვითღირებულება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

1. **ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების განმარტება:**
   1.1 სასესხო ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე;
   1.2 ფინანსური ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი EBITDA-ზე;
   1.3 წმინდა ფინანსური ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამს გამოკლებული ფულადი სახსრები - გაყოფილი EBITDA-ზე;
   1.4 მთლიანი ვალის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან აქტივებზე;
   1.5 პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR): პერიოდის EBIT / (საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე + საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე) (საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე ითვალისწინებს მიღებულ სუბსიდიებს, რაც აღნიშნულ ხარჯს ამცირებს) ;
   1.6 პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) - სუბსიდიების გამოკლებით: პერიოდის EBIT / (საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე + საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე + პროცენტების დაფინანსების მიზნით მიღებული საგრანტო შემოსავლები);

2. მომგებიანობის კოეფიციენტების განმარტება:

2.1 უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო აქტივებზე;

2.2 უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო კაპიტალზე;

2.3 ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი: პერიოდის EBIT გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებული საშუალო ჯამური აქტივებისა და საშუალო მოკლევადიანი ვალდებულებების სხვაობაზე;

2.4 საერთო მოგების მარჟა (Gross მარჟა): საერთო მოგება გაყოფილი ამონაგებზე;

2.5 EBITDA მარჟა: EBITDA გაყოფილი ამონაგებზე;

2.6 EBIT მარჟა: EBIT გაყოფილი ამონაგებზე;

2.7 წმინდა მოგების მარჟა: პერიოდის მთლიანი წმინდა მოგება გაყოფილი ამონაგებზე;

3. ლიკვიდურობის კოეფიციენტების განმარტება:

3.1 ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები: პერიოდის ბოლოს არსებული ფული და ბანკში არსებული ნაშთები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ჯამი გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე;

3.2 მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივები გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

3.3 საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი: პერიოდის წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

3.4 საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი: პერიოდის განმავლობაში დაგენერირებული შემოსავლები გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო საბრუნავ კაპიტალზე (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები).

3.5 სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, CF Based) - პერიოდის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრებს დამატებული პერიოდის საწყისი ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, დამატებული სესხის მიღება, გამოკლებული საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები, გამოკლებული გაცემული დივიდენდები / (გადახდილი პროცენტი - პროცენტების დაფინანსების მიზნით მიღებული საგრანტო შემოსავლები + სესხის გადახდა);

3.6. სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based) - პერიოდის EBITDA / (საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე + საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე + ამორტიზებადი სესხების ძირის დაფარვა);

4. საოპერაციო კოეფიციენტების განმარტება:

4.1 მარაგების ბრუნვის დღეები (DIO): უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაყოფილი გაყიდვების თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე;

4.2 დებიტორული დავალიანებების ბრუნვის დღეები (DSO): უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გაყოფილი ამონაგებზე და გამრავლებული 365-ზე;

4.3 სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO): უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები გაყოფილი გაყიდვების თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე;

4.4 ფულის ამოღების ციკლი (CCC): მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული დებიტორული დავალიანებების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები.

4.5 ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი: პერიოდის შემოსავალი რეალიზაციიდან გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო ძირითად საშუალებებზე.

5. წინამდებარე პროსპექტით გამოსაშვები ობლიგაციების კოვენანტები:

5.1. ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან - დეტალური გამოთვლის მიდგომისა და დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. წინამდებარე პროსპექტის „დათქმების“ ქვეთავი;

5.2. სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based) - დეტალური გამოთვლის მიდგომისა და დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. წინამდებარე პროსპექტის . „დათქმების“ ქვეთავი;

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიების მიხედვით

„ობლიგაციის“ გამოშვების დროს არც „კომპანიას“ და არც „ობლიგაციას“ არ აქვს საკრედიტო სააგენტოს მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი.

საილუსტრაციოდ ქვემოთ წარმოდგენილია Fitch Ratings-ის (ერთ-ერთი გლობალური სარეიტინგო კომპანია) მეთოდოლოგიის მიხედვით დათვლილი შერჩეული კოეფიციენტები.

საკრედიტო რეიტინგის მინიჭების პროცესში Fitch Ratings იყენებს მის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მეთოდოლოგიას. „ემიტენტი“ ოპერირებს ცხოველთა საკვების წარმოების და რეალიზაციის ინდუსტრიაში, თუმცა ანალიზის პროცესში გამოყენებულია შემდეგი სექტორი: Packaged Foods.

ხარისხობრივი და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით, „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი მოსალოდნელია, რომ იქნება შედარებით ნაკლები, უფრო ზუსტად კი, არაუმეტეს ქვეყნის რეიტინგისა. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი არ მოისაზრებს იმას, რომ „კომპანია“ განეკუთვნება იმ რეიტინგს, რომელიც ქვემოთ გაზიარებული კოეფიციენტების შედეგად მიიღება. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საკრედიტო სააგენტოები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ კომპანიების საპროგნოზო მონაცემებზე, ხოლო შემოთავაზებული ანალიზი დაყრდნობილია მხოლოდ ისტორიულ შედეგებზე.

დამატებით, ემიტენტი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი სექტორი, მეთოდოლოგია ან კოეფიციენტების გამოთვლის მიდგომა Fitch Rating-ის გარდა შესაბამისია რომელიმე საკრედიტო სარეიტინგო მეთოდოლოგიისა ან/და ემიტენტის სპეციფიკური ბიზნეს საქმიანობისა.

ქვემოთ მოცემულია ბმულები, რომლებიც აქტიურად იყო გამოყენებული ანალიზის პროცესში:

1. მეთოდოლოგია - https://www.fitchratings.com/research/corporate-finance/corporate-rating-criteria-09-01-2026
2. სექტორი - https://www.fitchratings.com/research/corporate-finance/sector-navigators-addendum-to-corporate-rating-criteria-09-01-2026 (p.37-40)

	პოტენციური საკრედიტო რეიტინგი				კოეფიციენტები			
	2025 პრო ფორმა	2025	2024	2023	2025 პრო ფორმა	2025	2024	2023
EBITDA მარჟა	bb	bb	bb	bb	8.3%	8.3%	8.2%	9.6%
EBITDA ლევერიჯი	bbb	bbb	bbb	a	3.96	3.75	3.75	3.42
FCF მარჟა	ccc	ccc	bb	ccc	-5.2%	-5.2%	0.5%	-7.0%
EBITDA წმინდა ლევერიჯი	bbb	bbb	bbb	bbb	3.94	3.73	3.63	3.33
ლიკვიდურობა[5]	ccc	ccc	ccc	ccc	(0.14)	(0.14)[6]	0.35	(0.26)
(CFO-Capex)/Debt	ccc	ccc	a	ccc	-9.5%	-10.0%	13.2%	-9.4%
EBITDA საპროცენტო დაფარვა	bb	bb	bb	bb	2.63	2.63	2.49	2.64
EBITDA (მილიონი აშშ დოლარი)	ccc	ccc	ccc	ccc	2.78	2.78	2.42	2.75

შენიშვნა შერჩეულ კოეფიციენტებზე:

FCF მარჟა და (CFO-Capex)/Debt – 2023, 2025 და 2025 პრო-ფორმა წლებში, კომპანიას აღნიშნულ კოეფიციენტებში უფიქსირდება უარყოფითი მაჩვენებლები, რაც აღნიშნულ წლებში, არასაკმარისი თავისუფალი ფულადი ნაკადებიდან

[5] აღნიშნულ კოეფიციენტის საკრედიტო ქულების შეფასება მოიცავს მხოლოდ რიცხობრივ მაჩვენებელს და არ ითვალისწინებს ხარისხრობრივ შეფასებას. ხარისხობრივი შეფასებით, აღნიშნული კოეფიციენტის საკრედიტო ქულები შესაძლოა განსხვავდებოდეს წარმოდგენილი შედეგისგან.

[6] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი. აღნიშნული სესხების მიმდინარე ნაწილში ასახვით, 2025 წლის ლიკვიდურობის კოეფიციენტი იქნებოდა (0.11)

გამომდინარეობს. 2023 წელს 4,555 ათასი ლარი მოხმარდა კაპიტალურ დანახარჯებს, რაც მნიშვნელოვნად აისახება ორივე კოეფიციენტზე, ხოლო ამავე წელს მოხდა 2,798 ათასი ლარის დივიდენდის გაცემა, რაც დამატებით ამცირებს FCF-ს. მსგავსი შედეგი დაფიქსირდა 2025 წელსაც, როდესაც კომპანიამ 2,136 წმინდა კაპიტალური დანახარჯები გასწია, ხოლო დამატებით მოხდა 1,821 ათასი ლარის დივიდენდის გაცემა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა მარაგები, რაც თავის მხრივ აისახა წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებზე და უარყოფითი მაჩვენებელი გამოიწვია.

ლიკვიდურობა - წარმოდგენილ პერიოდებზე, კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებელი ნაკლებია 1-ზე. აღნიშნული მეტწილად გამომდინარეობს კომპანიის საკრედიტო ხაზებზე/მოკლევადიან სასესხო დაფინანსებაზე დამოკიდებულებიდან. ობლგაციების ემისიით, კომპანია მიზნად ისახავს მოკლევადიანი დაფინანსების ჩანაცვლებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კომპანიის ლიკვიდურობას, როგორც ეს აისახება აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელში. თუმცა, 2025 წლის უარყოფითი FCF-დან გამომდინარე (რაც წარმოადგენს კოეფიციენტის მრიცხველს და დამოუკიდებელია მოკლევადიანი ვალდებულებების პროფილისგან), აღნიშნული ეფექტი არ აისახება პრო-ფორმა ეფექტში.

EBITDA (მილიონი აშშ დოლარი) – ccc საკრედიტო ქულა აბსოლიტურ EBITDA მასშტაბში დიდწილად გამომდინარეობს ფაქტიდან, რომ Fitch მეთოდოლოგია მხედველობაში იღებს განვითარებულ ბაზრებზე ოპერირებად და გლობალურ კომპანიებს. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლოა ნაკლებად რელევანტური იყოს საქართველოს მასშტაბის ეკონომიკაში ოპერირებადი კომპანიის რეალური საკრედიტო რისკის შესაფასებლად.

კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

- **EBITDA მარჟა:** EBITDA-ს შეფარდება მთლიან შემოსავალთან;
- **EBITDA ლევერიჯი:** "ემიტენტის" მთლიანი ფინანსური ვალდებულებების შეფარდება (EBITDA-ს პლიუს განმეორებადი დივიდენდი ასოცირებული პირებისგან მინუს არამაკონტროლებელ წილზე გადახდილი დივიდენდი)-სთან;
- **EBITDA წმინდა ლევერიჯი:** "ემიტენტის" მთლიანი ფინანსური ვალდებულებების და ფული და ფულის ექვივალენტების სხვაობის შეფარდება (EBITDA-ს პლიუს განმეორებადი დივიდენდი ასოცირებული პირებისგან მინუს არამაკონტროლებელ წილზე გადახდილი დივიდენდი)-სთან;
- **EBITDA საპროცენტო დაფარვა:** EBITDA-ს პლიუს განმეორებადი დივიდენდი ასოცირებული პირებისგან მინუს არამაკონტროლებელ წილზე გადახდილი დივიდენდები შეფარდებული გადახდილ პროცენტთან;
- **FCF მარჟა:** FCF-ს შეფარდება მთლიან შემოსავალთან;
- **(CFO-Capex)/Debt:** საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებს გამოკლებული წმინდა კაპიტალური დანახარჯები (ძირითადი საშუალებების შეძენა/რემონტი/რეალიზაცია), გამოკლებული საიჯარო ვალდებულებების დაფარვა და შეფარდებული მთლიან ფინანსურ ვალდებულებებთან;
- **ლიკვიდურობა:** ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების, აუთვისებული დავალიანებისა და FCF-ის ჯამი შეფარდებული მომავალი 12 თვეში ვადამოსულ სასესხო ვალდებულებებთან;

*კოეფიციენტების გამოთვლისას ზოგიერთი კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია კალკულაციებში, შესაძლოა კომპანიისთვის წარმოადგენდეს ნოლს.

აღნიშნული კოეფიციენტების დათვლისას გამოყენებული ფინანსური მაჩვენებლების დათვლის დეფინიციები შემდეგნაირია:

- **EBITDA** (Earning Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization): **EBIT** + კორექტირებები ერთჯერად შემოსავლებზე/ხარჯებზე + არასაიჯარო ცვეთა და ამორტიზაცია
- **EBIT** (Earnings Before Interest and Taxes): მთლიანი მოგება - გაყიდვების, საერთო და ადმინისტრაციული (SG&A) ან საოპერაციო და ტექნიკური მომსახურების (O&M) ხარჯი - კვლევისა და განვითარების (R&D) ხარჯი - უიმედო ვალებთან დაკავშირებული ხარჯები - მატერიალური აქტივების ცვეთა - არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია - იჯარით აღებული აქტივების ცვეთა – პროცენტის დარიცხვა საიჯარო ვალდებულებებზე - სხვა

ცვეთა და ამორტიზაცია, რომელიც არ შედის SG&A-ში – EBIT/DA-ში შემავალი გაუფასურებები - წინასაოპერაციო და საძიებო ხარჯი - მარეგულირებელი მოსაკრებლები + სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)

- **FCF** (Free Cash Flow)**: CFO** (საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები) - კაპიტალური დანახარჯები (Capex) - საოჯარო ვალდებულებების დაფარვა - გადახდილი დივიდენდები - არასაოპერაციო და არარეგულარული ფულადი ნაკადების ჯამი ბიზნესის შესყიდვამდე, გასხვისებამდე და აქციების გამოსყიდვამდე/სპეციალურ დივიდენდებამდე.
- **ფინანსური ვალდებულებები:** ყველა პროცენტიანი ფინანსური ვალდებულება, გარდა იჯარებისა.

ზემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, კომპანიის პრო-ფორმა ფინანსური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი bb და bbb რეიტინგების ზღვრულ შესადარის ოდენობებს აჭარბებს, ხოლო გარკვეული წილი ccc ქულას შეესაბამება. მნიშვნელოვანია, რომ არსებული საორიენტაციო კოეფიციენტები, რომლებიც საკრედიტო რეიტნგის განსაზღვრაში იღებს მონაწილეობას, განკუთვნილია ბევრად უფრო დიდი მასშტაბის მქონე კომპანიებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანიას მომავალშიც შეეძლება აღნიშნული მაჩვენებლების გაუმჯობესება ან მათი შენარჩუნება საკრედიტო რისკის მისაღებ დონეზე.

Fitch-ის ინდუსტრიის საშუალო მონაცემები მოიცავს განვითარებულ ქვეყნებსაც და არ არის მხოლოდ განვითარებად ბაზრებზე, მათ შორის საქართველოს ბაზარზე მორგებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ არსებული შედარება სარეიტინგო კომპანია Fitch-ის ინდუსტრიის სტანდარტებთან მოიცავს მხოლოდ რაოდენობრივ ანალიზს. კომპანიის პოტენციური საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრა არ უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ანალიზზე დაყრდნობით. სარეიტინგო კომპანიები რეიტინგის მინიჭებისას ითვალისწინებენ მრავალი ფაქტორის ერთობლიობას, მათ შორის: ქვეყნის რეიტინგი, კომპანიის კორპორაციული სტრუქტურა, ბიზნეს პროცესების გამართულობა და ა.შ

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

- პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
- „კომპანიის“ საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/ სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;
- „კომპანიას“ გააჩნია მომწოდებელთა კონცენტრაციის რისკი და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა;
- „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს წუნდებული პროდუქციიდან ზარალის რისკის წინაშე;
- „კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ასევე „კომპანიას“ გააჩნია მომხმარებელთა კონცენტრაციის რისკი და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა;
- „კომპანიას“ აქვს არასაკმარისი ლიკვიდურობა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ გადახდისუნარიანობაზე, ხოლო ობლიგაციების სრულად ვერ განთავსების შემთხვევაში, კომპანია შესაძლოა დადგეს ლივკობის რისკის წინაშე. დამატებით, ობლიგაციების დაფარვის თარიღში, რეფინანსირების საჭიროებიდან გამომდინარე, ემიტენტი შესაძლოა კვლავ დადგეს ლიკვიდობის რისკის წინაშე;
- „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა;
- პროსპექტით დაფარულ ფინანსურ პერიოდებზე კომპანია ვერ აკმაყოფილებდა კომერციულ ბანკთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ კოვენანტებს და არა არსებობს გარანტია, რომ კომპანია მომავალ პერიოდებზე შეასრულებს აღნიშნულ კოვენანტებს, ან მოახერხებს გათავისუფლების წერილის (waiver letter) მოპოვებას;
- ცხოველთა საკვების წარმოება ხასიათდება მაღალი დამოკიდებულებით ნედლეული მასალების ფასებსა და მათ ცვალებადობაზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობაზე;
- „კომპანია“ გასცემს დაკავშირებულ კომპანიებზე სესხებს, შესაბამისად, შესაძლოა შეიქმნას გაცემული სესხების უკან დაბრუნების რისკი;
- ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი რისკი;
- ობლიგაციები წარმოადგენს „კომპანიის“ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს;
- „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.
- შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის სექციაში წარმოჩენილ რისკ-ფაქტორებში განთავსებულია მხოლოდ ის რისკები, რომლებიც ემიტენტისთვის მნიშვნელოვანად და არსებითად მიიჩნევა. აღნიშნული სექცია არ მოიცავს სრულ მიმოხილვას ყველა შესაძლო რისკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიასთან, ზოგად ეკონომიკურ გარემოსთან, ემიტენტის საქმიანობასთან ან შეთავაზებულ ფასიან ქაღალდებთან. სრული ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ რეგისტრაციის დოკუმენტის სექციას „რისკ-ფაქტორები”.

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს 10 მილიონ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას აშშ დოლარში, ევროში, ან ლარში ერთი ან რამდენიმე ემისიით, რომელთაგან მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება შემდეგი მიზნობრიობით:

- დაახლოებით 9.4 მილიონი აშშ დოლარი - კომპანიის არსებული სესხების ნაწილის რეფინანსირება, ფინანსური ვალდებულებების სტრუქტურის გაუმჯობესებისა და საპროცენტო ტვირთის ოპტიმიზაციის მიზნით;
- დაახლოებით 0.6 მილიონი აშშ დოლარი - გარდაბნის მუნიციპალიტეტში ახალი საწყობის მშენებლობის დაფინანსება და აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად მოზიდული შუალედური სასესხო ვალდებულებების რეფინანსირება;

გარდაბნის მუნიციპალიტეტში საწყობის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ *„სარეგისტრაციო დოკუმენტი - ინვესტიციები“*

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

შპს „ნუტრიმაქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206330709)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: *„პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“*

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.“*

შეთავაზებაში ჩართული პირები:

„ემიტენტის“ ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია”. ს/ნ: 211325056. მისამართი: 0177, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41.

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში კომპანიის ფინანსური აუდიტორი არ შეცვლილა.

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge (ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).

განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206) ; მისამართი: ქ. თბილისი 0108, პუშკინის ქუჩა N3; ელ.ფოსტა: gt@gt.ge; sales@gt.ge; ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en; ტელეფონი: (+995 32) 2 401 111.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტთან“, კერძოდ, „განთავსების აგენტისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა

გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, მეორე მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- შპს „ნუტრიმაქსის“ აუდიტირებული (2024 და 2023 წლებისთვის) ფინანსური ანგარიშგებები;
- შპს „ნუტრიმაქსის“ წესდება (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე napr.gov.ge. NAPR სისტემაში ძებნის განაცხადის ნომერი: B26357509);
- შპს „ნუტრიმაქსის“ ამონაწერი (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე napr.gov.ge. NAPR სისტემაში ძებნის განაცხადის ნომერი: B26359077;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge);
- საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.ge);
- Galt & Taggart Research (https://galtandtaggart.com/en);

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

კომპანიის მიმოხილვა და ისტორია

ემიტენტი არის შპს „ნუტრიმაქსი“ (ს/ნ 206330709). იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ლ.ღოღობერიძის 67 ბ, ქ. თბილისი. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@nutrimax.ge
ვებ-გვერდი: www.nutrimax.ge
ტელეფონი: (+995 32) 2 30 53 35

შპს „ნუტრიმაქსი“ საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 2009 წლიდან და წარმოადგენს შინაური ცხოველების, ფრინველებისა და აკვაკულტურის საკვების ერთ-ერთ წამყვან მწარმოებელ კომპანიას რეგიონში. კომპანია ლიდერ პოზიციას იკავებს საქართველოში კომბინირებული საკვების, საკვები დანამატებისა და კვების ტექნოლოგიების მიწოდების მიმართულებით.

ნუტრიმაქსი დაარსების დღიდან არის უმსხვილესი ჰოლანდიური კომპანია Trouw Nutrition-ის პარტნიორი, რომლისგანაც იღებს როგორც უმაღლესი ხარისხის საკვებ დანამატებს, ასევე, მუდმივად განახლებად თანამედროვე ცოდნას კვების ტექნოლოგიასა და ფერმის მენეჯმენტში.

კომპანია ფლობს ფერმის ცხოველებისა და ფრინველების საკვების (feed mill) საწარმოს, რომლის წლიური საწარმოო სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 84 ათას ტონას.

2021 წლის აგვისტოში შპს „ნუტრიმაქსმა“ დააფუძნა მისი ერთადერთი შვილობილი კომპანია — შპს „ნუტრიმაქს პეტფუდი“ (შემდგომში – „შვილობილი კომპანია“ ან „პეტფუდი“), რომელიც ფლობს რეგიონში ერთადერთ მაღალტექნოლოგიურ ექსტრუდირებული საკვების საწარმოს შინაური ცხოველებისთვის (ძაღლი და კატა) და თევზებისთვის, წლიური საწარმოო სიმძლავრით 24 ათასი ტონა. აღნიშნული საწარმო ექსპლუატაციაში შევიდა 2023 წლის გაზაფხულზე და 2024 წლის მდგომარეობით საქართველოს შინაური ცხოველების საკვების ბაზარზე ლიდერი პოზიცია დაიკავა.

შვილობილი კომპანიის მიერ წარმოებული პეტფუდის პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ექსკლუზიურად შპს „ნუტრიმაქსის“ მიერ. “ნუტრიმაქსის” ბიზნეს მოდელი ძირითადად ეფუძნება სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით გაყიდვებს. ასევე, დისტრიბუტორების პარალელურად კომპანიას ჰყავს კორპორატიული კლიენტები. კომპანია არ ფლობს საცალო რეალიზაციის მაღაზიებს, რაც ამცირებს ფიქსირებულ ხარჯებს და ზრდის ოპერაციულ მოქნილობას.

ადგილობრივ რეალიზაციასთან ერთად, კომპანია აქტიურად არის წარმოდგენილი უცხო ქვეყნის ბაზრებზე. მიმდინარედ, “კომპანიის” პროდუქციის ექსპორტი ხდება 5 ქვეყანაში. ესენია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, მოლდოვა.

<u>პროდუქტის ასორტიმენტი</u>

ნუტრიმაქსის ბიზნეს-მიმართულებები იყოფა 2 ძირითად კატეგორიად:

3. **Nutrimax Feed** - ფერმის ცხოველების და ფრინველების და თევზების საკვების მიმართულება, რომლის ასორტიმენტში შედის:
    - ბროილერის მზა საკვები
    - ღორის მზა საკვები
    - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მზა საკვები
    - თევზის საკვები
    - ბროილერის კონცენტრატი
    - ღორის კონცენტრატი
    - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კონცენტრატი
    - სხვა ცხოველების მზა საკვები (ბოცვერი, მწყერი, ინდაური, მეკვერცხული ქათამი და სხვა)

4. **Nutrimax Pets** - კომპანიონი ცხოველების საკვების მიმართულება, რომელიც აწარმოებს:

- ძაღლის მშრალი საკვებს
- კატის მშრალი საკვებს

„კომპანიის“ მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და ბრენდების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ძირითადი ბრენდები და მარკეტინგული პროგრამა“.

„კომპანიის“ ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები

„კომპანია“ შემოსავალს აგენერირებს 20-ზე მეტი სხვადასხვა პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც მოიცავს როგორც მზა პროდუქციას „ნუტრიმაქს ფიდის“ და „ნუტრიმაქს პეტფუდის“ მიმართულებებით, ასევე შუალედური ნედლეულის გაყიდვით, როგორიცაა სოიოს შროტი.

გაყიდული პროდუქციის დინამიკა ბიზნეს მიმართულების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკზე:



2025 წლის მოცემულობით, კომპანიის მიერ გაყიდულმა პროდუქციამ 62 ათასი ტონა შეადგინა, რაც 12.0%-ით აღემატება 2024 წლის შედეგებს (55.4 ათასი ტონა). ზრდა ასევე მნიშვნელოვანი იყო 2024 წელსაც, როდესაც გაყიდული პროდუქცის მოცულობა 2023 წელთან შედარებით 9.2%-ით გაიზარდა (2023: 50.7 ათასი ტონა).

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან, ექსპლუატაციაში შევიდა პეტფუდის მიმართულება, რომელიც განსაკუთრებით სწრაფი ზრდის ტემპით გამოირჩევა და ასევე აწარმოებს კომპანიის ყველაზე მაღალ მარჟიან პროდუქციას. 2023 წელს პეტფუდის გაყიდვებმა 1.9 ტონა შეადგინა, რაც მთლიანი რეალიზაციის 3.8%-ს მოიცავს. 2024 წლისთვის კი პეტფუდის მიმართულება 130.2%-ით გაიზარდა და მთლიანი გაყიდვების 7.9% შეადგინა, ხოლო 2025 წელს რეალიზაცია 40.2%-ით გაიზარდა და მთლიანი გაყიდვების 9.9% მოიცვა.

პეტფუდის მიმართულების მზარდი მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადია რეალიზაციის ნომინალურ მაჩვენებელში. 2023 წელს პეტფუდის გაყიდვებმა 3,806 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი რეალიზაციის 5.0%-ს შეადგენდა. 2024 წლისთვის პეტფუდის მიმართულება 137.0%-ით გაიზარდა და მთლიანი გაყიდვების 11.2% შეადგინა (9,023 ათასი ლარი), ხოლო 2025 წელს გაყიდვები 43.9%-ით გაიზარდა და მთლიანი გაყიდვების 14.2% (12,985 ათასი ლარი) შეადგინა.

მენეჯერულ მონაცემებზე დაყრდნობით გაყიდვების[7] დინამიკა ეროვნულ ვალუტაში მოცემულია გრაფიკზე:

[7] მენეჯერულსა და აუდიტირებულ შემოსავალს შორის არის არა-არსებითი სხვაობა (2025: 64 ათასი ლარი, 2024: 154 ათასი ლარი, 2023: 72 ათასი ლარი), ვინაიდან აუდიტირებული შემოსავალის შემცირება ხდება გადახდილი ქეშბექებით.



ადგილობრივ რეალიზაციასთან ერთად, კომპანიას პროდუქცია აქტიურად გააქვს ექსპორტზე. 2025 წლის მდგომარეობით, კომპანია წარმოდგენილი იყო 6 ქვეყნის ბაზარზე, კერძოდ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის და მოლდოვის ბაზრებზე. ქვეყნების მიხედვით გაყიდვების (შემოსავალი) ჩაშლა 2023-2025 წლებზე წარმოდგენილია გრაფიკზე:



აღსანიშნავია, "კომპანიის" სტრატეგიაში შედის უცხო ქვეყნის ბაზრების ათვისება დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ "სამომავლო სტრატეგია და მიზნები:.

<u>ბაზრის წილი</u>

Feed-ის მიმართულებით კომპანიის ძირითადი მომხმარებლები არიან მცირე და საშუალო ზომის ფერმერები, რის გამოც ბაზარი ხასიათდება მაღალი ფრაგმენტაციითა და შეზღუდული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით. „გალტ & თაგარტის" კვლევებზე დაყრდნობით, 2024 წლის მოცემულობით, კომანიის წილი ცხოველთა საკვების ორგანიზებულ ბაზარზე წარმოადგენდა 48.1%-ს.

ინდუსტრიისა და „კომპანიის" ბაზრის წილის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილით „ინდუსტრიის აღწერა".

საწარმოო სიმძლავრეები და ხარისხის კონტროლი

2016 წლის სექტემბერში ნუტრიმაქსმა გახსნა ახალი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ევროპული სტანდარტების საკვების დამამზადებელ ქარხანა, რომლის წარმადობა წელიწადში აღემატება 84 000 ტონას. საწარმო მუშაობს 24 საათიან რეჟიმში და 2025 წლის მდგომარეობით კომპანიის წარმადობა 67% არის დატვირთული.

2023 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ნუტრიმაქს პეტფუდის ახალი საწარმო რომლის საწარმოო სიმძლავრე შეადგენს 24 000 ტონას წელიწადში.

ნუტრიმაქსში ფუნქციონირებს ევრო სტანდარტების თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც მუდმივად ამოწმებს როგორც ნედლეულის, ასევე მზა პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ინფორმაცია ტენდენციების შესახებ

უკანასკნელი ფინანსური წლის ბოლოდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ ფიგურირებს არსებითი ტენდენციები პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებსა და გასაყიდი ფასებში.

ასევე, ემიტენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე ინფორმაცია ტენდენციების, გაურკვევლობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.

ბიზნესის სეზონურობა

ბიზნესსაქმიანობას ნაწილობრივ ახასიათებს სეზონურობა, რომელიც განსხვავებულია პროდუქტის კატეგორიების მიხედვით.

ფერმის ცხოველების საკვების (Feed) მიმართულებას ახასიათებს შედარებით გამოხატული სეზონურობა, რომელიც წლის განმავლობაში ძირითადად ორ პიკურ პერიოდს მოიცავს — საახალწლო და სააღდგომო სეზონებს, როდესაც იზრდება მოთხოვნა საკვებზე.

თევზის საკვების მიმართულებას ასევე ახასიათებს სეზონურობა, რაც დაკავშირებულია თევზის აქტიური ზრდის პერიოდთან და ძირითადად მოიცავს აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდს.

რაც შეეხება კომპანიონი ცხოველების საკვების - პეტფუდის მიმართულებას, აღნიშნულ სეგმენტს არ ახასიათებს მკვეთრი სეზონურობა და მოთხოვნა წლის განმავლობაში შედარებით სტაბილურია, რაც დადებითად ისახება შემოსავლების დაბალანსებაზე.

ორგანიზაციული სტრუქტურა

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, ემიტენტის წილის მფლობელი არიან: შპს “ნუტრიმაქს ჰოლდინგი” (ს/ნ: 404612665) – 33.3%, ხათუნა ლიპარტელიანი (პ/ნ: 01008032822) – 33.3%, ბექა ბექაია (პ/ნ: 01011022232) – 30.4% და სს “სინერჯი კაპიტალი” (პ/ნ: 405265797) – 3%.

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, შპს “ნუტრიმაქს ჰოლდინგის” 100% წილის მესაკუთრეა ბექა ბექაია (პ/ნ: 01011022232).

ემიტენტს ასევე ჰყავს 100% შვილობილი კომპანია შპს “ნუტრიმაქს პეტფუდი” (ს/ნ: 404619490), დაარსებული 2021 წლის 4 აგვისტოს, საქართველოში. “ნუტრიმაქს პეტფუდმა“ საწარმოო საქმიანობა დაიწყო 2023 წლის თებერვალში და მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს ძაღლების, კატების და თევზების საკვების წარმოებას.



ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

2008	▪ დაფუძნდა შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯია“;
2009	▪ კომპანიამ დაიწყო ფუნქციონირება და მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებს შესთავაზა თანამედროვე, დაბალანსებული მზა საკვები და კონცენტრატები;
2010-2015	▪ ბაზარზე გამოჩნდა ნუტრიმაქსის ბრენდები: Broiler Max, Pig Max, Milk Max, Beef Max და სხვა; ▪ განხორციელდა საწარმოო საშუალებების გაუმჯობესება; ▪ დაიწყო დილერული ქსელის განვითარება საქართველოს მასშტაბით; ▪ ნუტრიმაქსი ჩამოყალიბდა ლიდერ კომპანიად საქართველოში ფერმერული ცხოველებისთვის მზა საკვებისა და კონცენტრატების წარმოების მიმართულებით; ▪ დაიწყო ექსპორტი სომხეთში და კომპანია იქცა რეგიონალურ მოთამაშედ; ▪ ნუტრიმაქსი გახდა Trouw Nutrition-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში; ▪ Trouw Nutrition-თან გაფორმდა Know How შეთანხმება; ▪ ფერმერულ მეურნეობებში დაიწყო თანამედროვე ცოდნის გავრცელება; ▪ განვითარდა ლაბორატორიული მიმართულება და დაინერგა თანამედროვე მეთოდები საკვების ხარისხისა და უვნებლობის კონტროლისთვის;
2016	▪ 2016 წლის სექტემბერში ნუტრიმაქსმა გახსნა ახალი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ევროპული სტანდარტების საკვების დამამზადებელ ქარხანა, რომლის წარმადობა წელიწადში დაახლოებით 84 000 ტონაა; ▪ დაიწყო გრანულირებული პროდუქტების წარმოება
2017-2021	▪ 2017 წლის დეკემბერში კომპანიამ მიიღო ISO 22000:2005 სერტიფიკატი, ხოლო 2020 წლიდან გადავიდა ISO 22000:2018 ვერსიაზე; ▪ დაიწყო საერთაშორისო გამოფენებში აქტიური მონაწილეობა; ▪ განხორციელდა ორგანიზაციული სტრუქტურის რეფორმირება; განახლდა და განვითარდა ხარისხის მართვის სისტემა; განვითარდა ორგანიზაციული კულტურა და კორპორაციული ეთიკა; ▪ 2021 წლის აგვისტოში შპს „ნუტრიმაქსმა“ დააფუძნა კომპანია შპს „ნუტრიმაქს პეტფუდი“, რომელიც ორიენტირებულია საკვების წარმოებაზე შინაური ცხოველებისა და აკვაკულტურისთვის;
2022	▪ გაიხსნა ექსტრუდირებული საკვების თანამედროვე საწარმო, წლიური წარმადობით – 24,000 ტონა; ▪ დაიწყო კომპანიონი ცხოველების (ძაღლი, კატა) და თევზის საკვების წარმოება; ▪ ჯამურმა წარმადობამ გადააჭარბა 108,000 ტონას წელიწადში;
2023-2025	▪ 2023 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ნუტრიმაქს პეტფუდის ახალი საწარმო რომლის საწარმოო სიმძლავრე შეადგენს 24,000 ტონას წელიწადში; ▪ შეიქმნა ქართული ბრენდები: Winny, Simpo, Skippy და პრემიუმ ბრენდი Competento; ▪ ნუტრიმაქსი გახდა ლიდერი კომპანია საქართველოში კომპანიონი ცხოველების საკვების გაყიდვების მიმართულებით; ▪ გაფართოვდა დისტრიბუტორული ქსელი სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში და მოლდოვაში; ▪ დაიწყო თევზის საკვების ბაზრის განვითარება უზბეკეთში; ▪ დაიწყო გაყიდვების ოპერაციები ყაზახეთში; ▪ კომპანიამ მიიღო მონაწილეობა Petfood ინდუსტრიის ყველაზე მასშტაბურ გამოფენებში ევროპაში Intrerzoo (www.interzoo.com/) და Zoomark www.zoomark.it/; ▪ შვილობილ კომპანიაში დამონტაჟდა 380 კილოვატი სიმძლავრის მზის ელექტრო პანელები, რაც უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიის მოხმარებას;

სამომავლო სტრატეგია და მიზნები

2026 წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს ახალი საწყობის მშენებლობას პეტფუდის საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ინვესტიცია მიზნად ისახავს იჯარით აღებული საწყობების ეტაპობრივ ჩანაცვლებას, ლოგისტიკური და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას. აღნიშნული პროექტების შესახებ დეტალური ინფომარციისთვის იხილეთ ქვეთავი “ინვესტიციები”.

პარალელურად, პეტფუდის მიმართულებით კომპანია გეგმავს პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებას, როგორც ახალი ბრენდების დამატების, ასევე არსებულ ბრენდებში პროდუქტის ხაზების განვითარებისა და დივერსიფიკაციის გზით. ამჟამად კომპანიის პორტფელში წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები: Competento, Skippy, Simpo, Winnyდა Franky, რომლებიც მიზნად ისახავენ სხვადასხვა მომხმარებლების სეგმენტების დაფარვას და ბაზარზე პოზიციების გამყარებას.

კომპანია ასევე განიხილავს შუა-აზიაში ცხოველთა საკვების საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას, არსებულ საწარმოში წილის შეძენით ან სხვა გზით. აღნიშნული გეგმა კონცეფციის ფაზაშია და პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას დეტალებზე ზუსტი ხედვა არ აქვს.

აღნიშნული სტრატეგიული ნაბიჯები ასახავს კომპანიის გრძელვადიან ხედვას — წარმოების მასშტაბის ზრდას, ბაზრების დივერსიფიკაციას და მდგრადი ფინანსური განვითარების უზრუნველყოფას.

ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსებისა და ტექნოლოგიების შესახებ

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები წარმოადგენს ნედლეულებს, რომლებიც გამოიყენება როგორც ფერმის ცხოველების, თევზისა და შინაური ცხოველების საკვების წარმოებაში. ორივე საწარმოო მიმართულების ფარგლებში, საშუალოდ გამოიყენება დაახლოებით 150-მდე სახეობის ნედლეული, რომლებიც შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა:
- მარცვლეული და შროტეული ნედლეული;
- პროტეინოვანი დანამატები;
- ამინომჟავები, ვიტამინოვანი და მინერალური დანამატები.

ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება 20-ზე მეტი ქვეყნიდან, რაც უზრუნველყოფს მიწოდების დივერსიფიკაციას და ამცირებს ერთ კონკრეტულ ბაზარზე ან მომწოდებელზე დამოკიდებულებას.

ფასების დინამიკის თვალსაზრისით, მარცვლეული ნედლეულის ფასები ხასიათდება შედარებით ცვალებადობით რაც ძირითადად განპირობებულია გლობალური სასაქონლო ბაზრების, მოსავლიანობისა და ლოგისტიკური ფაქტორების გავლენით. ამასთანავე, პროტეინოვანი, ამინომჟავური და ვიტამინ-მინერალური დანამატების ფასები შედარებით უფრო სტაბილურია, თუმცა მათზე გავლენას ახდენს საერთაშორისო ბაზრების მდგომარეობა, ნედლეულის გლობალური მოთხოვნა და მაკროეკონომიკური ფაქტორები.

კომპანია აქტიურად მართავს ნედლეულის ფასებთან დაკავშირებულ რისკებს მომწოდებლების დივერსიფიკაციის, გრძელვადიანი პარტნიორობებისა და შესყიდვების დაგეგმვის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს წარმოების უწყვეტობასა და ხარჯების პროგნოზირებადობას.

კომპანია საქმიანობაში იყენებს და მომავალშიც გეგმავს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური და ავტომატიზირებული საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვასა და ექსპლუატაციას, რომლებიც მიმართულია წარმოების სტაბილურობის, ხარისხის კონტროლისა და ოპერაციული ეფექტურობის გაუმჯობესებისკენ.

კომპანიის საწარმოებში დანერგილია შემდეგი ძირითადი ტექნოლოგიური სისტემები:

- SCADA მართვის სისტემა, რომლითაც სრულად არის ავტომატიზირებული Nutrimax-ის ყველა საწარმო. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს წარმოების პროცესების ცენტრალიზებულ მართვას, მონიტორინგს და ოპერატიულ კონტროლს რეალურ დროში;
- METRIS VIBE ვიბრაციის კონტროლის სისტემა, რომელიც დანერგილია ყველა საწარმოო ობიექტზე და გამოიყენება დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგისთვის. სისტემა ხელს უწყობს ტექნიკური გაუმართაობების ადრეულ გამოვლენას, ავარიული გაჩერებების პრევენციასა და მომსახურების ეფექტურ დაგეგმვას;
- ტექნოლოგიური სტანდარტიზაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესში გამოყენებული პარამეტრების ერთიანობას, სიზუსტესა და შესაბამისობას დადგენილ ტექნოლოგიურ ნორმებთან.
- **NAVISION (Microsoft Dynamics NAV) ERP სისტემა**, რომელიც კომპანიაში გამოიყენება ფინანსური აღრიცხვის, საბუღალტრო ოპერაციების, მარაგების მართვისა და ბიზნეს პროცესების ინტეგრირებული მართვისთვის. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს მონაცემთა ცენტრალიზებულ აღრიცხვას, ფინანსური ინფორმაციის სიზუსტესა და ოპერაციული პროცესების ეფექტიან კოორდინაციას;
- · **QLIK ანალიტიკური და რეპორტინგის სისტემა**, რომელიც გამოიყენება ბიზნეს მონაცემების ანალიზისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მხარდაჭერისთვის. სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა ოპერაციული და ფინანსური მონაცემის ვიზუალიზაციას, სწრაფ ანალიზსა და დეტალურ რეპორტინგს, რაც კომპანიას ეხმარება საქმიანობის შედეგების მონიტორინგსა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

აღნიშნული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ქმნის საფუძველს წარმოების მაღალი ხარისხის, უწყვეტობისა და მასშტაბირების შესაძლებლობისთვის, რაც ემიტენტს საშუალებას აძლევს ეფექტიანად უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს და უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი ოპერირება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

უახლოეს მომავალში იგეგმება პროდუქტის ტენიანობის კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის გაშვება, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას და ამცირებს ტექნოლოგიურ გადახრებს წარმოების პროცესში;

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოო ტექნოლოგიებისა, კომპანია იყენებს სხვადასხვა დამხმარე პროგრამულ უზრუნველყოფას, მათ შორის მართვის, რეპორტინგისა და ERP სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციული პროცესების ეფექტიანობას, მონაცემთა სიზუსტეს და მმართველობითი გადაწყვეტილებების მხარდაჭერას.

ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები

“კომპანია” ბიზნესის განვითარების ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევს მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის და ჯანმრთელობისათვის უვნებელი ცხოველებისა და ფრინველების მზა საკვებისა და კონცენტრატების დამზადებასა და მიწოდებას, რაც განაპირობებს “კომპანიის” წარმატებას..

ქვემოთ ჩამოთვლილია ორგანიზაციაში მიმდინარე ძირითადი პროცესები, რომელთა მიხედვით შედგენილია და მოქმედებს შესაბამისი პროცედურები:

ადამიანური რესურსების მართვა - ამ პროცესის საფუძველზე გაწერილი პროცედურის მიზანია აღწეროს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის, თანამშრომლების სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების პროცედურა, რადგან საკვების მწარმოებელი და მიმწოდებელი ორგანიზაციის და მისი სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა დამოკიდებულია სწორედ პერსონალის კვალიფიკაციაზე;

შესყიდვები და ლოჯისტიკა - შესყიდვების და ლოჯისტიკის დოკუმენტირებული პროცედურა აღწერს შპს "ნუტრიმაქსის'' მიერ ცხოველთა საკვების დამზადება-მიწოდებისათვის საჭირო ნედლეულის, სახარჯი მასალების, სერვისების, დანადგარების და საკონტროლო-გამზომი აპარატურის, შესყიდვის პროცესს საგარანტიო მომსახურების გათვალისწინებით. დოკუმენტში დადგენილია პასუხისმგებლობები აღნიშნულ პროცესზე და განსაზღვრულია სტრატეგიული მნიშვნელობის მომწოდებლების შერჩევის და შეფასების წესები, რათა უზრუნველყოფილი კომპანიის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული პროდუქტის/მომსახურების მაღალი ხარისხი;

მომხმარებელზე ორიენტირება - ორგანიზაცია პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს მომხმარებელზე ორიენტირებას და არსებობს პროცედურა, რომელიც ადგენს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ჩვენი კლიენტების მოთხოვნები და პრობლემები გამოვლინდება, გაანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება, რათა მისი მოთხოვნების საფუძველზე განხორციელდეს მისაღები ხარისხის და უვნებელი საკვების წარმოება და მიწოდება;

პროდუქტის წარმოება-რეალიზაცია - პროდუქტის წარმოება-რეალიზაცია კომპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი პროცესია და მოიცავს მრავალ პროცედურას, კერძოდ: ნედლეულის მიღება-დასაწყობება, ნედლეულის წარმოების ხაზში მიწოდება, პროდუქტის დაფასოება, ეტიკეტირება, მზა პროდუქტის დასაწყობება და რეალიზაცია, პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო ინსტრუქციები და სხვა. შედგენილია კომუნიკაციის მატრიცა. გაწერილია საკონტროლო წერტილები და მათი კონტროლის მექანიზმები. ამ პროცედურების მიზანია სამუშაო პროცესების მაღალხარისხიანი შესრულებისა და სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის საჭირო ცხოველებისა და ფრინველებისათვის საჭირო საკვების დამზადების საწარმოო პროცესების ორგანიზაციული საკითხების გაწერა. წარმოების პროცედურა არეგულირებს საკვების დამზადების და შენახვის პროცესებს და განსაზღვრავს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს;

ნედლეულის/პროდუქტის ხარისხის კონტროლი - კომპანიაში შემოსული ყველა ნედლეული და წარმოებული პროდუქტი გადის ხარისხის და უვნებლობის მკაცრ კონტროლს. კომპანიაში არსებობს შიდა ლაბორატორია. ამ პროცესის ფარგლებში გაწერილია მრავალი პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის პროცესების სწორად წარმართვას. გარდა ნედლეულის და მზა პროდუქტისა, ხორციელდება გარემოს, მათ შორის ჰაერის, წყლის, კლიმატის კონტროლი;

მხარდამჭერი პროცესებია:

კრიზისული სიტუაციების მართვა - კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით მოქმედებს პროცედურა, რომელშიც გაწერილია კრიზისული სიტუაციების სახეები და მათი მოხდენის შემთხვევაში სწრაფად მოქმედების ინსტრუქციები, თანამშრომელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლის და მატერიალურ ფასეულობათა დასაცავად;

პრერეკვიზიტული პროგრამების(ჰიგიენა-სანიტარიის, ნარჩენების, მავნებლების მართვა და სხვა) - სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში იდენტიფიცირებულია პრერეკვიზიტული პროგრამები და თითოეულისთვის მოქმედებს შესაბამისი გეგმები;

ნედლეულის საწყობების მართვა - ნედლეულის საწყობების მართვის პროცედურა უზრუნველყოფს ორგანიზაციაში შემოსული ყველა ტიპის ნედლეულის სწორად მიღება-დასაწყობების წესების დაცულობას, იმგვარად, რომ შენარჩუნებული იყოს საკვების უვნებლობა და ხარისხი.

რისკების მართვა - რისკების მართვის ინსტრუქციაში აღწერილია ორგანიზაციის სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის მიმართ ორგანიზაციული რისკების იდენტიფიცირების, შეფასების და მათი აღმოფხვრის/შემცირების ღონისძიებები, რომელიც შეესაბამება ჩვენი ორგანიზაციის მიზანს, სტრატეგიას და განსაზღვრავს დადგენილი შედეგის მიღების შესაძლებლობას;

დოკუმენტირებული ინფორმაციის მართვა - დოკუმენტირებული ინფორმაციისა და დოკუმენტირებული ჩანაწერების მართვის პროცედურის მიზანია ორგანიზაციის მასშტაბით არსებული დოკუმენტების შედგენის, შეთანხმების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და დაარქივების პროცედურების რეგულირება და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა;

საფრთხის ანალიზი და კონტროლი - საფრთხის ანალიზი და კონტროლი ორგანიზაციის სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პროცესის შესაბამის პროცედურაში გაწერილია საფრთხის ანალიზისა და რისკის შეფასების მეთოდი, რომელიც ორგანიზაციაში მოქმედებს;

შეუსაბამობების მართვა - ორგანიზაციის მასშტაბით გამოვლენილი შეუსაბამობების/პროცედურიდან გადახრის სწორი და ეფექტური მართვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები იმართება შეუსაბამობის მართვის პროცედურით.

სურსათის დაცვა - სურსათის დაცვის პროცედურის დანერგვის მიზანი არის: პროცესების უსაფრთხო მართვა, გონივრული უკუკავშირი წინასწარ განზრახულ ფალსიფიკაციაზე, დანაშაულებრივ ან ტერორისტულ მოქმედებებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების კონცეფციის შემუშავება;

მიკვლევადობა - მიკვლევადობის დოკუმენტირებული პროცედურა აღწერს მიკვლევადობისა დასაჭიროების შემთხვევაში სარეალიზაციო ქსელიდან შეუსაბამო ხარისხის პროდუქტის გამოძახების პროცესს და ადგენს მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს და წესებს. პროცედურის მიზანია განისაზღვროს სტანდარტული ქმედებები, რომელთა საშუალებით უზრუნველყოფილია ორგანიზაციაში წარმოებული საკვების შესახებ ინფორმაციული მიკვლევადობის არსებობა და ორგანიზაციის მზადყოფნა შეუსაბამო პროდუქტის გამოხმობის შემთხვევაში;

შრომის უსაფრთხოების მართვა - ორგანიზაციას შრომის უსაფრთხოების მართვის პროცესში მხარდაჭერას უწევს გარე კომპანია. პროცედურის ფარგლებში გაწერილია თანამშრომელთა სწავლების პროგრამა, ინდივიდუალური სამუშაო ინსტრუქციები, რისკის შეფასების პოლიტიკა და სხვა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება;

მეტროლოგიური უზრუნველყოფა - მეტროლოგიური უზრუნველყოფის დოკუმენტირებული სტანდარტული სამუშაო ინსტრუქცია აღწერს შპს „ნუტრიმაქსი“-ს წარმოებაში არსებული საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების გამოყენების, მოვლა-მომსახურების და გეგმიური დაკალიბრება-დამოწმების პროცესს და ადგენს მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს და წესებს. ასევე, უზრუნველყოფს გამზომი ხელსაწყოების მუდმივად მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებას, რათა მიღწეულ იქნას დადგენილი ნორმებთან შესაბამისობა და პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის მაქსიმალური უზრუნველყოფა;

ძირითადი ბრენდები და მარკეტინგული პროგრამა

ნუტრიმაქსის მარკეტინგული პროგრამა ეფუძნება კომპანიის მისიას - სურსათის გლობალური დეფიციტის შემცირებას ცილის წარმოების ხელშეწყობით, ინოვაციური ცოდნისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. მარკეტინგის მთავარი მიზანია ნუტრიმაქსის პოზიციონირება როგორც სანდო, სტაბილური და განვითარებაზე ორიენტირებული პარტნიორის, როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიაა სტაბილურად ხარისხიანი, უწყვეტი განვითარების მქონე პროდუქტებითა და სწორი ცოდნის გავრცელებით შეუქმნას მომხმარებელს ღირებულება. ნუტრიმაქსი წარმოადგენს გენერალურ ბრენდს, რომელიც ვებ-გვერდის www.nutrimax.ge და LinkedIn-ის პლატფორმის მეშვეობით აერთიანებს კომპანიის ხედვას, ღირებულებებსა და ყველა ბიზნეს მიმართულებას.

კომპანიის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ფერმისა და კომპანიონი ცხოველების კვება, რაც მომხმარებლების განსხვავებული საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ორ დამოუკიდებელ მარკეტინგულ მიმართულებად არის ჩამოყალიბებული.

Nutrimax Feed

ნუტრიმაქს ფიდი წარმოადგენს ნუტრიმაქსის მიმართულებას, რომელიც სპეციალიზირებულია ფერმის ცხოველებისა და აკვაკულტურის კვებაზე. 180-ზე მეტ პროდუქტს სხვადასხვა მეურნეობის საჭიროებებისთვის. ფერმერული მიმართულება მოიცავს 180-ზე მეტ პროდუქტს სხვადასხვა მეურნეობებისთვის: მეფრინველეობისთვის (ბროილერი, მეკვერცხული, ინდაური, მწყერი), მესაქონლეობისთვის (წვრილფეხა, მსხვილფეხა, მეწველი და მეხორცული), მეღორეობისა და მებოცვრეობისათვის, ხოლო აკვაკულტურის მიმართულებაში წარმოდგენილია 15 პროდუქტი კალმახის, ზუთხისა და კობრისთვის.

- Nutrimax Feed-ის ვებ-გვერდი აერთიანებს ფერმის ცხოველებისა და აკვაკულტურის მიმართულების პროდუქტებს, რომლებიც შექმნილია დარგის ექსპერტების მრავალწლიანი გამოცდილებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძველზე.
- სოციალურ ქსელებში (Facebook, Instagram, TikTok) აქტიური კამპანიები ხორციელდება არა მარტო საქართველოში, არამედ საექსპორტო ქვეყნებშიც. აღნიშნულის მიზანი ბრენდების განვითარების პროვოცირებაა.

ნუტრიმაქსის ფერმერული მიმართულება ეფუძნება ფერმერებთან მჭიდრო კავშირსა და უკუკავშირების სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს მუდმივად განვავითაროთ და დავამატოთ პროდუქტები რეალური საჭიროებების მიხედვით.

ნუტრიმაქს ფიდის მიმართულებით წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები:

Beef Max 	Beef max ბრენდის ქვეშ გაერთიანებულია სამი პროდუქტი Beef Max კონცენტრატი 43%, Beef max-ის მზა საკვები Grower და Finish მეხორცული პირუტყვის სუქების პერიოდის მიხედვით. აღნიშნული საკვები ორიენტირებულია ფერმერისთვის სამუშაო დროისა და ძალის, საბოლოო პროდუქტის (საქონლის ხორცის) მისაღებად ფერმის ფინანსური დანახარჯის შემცირებაზე. ბრენდის უნიკალურობას წარმოადგენს პროდუქტის დამზადების ტექნიკის კომპლექსურობის ცოდნა და გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს მაღალ კონკურენტუნარიანობას.
Broiler Max & Chicky Win 	Broiler Max & Chicky Win ნუტრიმაქსის მეფრინველეობის მიმართულების ძირითადი ბრენდებია, რომლებიც ფარავენ ბროილერის გამოზრდის მთლიან ციკლს. პროდუქტები ხასიათდებიან რენტაბელურობით, სტაბილური ხარისხითა და ხელმისაწვდომობით, შეიცავს ყველა საჭირო დანამატს მაქსიმალური წონამატისა და ფრინველის ჯანმრთელობისთვის. აღნიშნული ბრენდები საქართველოს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადია და მომხმარებელთა მაღალი ნდობით სარგებლობს.

Milk Max	Milk Max არის მეწველი ფურის საკვები, რომლის სპეციალური ფორმულა მორგებულია კავკასიის პირობებისთვის ჩვეულ, თივით და ბალახით კვების მეთოდებში ჩასართავად და გამოიყენება საშუალო დღიური მონაწველის მაქსიმალურად გასაზრდელად. პროდუქტების ასორტიმენტი ეფუძნება სტაბილურ ხარისხს და წარმოადგენს ფერმერისთვის ეკონომიკურად რენტაბელურ გადაწყვეტას.
Pig Max	Pig Max სასუქი ღორის კვების ტექნოლოგიაა, რომელიც შემუშავებულია ცხოველთა კვებაში ევროპის წამყვანი სპეციალისტების ჩართულობით. პროდუქტების ასორტიმენტი პრაქტიკულ შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტაა მცირე, საშუალო და ინდუსტრიული ფერმებისთვის. სტაბილური ხარისხით გამორჩეული პროდუქტები პოპულარულია სომხეთსა და საქართველოში.
Layer Max	Layer Max წარმოადგენს მზა საკვებს, რომელიც შემუშავებულია სპეციალურად მაღალპროდუქტიული კვერცხმდებელი ქათმისთვის, დაბალანსებულია ყველა აუცილებელი საზრდო ნივთიერებით და აკმაყოფილებს ფრინველის მოთხოვნას საზრდო ნივთიერებებზე პროდუქტიულობის (კვერცხდების) ყველა ეტაპზე.
აკვაკულტურის საკვები (კალმახი, კობრი, ზუთხი)	ინოვაციური გადაწყვეტები აკვაკულტურის მიმართულებით მოიცავს 15 პროდუქტს და მორგებულია თევზის განვითარების სხვადასხვა ფაზას. პროდუქტები უზრუნველყოფენ თევზის ჯანმრთელობას და სასურსათო თევზის მაღალ საგემოვნო თვისებებს. ნუტრიმაქსის პროდუქტები ფერმერს უზრუნველყოფენ მაქსიმალური შედეგებით დროის მოკლე პერიოდში, საკვებზე ნაკლები დანახარჯით.

Nutrimax Pets

ნუტრიმაქს პეტსი წარმოადგენს ნუტრიმაქსის მიმართულებას, რომელიც სპეციალიზირებულია შინაური ცხოველების კვებაზე. პეტსის მიმართულება ძაღლების, კატების, ლეკვებისა და კნუტებისთვის უმაღლესი ხარისხის მშრალ საკვებს ერთ სივრცეში აერთიანებს. ასორტიმენტში წარმოდგენილია 5 ბრენდი, რომლებიც მოიცავენ როგორც ბიუჯეტურ, ასევე პრემიუმ საკვებს ნებისმიერი საჭიროების, გემოვნებისა და ბიუჯეტის მიხედვით. საკვების წარმოების გარდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გვყავდეს სწორი ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვილი მომხმარებელი, ამიტომ სხვადასხვა აქტივობებით დიდ ყურადღებას ვუთმობთ დავეხმაროთ ადამიანებს ცოდნის გაღრმავებასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

მარკეტინგული ხედვაა, რომ გავზარდოთ არსებულ და სტრატეგიულ ბაზრებზე კომპანიის ცნობადობა და ბრენდების ხილვადობა. აღნიშნულისთვის აქტიურად ვმონაწილეობთ საერთაშორისო და ლოკალურ გამოფენებში, ვიყენებთ ტრადიციულ და ციფრული მიმართულებებს.

- Nutrimax Pets-ის ვებ-გვერდი აერთიანებს კომპანიონი ცხოველების მიმართულების ბრენდებს, რომლებიც შექმნილია ექსპერტების მრავალწლიანი გამოცდილებითა და ინოვაციური ტექნოლოგიებით.
- სოციალურ ქსელებში (Instagram, Facebook, TikTok) აქტიური კამპანიები ხორციელდება არა მარტო საქართველოში, არამედ საექსპორტო ქვეყნებშიც. აღნიშნულის მიზანი ბრენდების განვითარების პროვოცირებაა.

ბრენდების განვითარების მიმართულებით უწყვეტად ხორციელდება ბაზრის კვლევები, როგორც მშრალი საკვების განვითარების კუთხით, ასევე შინაური ცხოველებისთვის საჭირო სხვა პროდუქტებზე.

ნუტრიმაქს პეტსის მიმართულებით წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები:

Winny სტაბილურად ხარისხიანი და დაბალანსებული საკვებით მუდმივად ზრუნავს შინაური ცხოველების კეთილდღეობაზე. ბრენდი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გამორჩეულია ფართო ასორტიმენტით, არხებში ხელმისაწვდომობით და მომხმარებლისთვის წარმოადგენს ფასისა და ხარისხის საუკეთესო კომბინაციას. Winny ბრენდის მრავალფეროვანი ასორტიმენტი კომპანიონი ცხოველებისა და მათი მშობლების საჭიროებების შესაბამისადაა ფორმულირებული. ბრენდის მისიაა გახდეს წამყვანი სტანდარტ-კლასის კომპანიონი ცხოველების საკვები ბრენდი, რომელიც უკეთესობისკენ ცვლის ოთხფეხა მეგობრებისა და მათი მშობლების ცხოვრებას.

Skippy პრემიუმ ხარისხის მშრალი საკვების ბრენდია, რომელიც ზრდასრული ძაღლებისა და კატების, ასევე ლეკვებისთვის შექმნილ ფორმულებს აერთიანებს. ბრენდის გამორჩეულობას განაპირობებს გემოვნური თვისებები - საქონლის მდიდარი არომატი. ნუტრიენტებით დაბალანსებული ფორმულა და პრემიუმ ხარისხის ინგრედიენტები კომპანიონი ცხოველების ფიზიოლოგიურ თავისებურებებზეა მორგებული.

Simpo მშრალი საკვების ბრენდია, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ ერთ პროდუქტზეა ორიენტირებული - ზრდასრული ძაღლის საკვები ბატკნის ფორმულით. აღნიშნული ბრენდი კომპანიონი ცხოველების გემოვნური შეგრძნებების გასამრავალფეროვნებლად შეიქმნა. საკვები ოთხფეხა მეგობრების სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელ ყველა საჭირო ვიტამინ-მინერალოვან დანამატს შეიცავს.

Franky ძაღლებისა და კატების საკვების ბრენდია, რომელიც მომხმარებელს ფასით ყველაზე ხელმისაწვდომ, ხარისხიან პროდუქციას სთავაზობს. Franky ხარისხზე კომპრომისის გარეშე აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას უზრუნველყონ კვება, რომელსაც ოთხფეხა მეგობრები იმსახურებენ.

Competento-ს მარკეტინგული სტრატეგია კომპეტენტური სიყვარულის იდეას ეფუძნება, რომ კომპანიონ ცხოველებზე ზრუნვა არის პასუხისმგებლობა, რომელიც სიყვარულთან ერთად კომპეტენციასაც საჭიროებს. Competento ძაღლისა და კატის პრემიუმ საკვების წარმოების პარალელურად, ცოდნის გაზიარებით კომპანიონი ცხოველების მშობლებს ეხმარება სწორად იზრუნონ ოჯახის მნიშვნელოვან წევრებზე. ჩვენ უნდა ვიქცეთ კომპანიონი ცხოველების ზრუნვისა და კომპეტენტური სიყვარულის სიმბოლოდ, ამიტომაც ადამიანებს ვაძლევთ რჩევებს, რომელთა მეშვეობითაც ოთხფეხა მეგობრებზე ზრუნვას იმარტივებენ და შინაური ცხოველების მოვლას დაიწყებენ ისე - მართლა როგორც საჭიროა:

- Competento-ს ვებ-გვერდი პროფესიონალი ვეტერინარებისა და ნუტრიციოლოგების ჩართულობით შექმნილი მულტიფუნქციური სივრცეა, სადაც კომპანიონ ცხოველებზე უამრავი სასარგებლო ინფორმაცია ხვდებათ ადამიანებს - როგორ შეარჩიონ ცხოვრების სტილის შესაბამისად შინაური ცხოველის ჯიში, ისწავლონ თუ როგორ მოუარონ და კვებონ კომპანიონი ცხოველი სწორად და ა.შ.
- სოციალურ ქსელებში (Facebook-ზე, Instagram-სა და TikTok-ზე) ვავრცელებთ პროდუქტების გამორჩეულობასთან, შემადგენლობასა და მახასიათებლებთან დაკავშირებით ინფორმაციებს. ამასთან ერთად სწორი შემეცნებითი კონტენტით ვამაღლებთ ცნობიერების დონეს, ვავრცელებთ კომპეტენტურ ცოდნას და აქტიური კომუნიკაციით ვეხმარებით ადამიანებს ძაღლებისა და კატების მოვლაში.

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები

კომპანიის ძირითად მომხმარებლებს, რომელთაც ინდივიდუალურად 10%-ზე დიდი წილი აქვთ ჯამურ გაყიდვებში, წარმოადგენენ:

მომხმარებელი	% გაყიდვებში	ძირითადი საქმიანობა	საქმიანობის ქვეყანა
2023			
შპს	21%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	სომხეთი
შპს	10%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	საქართველო
2024			
შპს	21%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	საქართველო
შპს	16%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	სომხეთი
შპს	11%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	საქართველო
2025			
შპს	19%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	საქართველო
შპს	15%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	სომხეთი
შპს	11%	ცხოველთა საკვებით ვაჭრობა	საქართველო

კომპანიის ძირითად მომწოდებლებს, რომელთაც ინდივიდუალურად 10%-ზე დიდი წილი აქვთ ჯამურ შესყიდვებში, წარმოადგენენ:

მომწოდებელი	% შესყიდვებში	ძირითადი საქმიანობა	საქმიანობის ქვეყანა
2023			
შპს	35%	მარცვლეულით ვაჭრობა	საქართველო
2024			
შპს	30%	მარცვლეულით ვაჭრობა	საქართველო
2025			
შპს	26%	მარცვლეულით ვაჭრობა	საქართველო

დაზღვევა

კომპანიის მფლობელობაში არსებული მარაგები და მატერიალური აქტივების დაახლოებით 95% დაზღვეულია, რაც მოიცავს საწარმოო ინფრასტრუქტურას, ტექნოლოგიურ აღჭურვილობასა და სხვა ძირითად საშუალებებს.

დაზღვევა უზრუნველყოფილია სანდო სადაზღვევო კომპანიების მიერ და მიზნად ისახავს კომპანიის ოპერაციული საქმიანობის უწყვეტობის დაცვას, შესაძლო გაუთ ვალისწინებელი რისკების შემთხვევაში.

დადგენილი სადაზღვეო ლიმიტი შეადგენს 21მლნ აშშ დოლარს, რაც, კომპანიის შეფასებით, შეესაბამება ძირითადი მატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულებას და ამცირებს ფიზიკურ აქტივებთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებს.

აღნიშნული სადაზღვევო პოლიტიკა წარმოადგენს კომპანიის რისკების მართვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს და ასახავს კომპანიის კონსერვატიულ მიდგომას აქტივების დაცვასა და ინვესტორების ინტერესების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ინვესტიციები

2023 წლის პირველ კვარტალში კომპანიამ, შვილობილი საწარმოს მეშვეობით, დაასრულა ახალი საწარმოს მშენებლობა. წლის განმავლობაში კაპიტალური დანახარჯები ძირითადად მიმართული იყო Nutrimax Petfood-ის საწარმოს მშენებლობის დასრულებისა და შესაბამისი მანქანა-დანადგარების შეძენისკენ. აღნიშნული ინვესტიციების დაფინანსება განხორციელდა როგორც საბანკო სესხების, ასევე საკუთარი კაპიტალის (გაუნაწილებელი მოგების რეინვესტირების) მეშვეობით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა დამატებითი მნიშვნელოვანი ინვესტიციები ახალგახსნილი შვილობილი კომპანიის საწარმოში. კერძოდ, შეძენილ იქნა რამდენიმე ახალი დანადგარი, რომლებიც მიზნად ისახავს წარმოების ეფექტურობისა და წარმადობის ზრდას, ასევე დანაკარგების შემცირებას. აღნიშნულ წელს ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 500 ათასი ლარი. პროექტები დაფინანსდა საბანკო სესხებით, მათ შორის სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამის – „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში. ამავე წელს კომპანიამ ასევე შეიძინა შპს „ახალი ფერმების“ კუთვნილი მიწის ნაკვეთი და შენობები, თუმცა თანხის დაბრუნება მოხდა „ახალი ფერმების“ შპს „ნუტრიმაქსისადმი“ დებიტორული დავალიანების და სესხის დაფარვის მიზნით.

2025 წლის დასაწყისში კომპანიამ განახორციელა მსხვილი ინვესტიცია განახლებადი ენერგიის მიმართულებით შვილობილ საწარმოში. პროექტის მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 450 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა მზის ელექტროსადგური, რომლის მეშვეობით Nutrimax Petfood-ის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაახლოებით 30% გენერირდება საკუთარი წყაროდან, რაც ამცირებს ენერგოდამოკიდებულებასა და ოპერაციულ ხარჯებს. ინვესტიცია დაფინანსდა საბანკო სესხის საშუალებით. ამავე წელს განხორციელებული ინვესტიციები ასევე მოხმარდა დანადგარების კრიტიკული სათადარიგო ნაწილების შეძენას, საოფისე კოტეჯის მშენებლობას და სხვა კაპიტალურ დანახარჯებს.

ზემოთ ჩამოთვლილი მასშტაბური პროექტები მოცემულია ცხრილში, როგორც მატერიალური ინვესტიციები. კომპანია, ასევე, ახორციელებს სხვა მცირე ზომის კაპიტალურ დანახარჯებს, რაც წარმოდგენილია როგორც სხვა ინვესტიციები:

(ათასი ლარი)	2023	2024	2025
მატერიალური ინვესტიციები	4,000	1,500	1,100
სხვა ინვესტიციები	562	1,380	1,064
სულ ინვესტიციები	4,562	2,880	2,164

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

სამომავლო პროექტები

ამჟამად კომპანია ახორციელებს შემდეგ მნიშვნელოვან ინვესტიციას:

საწყობის მშენებლობა (საქართველო)

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, იგეგმება სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარება შვილობილი კომპანიის ტერიტორიაზე, საერთო ფართით დაახლოებით 2,300 კვ.მ, რაც უზრუნველყოფს:

- იჯარით აღებული საწყობების ეტაპობრივ ჩანაცვლებას და ფიქსირებული ხარჯების შემცირებას;
- ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციას და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას;
- ნედლეულისა და მზა პროდუქციის შენახვის ხარისხის გაუმჯობესებას;
- მარაგების მართვის ეფექტიანობის ზრდას და ოპერაციული რისკების შემცირებას.

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, საწყობის მშენებლობა შვილობილი კომპანიის მიმდებარედ უკვე დაწყებულია და სავარაუდოდ დასრულდება 2026 წლის ივლისში. პროექტის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 600,000 აშშ დოლარს (დღგ-ს ჩათვლით) და საჭიროებისამებრ ფინანსდება „bridge" სესხით, რომლის დაფარვა მოხდება ობლიგაციებით მოზიდული სახსრებით.

კომპანიის სამომავლო კაპიტალური დანახარჯები:

დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია დამტკიცებული გეგმები მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით მომდევნო ორი წლის განმავლობაში.

ინდუსტრიის აღწერა

გასაღების ბაზრები და სექტორის ტენდენციები

ცხოველების საკვების ბაზრის ზომა

საქართველოში ცხოველების საკვების ბაზრის მოცულობა ბოლო 5 წელიწადში გაორმაგდა და 361 მლნ ლარი შეადგინა 2025 წელს. ბაზრის 58.5%ადგილობრივი წარმოებაა, ხოლო 41.5% იმპორტი. 2025 წელს, ჯამურად ბაზრისთვის მიწოდებული პროდუქციის 7.9% გავიდა ექსპორტზე, ხოლო 92.1% იყო ადგილობრივი მოხმარება. აღსანიშნავია, რომ იმპორტის საშუალო ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივი წარმოების, რაც უშუალოდ პროდუქციის განსხვავებით აიხსნება.

დიაგრამა 1: ცხოველების საკვების ჯამური მიწოდება, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 2: ცხოველების საკვების ჯამური მოთხოვნა, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ცხოველების საკვების მოხმარება 2018-25 წლებში საშუალოდ წლიურად 12.0%-ით გაიზარდა და 2025 წელს 135 მლნ კგ-ს მიაღწია. საქართველოში მოხმარებული ცხოველების საკვების 86% ადგილობრივი წარმოების პროდუქტია, ხოლო 14% იმპორტი. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის შემდგომ გაზრდილია ცხოველების საკვების წარმოების წილი მოხმარებაში და შემცირებულია იმპორტის წილი: თუ 2018 წელს წარმოებული პროდუქციის წილი 35 ათას ტონას შეადგენდა (56.6%), 2021 წლიდან იგი მკვეთრად იზრდება - 2024 წელს 106 ათას ტონას (84.9%), 2025-ში 116 ათასს (86.2%) აღწევს. წილის ზრდა წმინდად წარმოების ზრდით ხდება, იმპორტი კი, გარკვეულწილად სტაბილურია.

დიაგრამა 3: ცხოველების საკვების მოხმარება საქართველოში, მლნ კგ



წყარო: საქსტატი, გალტ&თაგარტი

2018–2021 წლებში სექტორის წილი მშპ-ში გაიზარდა, და მიაღწია 0.04%-ს 2021 წელს. ხოლო 2022 წლიდან სექტორის წილი მშპ-ში 0.03%-მდე შემცირდა და 2025 წლამდე შენარჩუნდა მსგავს მაჩვენებელზე.

ბაზრის ზომის შეფარდებამ ეკონომიკის მთლიან გამოშვებასთან პიკს მიაღწია 2021-22 წლებში (0.23%), ხოლო 2025 წლისთვის ჩამოვიდა 0.20%-მდე.

წილი მშპ-ში შემცირდა, რადგან ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა ვიდრე ცხოველების საკვების სექტორი.

დიაგრამა 4: ცხოველების საკვების სექტორის დამატებითი ღირებულების შეფარდება მშპ-სთან მიმდინარე ფასებში



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 5: ცხოველების საკვების მიწოდების* შეფარდება ეკონომიკის მთლიან გამოშვებასთან მიმდინარე ფასებში



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

*მიწოდებაში მოიაზრება წარმოებას დამატებული იმპორტი

ცხოველების საკვებში შედის როგორც ფერმის ცხოველების საკვები, ასევე კომპანიონი შინაური ცხოველების საკვები. ბაზრის მოთხოვნას და მომავალ ზრდას განაპირობებს ფერმების აქტიურობა და ცხოველთა რაოდენობა, ასევე კომპანიონი შინაური ცხოველების რაოდენობის ზრდა.

2018-25 წლებში გაიზარდა ხორცზე მოთხოვნა და შესაბამისად, გაიზარდა ფერმის ცხოველებზე მოთხოვნაც. 2025 წელს, საქართველოში ხორცის მოხმარება წლიურად 81.9 მლნ კგ. იყო, რაც 12.8%-იანი ზრდაა 2018 წელთან შედარებით. ცოცხალი ცხოველების რაოდენობა აღირიცხება წლის ბოლოს მდგომარეობით. 2025 წლის ბოლოს საქართველოში 8.7 მლნ ფრინველი, 0.8 მლნ მსხვილფეხა პირუტყვი და 0.1 მლნ ღორი იყო. დინამიკაში, ცოცხალი ცხოველების რაოდენობა წლის ბოლოსთვის შემცირებულია, განსაკუთრებით 2020 წელთან შედარებით, რაც აიხსნება ხორცზე გაზრდილი მოთხოვნით და სეზონურობით. მთლიანობაში წლის განმავლობაში იმ ფერმის ცხოველების რაოდენობა, რომელიც ქმნის ცხოველის საკვებზე მოთხოვნას, გაზრდილია, ხორცზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე.

ფერმერების ინტერესი ძირითადად მიმართულია, რომ საკვები იყოს შედეგიანი, ანუ იწვევდეს მაგალითად, ცხოველის სწრაფ ზრდას ან რძის რაოდენობის მატებას და ა.შ. უფრო ხშირად გამოიყენება პრემიქსები/ვიტამინ-მინერალური დანამატები, ფერმენტების და სხვა ფუნქციური კომპონენტების დამატება, რათა ერთსა და იმავე ნედლეულზე უკეთესი შედეგი მიიღონ.

დიაგრამა 6: ცხოველების რაოდენობა სახეობების მიხედვით დეკემბრის მდგომარეობით, მლნ სული

დიაგრამა 7: ხორცის წარმოება, მლნ კგ



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ტოპ კომპანიები

საქართველოში ცხოველების საკვების მწარმოებელი კომპანიების შემოსავალი 2018-25 წლებში წლიურად 24.6%-ით გაიზარდა და 209.6 მილიონ ლარს მიაღწია.

დიაგრამა 8: ცხოველების საკვების მწარმოებლების შემოსავალი, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ტოპ 5 კომპანიას 2024 წელს ბაზრის 80.4% ეკავათ . ეს კომპანიებია:

1. **ნუტრიმაქსი** წლების მანძილზე ბაზრის ლიდერია და იკავებს საქართველოს ცხოველების საკვების ბაზრის 48.1%-ს. 2018-24 წლებში ნუტიმაქსის შემოსავლები წლიურად საშუალოდ 25.2%-ით გაიზარდა. ნუტიმაქსის საქმიანობა წარმოადგენს ფერმის და კომპანიონი ცხოველებისთვის მზა საკვების წარმოებას და საბითუმო ვაჭრობას. ასევე კომბინრებული საკვების, საკვები დანამატების და კვების ტექნოლოგიების მიწოდებას.
2. **ინვეტ ფიდი** იკავებს საქართველოს ცხოველების საკვების ბაზრის 22.4%-ს. 2018-24 წლებში ინვეტ ფიდის შემოსავლები წლიურად საშუალოდ 28.1%-ით გაიზარდა. ინვეტი მომხმარებელს სთავაზობს

ანტიბაქტერიული, ანტიპარაზიტული, ვაქცინები, ვიტამინები, მინერალები, სადეზინფექციო საშუალებები, ცხოველთა და ფრინველთა ბალანსირებული კვებას, საკვებიდანამატებს და ზოოპროდუქციას.

3. **აგრო ლუქსი** იკავებს საქართველოს ცხოველების საკვების ბაზრის 5.3%-ს. 2018-24 წლებში აგრო ლუქსის შემოსავლები წლიურად საშუალოდ 21.0%-ით გაიზარდა. აგრო ლუქსი აწარმოებს და საბითუმოდ ვაჭრობს შინაური ცხოველების და პირუტყვის საკვებით.

4. **სმარტ ფიდი** იკავებს საქართველოს ცხოველების საკვების ბაზრის 3.6%-ს. სმარტ ფიდის საქმიანობა წარმოადგენს შინაური ცხოველების და ფრინველების საკვების წარმოებას და ვაჭრობას.

5. **აგრო უნივერსალი** იკავებს საქართველოს ცხოველების საკვების ბაზრის 1.0%-ს. 2021-24 წლებში აგრო უნივერსალის შემოსავლები წლიურად საშუალოდ 7.7%-ით შემცირდა. კომპანია აწარმოებს და ყიდის საკვებსა და საკვებ დანამატებს შინაური ცხოველებისთვის.

დიაგრამა 9: ტოპ-5 ცხოველების საკვების მწარმოებელი კომპანიების ბაზრის წილი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: წილი მწარმოებელი კომპანიების ჯამურ (ინდივიდუალურ) შემოსავალთან შედარებით, დიაგრამა 5

ტოპ-5 კომპანიის საშუალო შეწონილი EBITDA მარჟა 2024 წელს 7.8%-ს შეადგენდა, ხოლო წმინდა მოგების მარა 4.2%-ს.

დიაგრამა 10: ტოპ-5 კომპანიის Net profit margin



წყარო: Reportal

დიაგრამა 11: ტოპ-5 კომპანიის EBITDA margin



წყარო: Reportal

ცხოველების საკვების იმპორტი

საქართველოში ხორციელდება როგორც კომპანიონი ცხოველების, ასევე ფერმის ცხოველების საკვების იმპორტი. კომპანიონი ცხოველების საკვები უფრო ძვირადღირებული პროდუქტია, ფერმის ცხოველების საკვებთან შედარებით. ეს ორი პროდუქტი განსხვავდება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით, ამიტომ მათ ცალ-ცალკე მიმოვიხილავთ.

დიაგრამა 12: ცხოველების საკვების იმპორტი საქართველოში, მლნ აშშ$



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 13: ცხოველების საკვების იმპორტის საშუალო ფასი საქართველოში, აშშ$/კგ



წყარო: საქსტატი

საქართველოში კომპანიონი ცხოველების საკვების იმპორტის ღირებულება 2018-25 წლებში საშუალოდ 20.9%-ით იზრდებოდა და 2025 წელს 27.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ტოპ 3 იმპორტიორი ქვეყნებია: 1) თურქეთი, საიდანაც 2025 წელს შემოტანილია ჯამურად 5.0 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 18.2%) ღირებულების პროდუქცია; 2) ესპანეთი, 2.9 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 10.6%) საერთო ღირებულებით; 3) საფრანგეთი 2.9 მლნ აშშ დოლარი (ჯამურის 10.6%). ამასთან, საფრანგეთიდან შემოდის საშუალოდ ყველაზე მაღალი ღირებულების პროდუქცია (კგ-ის საშუალო ფასი $4.1 იყო 2025წელს).

დიაგრამა 14: კომპანიონი ცხოველების საკვების იმპორტი საქართველოში, მლნ აშშ$



დიაგრამა15: კომპანიონი ცხოველების საკვების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2025



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

საქართველოში ფერმის ცხოველების საკვების იმპორტის ღირებულება 2018-25 წლებში საშუალოდ 6.5%-ით გაიზარდა და 2025 წელს 27.0 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ტოპ 3 იმპოტიორი ქვეყანაა: 1) პოლონეთი, საიდანაც 2025 წელს შემოტანილია ჯამურად 4.4 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 16.5%) ღირებულების პროდუქცია; 2) იტალია, 3.2 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 11.8%) საერთო ღირებულებით; 3) თურქეთი 2.8 მლნ აშშ დოლარი (ჯამურის 10.2%) იმპორტით.

დიაგრამა 16: ფერმის ცხოველების საკვების იმპორტი საქართველოში, მლნ აშშ$



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 17: ფერმის ცხოველების საკვების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2025



წყარო: საქსტატი

<u>ცხოველების საკვების ექსპორტი</u>

საქართველოდან ხორციელდება როგორც კომპანიონი ცხოველების, ასევე ფერმის ცხოველების საკვების ექსპორტი. იმპორტის მსგავსად, კომპანიონი ცხოველების საკვები უფრო ძვირადღირებული პროდუქტია, ფერმის ცხოველების საკვებთან შედარებით.

საქართველოდან ცხოველების საკვების ექსპორტის ღირებულება 2018-25 წლებში საშუალოდ 39.9%-ით იზრდებოდა და 2025 წელს 10.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ტოპ 3 ექსპორტიორი ქვეყნებია: 1) სომხეთი, სადაც 2025 წელს გავიტანეთ ჯამურად 7.2 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 69.8%) ღირებულების პროდუქცია; 2) აზერბაიჯანი, 1.6 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 15.2%) საერთო ღირებულებით; 3) უზბეკეთი 0,7 მლნ აშშ დოლარი (ჯამურის 6.8%).

დიაგრამა 18: ცხოველების საკვების ექსპორტი საქართველოდან, მლნ აშშ$

დიაგრამა 19: ცხოველების საკვების ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2025



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

საცალო ფასები

კომპანიონი ცხოველების საკვების საცალო ფასები საქართველოში 2018-24 წლებში საერთო ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2025 წლის ოქტომბრის მონაცემებით 10.7 ლარს შეადგენს 1კგ პროდუქციაზე.

დიაგრამა 20: კომპანიონი ცხოველების საკვების საცალო ფასი საქართველოში, ლარი კგ-ზე



წყარო: საქსტატი

რეგულაცია

საქართველოს მთავრობის №59 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ ავალდებულებს ყველა ფერმერს, დაიცვას ცხოველის საკვების შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები, რათა არ მოხდეს საკვების აფლატოქსინით დაბინძურება.

აფლატოქსინი ობის სოკოებისაგან წარმოიქმნება. დაბინძურებული საკვების მიღებით, აფლატოქსინი ხვდება ცხოველის ორგანიზმში და გადადის რძეში, გარდაიქმნება ტოქსინად და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, ლაბორატორიული კვლევის შედეგად, აფლატოქსინი გამოვლინდა რძის 9 ნიმუშში, 2023 წელს კი 14 ნიმუშში; აღნიშნულიდან გამომდინარე,საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 29 თებერვალს მიიღო დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ, რომელიც 2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.

რეგულაციის შედეგად, ცხოველების საკვების მწარმოებელ კომპანიებს აეკრძალათ აფლატოქსინით დაბინძურებული საკვების წარმოება. შესაბამისად, ამ კომპანიებს მოუწიათ პროდუქციის შეცვლა და წარმოების გადაწყობა.

კონკურენტული პოზიცია

სექციაში მოცემულია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური ინფორმაციის შედარება ბაზრის სხვა მოთამაშეებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცხოველთა საკვების წარმოების სექტორში წარმოდგენილია მხოლოდ 3 კომპანია, რომელთა ბაზრის წილი ინდივიდუალურად 5%-ს აღემატება. თუმცა, ანგარიშგების შესადარისობიდან გამომდინარე, ცხილში წარმოდგენილია მხოლოდ კონკურენტი კომპანია: შპს “ინვეტ ფიდი”, რომლის ძირითადი საქმიანობაც „ემიტენტის“ მსგავსად საქართველოში ცხოველების საკვების წარმოებაა. 2024 წლის ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია კომპანიების ადუტირირებულ ანგარიშგებებზე დაყრდნობით.

	შპს ნუტრიმაქსი 2024	**შპს ინვეტ ფიდი 2024**
ათასი ლარი	(აუდიტირებული)	(აუდიტირებული)
მოგება-ზარალი		
შემოსავალი	80,381	**39,826**
საერთო მოგება	**15,552**	**3,362**
საერთო მოგების მარჟა	*19.3%*	8.4%
EBITDA	**7,117**	**1,851**
EBITDA მარჟა	*8.9%*	4.6%
წმინდა მოგება	**2,297**	**1,691**
წმინდა მოგების მარჟა	*2.9%*	4.2%
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
მიმდინარე აქტივები	17,774	12,596
გრძელვადიანი აქტივები	25,274	3,038
ჯამური აქტივები	**43,048**	**15,634**
მიმდინარე ვალდებულებები	23,796	4,491
გრძელვადიანი ვალდებულებები[8]	6,503	84
ჯამური ვალდებულებები	**30,299**	**4,575**
კაპიტალი	**12,749**	**11,058**
კოეფიციენტები		
ფინანსური ვალდებულებები/EBITDA	3.57x	1.31x
მიმდინარე კოეფიციენტი	0.75x	2.80x
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	2.45x	116.89x
მარაგების ბრუნვის დღეები (DIO)	71.2x	48.5x
დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO)	14.0x	33.0x
კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DPO)	19.3x	21.2x
ფულის ამოღების ციკლი	**65.8x**	**60.3x**

[8] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2025 სრული წლის არააუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2024 წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და 2023 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ მონაცემებს. წინამდებარე თავი განხილულ უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან ერთად, ისევე როგორც პროსპექტის სხვაგან არსებულ ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ, ემიტენტის ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვან ცვლილებებას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ემიტენტის 2024 და 2023 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები და 2025 წლის არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების (ერთობლივად IFRS), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და „ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიას მიღებული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება აუდიტის ყველა წლიურ ანგარიშზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

კომპანიის აუდიტორი ყურადღებას ამახვილებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემდეგ შენიშვნებზე:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა ნომერი 2.1 - ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სადაც აღწერილია, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (სრული ფასს) შესაბამისად. აღნიშნულ შენიშვნაში დეტალურადაა განმარტებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანასური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტიდან (მსს ფასს) სრულ ფასს-ზე გადასვლის პროცესი, მათ შორის ფასს 1- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენებით განსაზღვრული შეღავათების გამოყენება და ამ გადასვლის გავლენა კომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. აუდიტორის მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-23.2 ე შენიშვნაზე (გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები)*, რომლებშიც მოცემულია დამფუძნებლისა მიერ აღებული სესხების ფარგლებში ჯგუფის მიერ, როგორც თანამსესხებლის, თავდებისა (სოლიდარული მოვალის) და დამგირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დეტალები. აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	24,443	23,222	22,107
არამატერილური აქტივები	170	101	117
აქტივის გამოყენების უფლება	1,023	1,279	2,030
ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები	131	672	249
სულ გრძელვადიანი აქტივები	**25,767**	**25,274**	**24,503**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	17,668	13,015	12,282
გაცემული სესხები მოკლევადიანი	392	-	325

სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	3,436	2,638	3,507
გადახდილი ავანსები და სხვა მიმიდნარე აქტივები	1,692	1,330	1,573
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	170	791	635
სულ მოკლევადიანი აქტივები	**23,358**	**17,774**	**18,322**
სულ აქტივები	**49,125**	**43,048**	**42,825**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	14,096	12,749	13,004
სულ საკუთარი კაპიტალი	**14,096**	**12,749**	**13,004**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები[9]	539	5,369	8,746
გრძელვადიანი იჯარა	24	313	722
გადავადებული შემოსავალი	794	821	848
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**1,357**	**6,503**	**10,316**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	28,065	19,335	15,968
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი	289	410	553
საგადასახდო ანარიცხი	107	72	36
გადავადებული შემოსავალი	27	27	27
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,184	3,952	2,921
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**33,672**	**23,796**	**19,505**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**49,125**	**43,048**	**42,825**

მთლიანი აქტივები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანმა აქტივებმა 49,125 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 14.1%-ით არის გაზრდილი. ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრიდან ძირითადად გამოიწვია სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდამ. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი აქტივებიდან გრძელვადიანი და მიმდინარე ნაწილები შეადგენდა 52.5% და 47.5%-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა აქტივებმა 43,048 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით არაარსებითად, 0.5%-ით არის გაზრდილი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი აქტივებიდან გრძელვადიანი და მიმდინარე ნაწილები შეადგენდა 58.7% და 41.3%-ს. (31/12/2023: 57.2% და 42.8%).

გრძელვადიანი აქტივები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი აქტივების უდიდეს ნაწილს, 94.9%-ს წარმოადგენდა ძირითადი საშუალებები (31/12/2024: 91.9%; 31/12/2023: 90.2%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი აქტივების ღირებულება შეადგენდა 25,274 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 3.1%-ით იყო გაზრდილი.

ძირითადი საშუალებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შეადგენდა 24,443 ათას ლარს, რაც 5.3% (ნომინალურად 1,221 ათასი ლარი) ზრდას წარმოადგენს 2024 წელთან შედარებით. 2024 წელს ძირითადი საშუალებები შეადგენდა 23,222 ათას ლარს, რაც 2023 წელთან შედარებით 5.0% (1,115 ათასი ლარი) ზრდას წარმოადგენს.

„კომპანიის“ ძირითადი საშუალებები მოიცავს: მიწა და შენობებს, ელევატორს, მანქანა-დანადგარებს, საოფისე აღჭურვილობას, ავეჯს და სხვა ინვენტარს, სატრანსპორტო საშუალებებსა და დასადგმელ მოწყობილობებს/დაუმთავრებელ მშენებლობას.

[9] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო მოცულობების ჩაშლა კატეგორიების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	მიწა და შენობა	ელევატორი	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დასადგმელი მოწყობილობები/ დაუმთავრებელი მშენებლობა	**სულ**
31.12.2023	9,511	817	9,791	1,444	136	408	**22,107**
31.12.2024	9,859	791	10,678	1,415	121	358	**23,222**
31.12.2025	10,813	765	10,554	1,300	104	907	**24,443**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების 1,211 ათასი ლარით ზრდა მეტწილად უკავშირდება კომპანიის მიერ განხორციელებულ კაპიტალურ დანახარჯებს მზის პანელების დამონტაჟებასა და საოფისე კოტეჯი მშენებლობისათვის, ასევე „კომპანიის“ მიერ შპს „ახალი ფერმების“ უძრავი ქონების შეძენით (აღნიშნული ტრანზაქციის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „გაცემული სესხები“) და შვილობილი კომპანიისთვის დანადგარების კრიტიკული ნაწილების შესყიდვით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ზრდა განპირობებულია კომპანიის მიერ განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციებით, მათ შორის ახალი მიწა/შენობების შეძენით, ასევე დაუმთავრებელ მშენებლობაში კაპიტალის დაბანდებით, რომელთა ჯამური ეფექტი აღემატებოდა საანგარიშო პერიოდში დარიცხულ ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 7-40 წელი
- ელევატორი 40 წელი;
- მანქანა დანადგარები 2-20 წელი;
- საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 1-20 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 6-15 წელი

არამატერიალური აქტივები

“კომპანიის” არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს ლიცენზიებსა და სავაჭრო ნიშნებს 2025 წელს ზრდა 170 ათას ლარამდე ზრდა (68.1% ზრდა 2024 წელთან შედარებით) უკავშირდება ბრენდების ასროტიმენტის გაფართოებას.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება მეტწილად უკავშირდება მანქანა-დანადგარებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სასაწყობე ფართების იჯარებს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო მოცულობა შეადგენდა 2,030 ათას ლარს, რაც 2024 წლისთვის 1,279 ათას ლარამდე (37.0%-ით), ხოლო 2025 წლის დეკემბრისთვის 1,023 ათას ლარამდე (20.0%-ით) შემცირდა.

იჯარების შემცირება უკავშირდება კომპანიის სტრატეგიას, კერძოდ იჯარით აღებული ფართების ჩანაცვლებას საკუთარი საასაწყობე ფართებით.

ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები

2024 წლის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები შეადგენდა 672 ათას ლარს, რაც ძირითადად უკავშირდებოდა შპს „ახალი ფერმების“ უძრავი ქონების შეძენას. 2025 წლის მდგომარეობით, აღნიშნული ავანსების ნაწილი აისახა ძირითად საშუალებებში. 2025 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები შეადგენდა 131 ათას ლარს.

მოკლევადიანი აქტივები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი აქტივები შეადგენდა 23,358 ათას ლარს, რაც 2024 წელთან შედარებით 31.4% ზრდას წარმოადგენს (31/12/2024: 17,774 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეული იყო სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდით.

მოკლევადიანი აქტივები დიდწილად შედგება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებით, სავაჭრო დებიტორული დავალიანებითა და გადახდილი ავანსებით (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად მოკლევადიანი აქტივების 97.6%). ნაკლებად არსებითი წილი უჭირავთ გაცემულ სესხებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

2025 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 35.7%-ით (4,653 ათასი ლარით) გაიზარდა და 17,668 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული საბალანსო ზრდა მეტწილად გამოწვეულია დეკემბერში „კომპანიის“ მიერ სოიოს მომარაგებით. სოიოს შროტი წარმოადგენს „კომპანიის“ წარმოებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნედლეულს, რომელიც გამოიყენება პროდუცქიის უმეტეს ნაწილში. „კომპანია“ სოიოს შროტის შესყიდვას ახდენს საბითუმოდ, დაახლოებით 1-1.5 მლნ აშშ დოლარის პარტიებად, რაც წელიწადში ხდება დაახლოებით 5-7 ჯერ, საჭიროებისამებრ. შესაბამისად, გაზრდილ მარაგებს დიდწილად განაპირობებს სოიოს პარტიის დეკემბერში მიღება..

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, ნაკლებად არსებითად, 6.0%-ით გაიზარდა 13,015 ათას ლარამდე (31/12/2023: 12,282 ათასი ლარი).

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს: მზა პროდუქციას, გასაყიდი და სამეწარმეო პროცესში გამოსაყენებელს საქონელს, ჩანთებსა და ეტიკეტებს დასრულებული პროდუქციისთვის და სათადარიგო ნაწილებსა და სხვა მარაგებს. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
მზა პროდუქცია	1,655	2,332	2,542
გასაყიდი და სამეწარმეო პროცესში გამოსაყენებელი საქონელი	13,314	8,456	7,933
ჩანთები და ეტიკეტები დასრულებული პროდუქციისთვის	1,296	960	883
სათადარიგო ნაწილები და სხვა მარაგები	1,404	1,267	924
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**17,668**	**13,015**	**12,282**

2025 წლის 31 დეკემბრის მდოგმარეობით, მარაგების კატეგორიებში ყველაზე მატერიალური (57.4%-ით/4,858 ათასი ლარით) ზრდა აღინიშნება გასაყიდ და სამეწარმეო პროცესში გამოსაყენებელი საქონელში, რომელსაც მათ შორის, მიეკუთვნება ზემოთხსენებული სოიოს შროტი. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის წარმოებასთან ერთად, კომპანია სოიოს შროტის რეალიზაციასაც ახდენს.

სავაჭრო და დებიტორული დავალიანება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანება გაიზარდა 30.3%-ით და შეადგინა 3,436 ათასი ლარი. აღნიშნული ზრდა განპირობებულია როგორც დებიტორული დავალიანების ფაქტობრივი ზრდით, ასევე საეჭვო ვალების რეზერვების შემცირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული დავალიანება შემცირდა 24.8%-ით და შეადგინა 2,638 ათასი ლარი (31/12/2023: 3,508 ათასი ლარი). აღნიშნული შემცირება განპირობებულია როგორც დებიტორული

დავალიანების ფაქტობრივი კლებით, ასევე საეჭვო ვალების რეზერვების ზრდით. საეჭვო ვალების რეზერვის ზრდა დიდწილად უკავშირდებოდა ერთეული შედარებით მსხვილი დებიტორის დავალიანების გაუფასურებას.

სავაჭრო და დებიტორული დავალიანებისა და საეჭვო ვალების რეზერვის დინამიკა წარმოდგენილია ცხრილში:

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	4,138	3,380	4,057
საეჭვო ვალების რეზერვი	(701)	(742)	(550)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	**3,436**	**2,638**	**3,507**

აღსანიშნავია, რომ დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეებში შეინიშნება კლების დინამიკა. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წლის მდგომარეობით 16.2-ს შეადგინდა, 2024 წლის მდგომარეობით 14.0-ს, ხოლო 2025 წლის მდგომარეობით, 12.1-მდე შემცირდა. დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეების შემცირება ძირითადად განპირობებულია გაყიდვების მოცულობის ზრდით იმავე საკრედიტო ლიმიტების პირობებში. კომპანიას დილერებთან აქვს წინასწარ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში არსებითად არ შეცვლილა. შესაბამისად, გაყიდვების ზრდამ არსებული ლიმიტების ფარგლებში გამოიწვია დებიტორული დავალიანების ბრუნვის მაჩვენებლის ბუნებრივი გაუმჯობესება.

გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები 27.2%-ით გაიზარდა და 1,692 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსების ზრდას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები შემცირდა 15.4%-ით (243 ათასი ლარით) და შეადგინა 1,330 ათასი ლარი (31/12/2023: 1,573 ათასი ლარი). აღნიშნული შემცირება მეტწილად უკავშირდება სავაჭრო მომწოდებლებთან გადახდილი ავანსების შემცირებით.

გაცემული სესხები

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
გრძელვანიანი სესხი	**-**	-	-
მოკლევადიანი სესხი			
გენერალური დირექტორის და დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	0	-	321
თანამშრომელზე გაცემული სესხი	(0)	-	3
კომპანიაზე გაცემული სესხი	392	-	
დამფუძნებელი იურიდიული პირი	-	-	1
სულ გაცემული სესხები	**392**	**-**	**325**

2023 წელს გაცემული სესხებიდან 321 ათასი ლარი გაცემული იყო დამფუძნებლის, ბექა ბექაიას საკუთრებაში არსებული კომპანია - შპს „ახალ ფერმებზე“ (ს/ნ: 404577837) (IV კატეგორია), რომელიც წარმოადგენდა ქათმის ფერმას. აღნიშნული კომპანია წარმოადგენდა როგორც მსესხებელს, ასევე „ნუტრიმაქსის“ სავაჭრო დებიტორს.

სესხის ძირითადი პირობები იყო:

მიზნობრიობა - საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება;
გაცემის თარიღი: 2019 წლის 12 ივლისი;
დაფარვის თარიღი: 2024 წლის 30 დეკემბერი;

სესხის ვალუტა: აშშ დოლარი
საპროცენტო განაკვეთი: 6.5% ფიქსირებული;
უზრუნველყოფა: არაუზრუნველყოფილი;

2023 წელს შეჩერდა „ახალი ფერმების“ საქმიანობა, თუმცა შპს „ნუტრიმაქსი“ წარმოადგენდა თავდებს და ემსახურებოდა კომპანიის საბანკო სესხებს. „ახალ ფერმებზე“ „ნუტრიმაქსის“ მიერ გაცემული აღნიშნული სესხის დაფარვა მოხდა 2024 წელს. კერძოდ, შპს „ნუტრიმაქსმა“ „Savvy”-ს მიერ შეფასებული საბაზრო ღირებულებით შეისყიდა შპს „ახალი ფერმების“ უძრავი ქონება, ხოლო აღნიშნული თანხით მოხდა „ნუტრიმაქსისადმი“ სესხის დაფარვა.

2025 წელს, გაცემული სესხები მოიცავს შპს „გალაქსი ჯორჯიაზე“ (ს/ნ: 204508274) (IV კატეგორია) გაცემულ მოკლევადიან სესხს, რომელიც ასევე წარმოადგენს დაკავშირებულ კომპანიას (არსებობს ოჯახური კავშირი „ემიტენტის“ ბენეფიციარსა და შპს „გალაქსი ჯორჯიას“ ბენეფიციარს შორის).

სესხის ძირითადი პირობებია:
მიზნობრიობა - კაპიტალური დანახარჯები;
გაცემის თარიღი: 2024 წლის 18 ოქტომბერი;
დაფარვის თარიღი: 2027 წლის 19 ივლისი;
სესხის ვალუტა: ლარი
საპროცენტო განაკვეთი: 14% ფიქსირებული;
უზრუნველყოფა: არაუზრუნველყოფილი;

აღნიშნული სესხი გაიცა 2024 წლის შემოდგომაზე, თუმცა გამომიმდინარე იქედან რომ მისი დაფარვა არ ფიქსირდებოდა, სესხი იმავე წელს სრულად გაუფასურდა. მიუხედავად სესხის დაფარვის გადავადებისა, მასზე გრძელდებოდა პროცენტის დარიცხვა. 2025 წელს განახლდა სესხის დაფარვა და აღდგა საბალანსო ღირებულებით 392 ათასი ლარი. შპს „გალაქსი ჯორჯია“ წარმოადგენს „კომპანიის“ მომწოდებელს როგორც ნედლეულის, ასევე მომსახურების მხრივ. გაცემული სესხის მიზნობრიობა წარმოადგენდა სატვირთო მანქანების შეძენა, რომელთაც „გალაქსი ჯორჯია“ ასევე იყენებს „ნუტრიმაქსისათვის“ გაწეული სერვისებისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ჩაშლა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია ცხრილში:

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	158	747	343
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12	44	292
ნაღდი ფული სალაროში	-	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**170**	**791**	**635**

ვალდებულებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები შეადგენდა 35,029 ათას ლარს, რაც წინა წელთან 15.6% ზრდას წარმოადგენს. ხოლო, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჯამური ვალდებულებები შეადგენდა 30,299 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებად არსებით, 1.6% ზრდას წარმოადგენს (31/12/2023: 29,820 ათასი ლარი). 2025 წელს ზრდა დიდწილად გამოწვეულია როგორც სასესხო ვალდებულებებით, ასევე სავაჭრო და კრედიტორული დავალიანების ზრდით.

ნასესხები საშუალებები

„კომპანიის“ ნასესხები სახსრებმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 28,605 ათასი ლარს შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15.8% ზრდას წარმოადგენს (31/12/2024: 24,704 ათასი ლარი). საბალანსო ცვლილება უმნიშვნელო იყო 2024 წლის განმავლობაში, როდესაც კომპანიის ნასესხები სახსრები მხოლოდ 10 ათასი ლარით შემცირდა (31/12/2023 ნასესხები სახრები: 24,714 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

2025 წლის მოცემულობით, „კომპანია“ არღვევდა “ბაზისბანკთან” ხელშეკრულებით გათვალისწინებულ DSCR და ICR კოვენანტებს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, „კომპანიას“ ბანკისგან მოპოვებული აქვს გათავისუფლების წერილი (waiver letter). გათავისუფლების წერილი კომპანიას მიღებული აქვს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, 2026 წელს 4 თებერვალს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ “ბაზისბანკს” არ განუხორციელებია ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრული უფლებები, კომპანიამ 2025 წლის ანგარიშგებაში, ბანკისადმი ვალდებულებები დააკლასიფიცირა როგორც მიმდინარე.

„კომპანიის“ ნასესხები სახსრები შედგება როგორც საბანკო, ასევე დამფუძნებლისგან მიღებული სესხისაგან. „ემიტენტის“ ნასესხები სახსრების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „კაპიტალიზაცია და დავალიანება“

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

„კომპანიის“ სავაჭრო და სხვა კრედიტორულმა დავალიანებამ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,184 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 31.2% ზრდას წარმოადგენს (31/12/2024: 3,952 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო როგორც მიღებული ავანსების, ასევე სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდით, რაც მეტწილად „კომპანიის“ მიერ მარაგების ზრდას უკავშირდება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდამ 2024 წლის განმავლობაში 35.3% შეადგინა (31/12/2023: 2,921 ათასი ლარი). 2024 წლის ზრდაც ასევე მეტწილად მიღებული ავანსების და სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდის საფუძველზე მოხდა.

2023 წლის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები 21.9-ს შეადგენდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის მდგომარეობით 19.3-მდე შემცირდა, ხოლო 2025 წლის მდგომარეობით კვლავ გაიზარდა 22.5-მდე.

სავაჭრო და სხვა კრედიტორულმა დავალიანების ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,263	2,994	2,413
გადასახდელი ხელფასები	145	205	261
მიღებული ავანსები	1,776	753	136
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	111
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**5,184**	**3,952**	**2,921**

გადავადებული შემოსავალი

2015 წელს ჯგუფმა სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტოსგან" მიიღო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული რკინიგზის ლიანდაგი 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. მიწის რეალური ღირებულება 1,179 ათასი ლარის ოდენობით ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული იქნა, როგორც გადავადებული შემოსავალი. "სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჯგუფს წარმოექმნა გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც სრულად შესრულდა 2018 წლის ივლისში. მიწის რეალური ღირებულება ანგარიშგებაში წარდგენილ იქნა, როგორც გადავადებული შემოსავალი და ყოველწლიურად, სისტემატიურ საფუძველზე (27 ათასი ლარის მოცულობით) ამორტიზდება პერიოდის მოგება-ზარალში მასზე არსებული შენობის ცვეთის პროპორციულად.

კაპიტალი

შპს „ნუტრიმაქსის“ საკუთარი კაპიტალი 2023, 2024 და 2025 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად წარმოდგენილია გაუნაწილებელი მოგებით.

2025 წლის მდგომარეობით, გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 14,096 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 10.6% ზრდას წარმოადგენს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგების მოცულობამ შეადგენდა 12,749 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 2.0%-ით არის შემცირებული. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში გაცემული დივიდენდის ოდენობამ გადააჭარბა შესაბამისი წლის წმინდა მოგებას.

2025 წლის განმავლობაში, კომპანიამ განაცხადა 2,095 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდი (გადახდა: 1,821 ათასი ლარი). 2024 წელს გაცხადებულმა დივიდენდმა 2,552 ათასი ლარი შეადგინა (გადახდა: 2,812 ათასი ლარი), ხოლო 2023 წელს 2,879 ათასი ლარი (გადახდა: 2,798 ათასი ლარი).

უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღიდან, პროსპექტის დამტკიცებამდე, ემიტენტმა დამატებით გასცა 1,762 ათასი ლარი. ობლიგაციების ემისიამდე, „კომპანია“ არ გეგმავს დამატებით დივიდენდების გაცემას.

კომპანიას განთავსებულული აქვს 10,000 ერთეული წილი. კომპანიის განთავსებული კაპიტალი და განთავსებული წილის ნომინალური ღირებულება განსაზღვრული არ არის.

კომპანიას არ აქვს განსაზღვრული დივიდენდების პოლიტიკა.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება წარმოდგენილია ცხრილში:

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	**-**	**12,217**	**12,217**
გაცემული დივიდენდები	-	(2,879)	(2,879)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,666	3,666
31 დეკემბერი 2023	**-**	**13,004**	**13,004**
გაცემული დივიდენდები	-	(2,552)	(2,552)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,297	2,297
31 დეკემბერი 2024	**-**	**12,749**	**12,749**
გაცემული დივიდენდები	-	(2,095)	(2,095)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,442	3,442
31 დეკემბერი 2025	**-**	**14,096**	**14,096**

საოპერაციო შედეგები

ქვემოთ მოცემულ პერიოდებზე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია „ფასს“ სტანდარტებთან შესაბამისობით.

	2025	2024	2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	91,502	80,381	75,626
გაყიდვების თვითღირებულება	(73,794)	(64,829)	(59,546)
საერთო მოგება	**17,709**	**15,552**	**16,080**
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	(4,529)	(4,004)	(3,913)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(7,203)	(6,354)	(5,960)
ფინანსური შემოსავალი	125	34	14
ფინანსური ხარჯი	(2,804)	(2,280)	(2,102)
სხვა (მოგება)/ზარალი	342	(310)	(159)
მოგება დაბეგვრამდე	**3,639**	**2,638**	**3,960**
მოგების გადასახადის ხარჯი	(197)	(341)	(294)
მიმდინარე წლის მოგება	**3,442**	**2,297**	**3,666**

შემოსავალი რეალიზაციიდან

„კომპანია“ შემოსავალს აგენერირებს 20-ზე მეტი სხვადასხვა პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც მოიცავს როგორც მზა პროდუქციას „ნუტრიმაქს ფიდის“ და „ნუტრიმაქს პეტფუდის“ მიმართულებებით, ასევე შუალედური ნედლეულის გაყიდვით, როგორიცაა სოიოს შროტი.

2025 წლის მდგომარეობით, შემოსავლების ჩაშლა მზა პროდუქციისა და ნედლეულის მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკზე:

	2025	2024	2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ამონაგები მზა პროდუქციიდან	83,313	71,391	69,175
ამონაგები მარაგების გაყიდვიდან	8,189	8,990	6,451
სულ შემოსავლები	**91,502**	**80,381**	**75,626**

2025 წელს ჯამური შემოსავლები 13.8%-ით გაიზარდა და 91,502 ათასი ლარი შეადგინა. ზრდა შესამჩნევი იყო 2024 წელსაც, როდესაც ჯამური გაყიდვები 6.3%-ით გაიზარდა და 80,381 ათას ლარს მიაღწია (2023 შემოსავლები: 75,626 ათასი ლარი).

2025 წელს აღსანიშნავია მნიშვნელოვანი, 16.7% ზრდა მზა პროდუქციაში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მთავარ და მაღალმარჟიან პროდუქტს. 2024 წელს აღნიშნული სეგმენტის გაყიდვები 3.2%-ით გაიზარდა და 71,391 ათასი ლარი შეადგინა (2023: 69,175 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან კომპანიამ გააფართოვა პეტფუდის მიმართულებით ბრენდების ასორტიმენტი და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა გაყიდვებში (პეტფუდის რეალიზაცია, ათასი ტონა - 2023: 1.9, 2024: 4.4, 2025: 6.1). პროდუქტზე მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე, კომპანიამ გაყიდვები ასევე გაზარდა ფიდის მიმართულებითაც, კერძოდ ბროილერის და მეხორცეული საქონლის საკვების მიმართულებით. ბიზნების მიმართულების მიხედვით გაყიდვების დინამიკის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „კომპანიის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები“.

2025 წელს ნედლეულის რეალიზაცია 8.9%-ით შემცირდა და 8,189 ათასი ლარი შეადგინა. თუმცა, ზრდა შესამჩნევი იყო 2024 წელს, როდესაც მარაგების გაყიდვა 39.4%-ით გაიზარდა და 8,990 ათასი ლარი შეადგინა (2023: 6,451 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ მარაგების რეალიზაცია კომპანიისთვის წარმოადგენს არა შემოსავლის არსებით წყაროს, არამედ

საბითუმო ნედლეულის ეფექტიანად შეძენის ხერხს. ზემოთხსენებული სოიოს საბითუმო პარტიების გაყოფა ხდება პარტნიორ კომპანიასთან. აღნიშნული სტრატეგია „კომპანიას“ საშუალებას აძლევს ხელსაყრელი პირობებით შეიძინოს პროტეინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო წარმოებაში.

გაყიდვების თვითღირებულება და საერთო მოგება

დეტალური ცხრილი საერთო მოგებისა და საერთო მარჟის შესახებ იხილეთ ქვემოთ:

	2025	**2024**	**2023**
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	91,502	80,381	75,626
გაყიდვების თვითღირებულება	(73,794)	(64,829)	(59,546)
საერთო მოგება	**17,709**	**15,552**	**16,080**
საერთო მოგების მარჟა	19.4%	19.3%	21.3%

საერთო მოგება 2025 წლის მდგომარეობით 13.9%-ით არის გაზრდილი და შეადგინა 17,709 ათასი ლარი (2024: 15,552 ათასი ლარი). საერთო მოგების მარჟა 2025 წელს არაარსებითად, 0.1% პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 19.4% შეადგინა (2024: 19.3%). აღსანიშნავია, რომ 2023 წელი, როდესაც საერთო მოგების მარჟამ 21.3% შეადგინა, განსაკუთრებით მომგებიანი იყო, რაც მეტწილად გამოწვეული იყო ნედლეულის განსაკუთრებით დაბალი ფასებით. ასევე აღსანიშნავია 2023 წლის შემდეგ ხელფასის ხარჯების ზრდა, რაც შესაბამისად აისახება საერთო მარჟაში.

აღსანიშნავია, რომ მზა პროდუქციისა და ნედლეულის რეალიზაცია ხდება მნიშვნელოვნად განსხვავებული მარჟებით, ვინაიდან მზა პროდუქციაში კომპანიის მიერ შემქნილი ღირებულება გაცილებით დიდია.

საერთო მოგების მარჟის ჩაშლა მზა პროდუქციითა და ნედლეულის რეალიზაციის მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

მზა პროდუქცია

	2025	**2024**	**2023**
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ამონაგები მზა პროდუქციიდან	83,313	71,391	69,175
საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	(65,901)	(56,468)	(53,534)
საერთო მოგება	**17,412**	**14,923**	**15,641**
საერთო მოგების მარჟა	20.9%	20.9%	22.6%

აღსანიშნავია, რომ მზა პროდუქციის ჭრილში, კომპანიის საერთო მოგება შენარჩუნებულია სტაბილურ ნიშნულზე, მიუხედავად 2023 წლის მაჩვენებლიდან მარჟის შემცირებისა.

2023 წელს, მზა პროდუქციის მარჟამ 22.6% შეადგინა, ხოლო საერთო მოგებამ 15,641 ათასი ლარი. 2024 წლისთვის მზა პროდუქციის საერთო მოგება 4.6%-ით შემცირდა და 14,923 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საერთო მოგების მარჟა 1.7 საპროცენტო პუნქტით შემცირდა და 20.9% შეადგინა. აღნიშნული შემცირება ნაწილობრივ გამოწვეული იყო საბაზისო ეფექტით, კერძოდ კომპანიისთვის 2023 წელი განსაკუთრებით მომგებიანი იყო, თუმცა ასევე გაზრდილი იყო პირდაპირი შრომის ხარჯები და ნედლეულის თვითღირებულება. მომგებიანობის ზრდა მნიშვნელოვანი იყო 2025 წელს საერთო მოგება 16.7%-ით გაიზარდა და 17,412 ათასი ლარი შეადგინა; საერთო მოგების მარჟა არ შეცვლილა და ისევ 20.9% დარჩა.

საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულების ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

	2025	**2024**	**2023**
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	57,329	48,798	47,045
პირდაპირი შრომის ხარჯები	4,748	3,932	3,332
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	1,685	1,651	1,252

მარაგების დანაკლისი, დანაკარგი და ვადაგადაცილებული მარაგების ხარჯი	837	824	343
სხვა ზედნადები ხარჯები	1,302	1,263	1,562
სულ საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	**65,901**	**56,468**	**53,534**

მარაგების დანაკლისი მეტწილად უკავშირდება წუნდებული პროდუქციის განადგურებას. აღსანიშნავია, რომ კომპანია მუდმივად აკონტროლებს დამზადებული პროდუქციის ხარისხს. 2024 წელს აღნიშნული ზარალი უკავშირდებოდა წუნდებული საკვების განადგურებას. 2025 წლის ხარჯები მეტწილად უკავშირდება თევზის საკვების დეველოპმენტთან დაკავშირებულ სამუშაოებს, კერძოდ პროდუქციის სტაბილურობის და ბაზარზე მოთხოვნილი ვადიანობის მიღწევას.

ნედლეული

	2025	**2024**	**2023**
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ამონაგები მარაგების გაყიდვიდან	8,189	8,990	6,451
ნაყიდი და გაყიდული პროდუქტი	(7,892)	(8,361)	(6,012)
საერთო მოგება	**297**	**629**	**439**
საერთო მოგების მარჟა	3.6%	7.0%	6.8%

აღსანიშნავია, რომ ნედლეულის რეალიზაცია კომპანიისთვის არ წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს, არამედ ეს წარმოადგენს ოპორტუნისტულ იმპორტის გარიგებებს . ნედლეულის რეალიზაციით მიღებულ საერთო მოგებას ნაკლებად არსებითი წილი უჭირავს კომპანიის ჯამურ საერთო მოგებაში (2025 წელს ნედლეულის საერთო მოგების წილი ჯამში: 1.7%, 2024: 4.0%, 2023: 2.7%).

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის მდგომარეობით, კომპანიის მიერ შესყიდვების 50.3% წარმოადგენდა იმპორტირებულს პროდუქციას და დენომინირებული იყო ევროსა და აშშ დოლარში. 2025 წლის წილები ჯამურ შესყიდვებში ტოპ 10 მომწოდებელი ქვეყნისა და ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ქვეყნებისა და უცხოური ვალუტის წილები ჯამურ შესყიდვებში, 2025	**ევრო**	**აშშ დოლარი**	**ჯამური უცხოური ვალუტა**
შვეიცარია	0.0%	8.6%	8.6%
სერბეთი	0.0%	8.5%	8.5%
ჩეხეთი	7.5%	0.0%	7.5%
ესპანეთი	0.0%	6.2%	6.2%
თურქეთი	1.6%	3.2%	4.8%
ჩინეთი	0.0%	4.0%	4.0%
ჰოლანდია	3.1%	0.1%	3.2%
იტალია	2.2%	0.0%	2.2%
გერმანია	1.3%	0.0%	1.3%
პოლონეთი	1.2%	0.0%	1.2%
სხვა*	2.5%	0.1%	2.6%
სულ წილი ჯამურ შესყიდვებში	**19.4%**	**30.8%**	**50.3%**

**სხვა ქვეყნებიდან ინდივიდუალურად არცერთი წარმოადგენს 1%-ზე დიდ წილს ჯამურ შესყიდვებში.*

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები მოიცავს ტრანსპორტირების ხარჯებს, ხელფასის ხარჯებს, საწყობისა და მაღაზიის იჯარის ხარჯებს, გაყიდვისა და რეკლამის და სხვა ხარჯებს.

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

	2025	2024	2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ტრანსპორტირების ხარჯები	1,821	1,691	1,800
ხელფასის ხარჯი	1,355	1,107	1,015
საწყობის და მაღაზიის იჯარის ხარჯები	216	354	435
გაყიდვისა და რეკლამის ხარჯები	694	585	482
სხვა ხარჯები	443	267	181
სულ გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	**4,529**	**4,004**	**3,913**

გაყიდვების და რეალიზაციის ხარჯების ზრდა სრულად შემოსავლის პროპორციულად ხდება. 2023 და 2024 წლებში აღნიშნული ხარჯების შემოსავალთან შეფარდება 5.2%-ს და 5.0%-ს წარმოადგენდა. შესაბამისად, ხოლო 2025 წელს აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ, 4.9%-მდე შემცირდა.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

	2025	2024	2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ხელფასები	1,329	1,475	1,243
საკონსულტაციო ხარჯები	1,158	1,039	992
საგადასახადო და საპენსიო ხარჯები	630	418	500
საოფისე ხარჯები	988	973	849
საბანკო ხარჯი	169	147	121
ცვეთა და ამორტიზაცია	272	272	222
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	530	368	465
თანამშრომელთა კვების ხარჯები	406	380	312
შეკეთების ხარჯები	241	178	190
დაცვის ხარჯი	259	207	173
ტრანსპორტირების ხარჯი	272	247	212
საკომუნიკაციო ხარჯი	75	79	85
კომუნალური ხარჯები	60	57	52
დაზღვევა	92	90	58
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	723	424	486
სულ	**7,203**	**6,354**	**5,960**

აღნიშნული ხარჯებიდან ინდივიდუალურად ყველაზე არსებითი მუხლებია ხელფასები, საკონსულტაციო ხარჯები, საოფისე ხარჯები, საგადასახადო და საპენსიო ხარჯები და მივლინებისა დაწარმომადგენლობის ხარჯები, რომლებიც 2025 წლის მდგომარეობით ჯამურად ადმინისტრაციული ხარჯების 64.3%-ს შეადგენდნენ.

აღსანიშნავია, რომ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებიც პროპორციულად მისდევს კომპანიის ოპერაციებისა გაფართოებასა და შემოსავლის ზრდას. 2023, 2024 და 2025 წლების მდგომარეობით, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შეფარდება შემოსავალთან 7.9%-ს შეადგენდა.

2025 წლის მდგომარეობით, მნიშვნელოვანი 44% ზრდა ფიქსირდება მივლინებისა და წარმომადგენლობის ხარჯებში, ხოლო 70.4% ზრდა სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებში. სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა უკავშირდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და თიმბილდინგის ხარჯებს, რაშიც კომპანია ინვესტიციას აკეთებს გაზრდილი საოპერაციო ეფექტურობის მიზნით. ხოლო, მივლინებისა და წარმომადგენლობის ხარჯები უკავშირდება პეტფუდის გაყიდვების საზღვარგარეთ განვითარებას.

ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯები 2025 წელს 23.0%-ით გაიზარდა და 2,804 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნულ ხარჯებში ზრდა დაფიქსირდა 2024 წელსაც, როდესაც ფინანსური ხარჯი 8.5%-ით გაიზარდა და 2,280 ათასი ლარი შეადგინა (2023: 2,102 ათასი ლარი). ფინანსური ხარჯის უდიდესი ნაწილი მოიცავს მიღებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯს, რომლის ზრდაც მოსალოდნელია კომპანიის მიერ გაზრდილი სასესხო დაფინანსების მოზიდვასთან ერთად.

სხვა (მოგება)/ზარალი

სხვა ზარალმა 2023 წელს 159 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯი 2024 წლისთვის 95.0%-ით გაიზარდა და 310 ათასი ლარი შეადგინა. 2025 წელს დაფიქსირდა მოგემა, რომელმაც 342 ათასი ლარი შეადგინა. 2025 წლის მოგება დიდწილად უკავშირდებ შპს „გალაქსი ჯორჯიაზე“ გაცემული სესხის აღდგენას.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2025	2024	2023
(ათასი ლარი)	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	104,064	92,719	84,491
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(101,375)	(83,616)	(79,601)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	**2,689**	**9,103**	**4,890**
მიღებული პროცენტი	40	60	-
გადახდილი პროცენტი	(3,030)	(2,858)	(3,033)
გადახდილი მოგების გადასახადი	(197)	(341)	(294)
პროცენტების დაფინანსების მიზნით მიღებული საგრანტო შემოსავლები	170	737	1,073
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**(327)**	**6,701**	**2,636**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(2,164)	(2,871)	(4,479)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	28	4	7
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(9)	(83)
დაბრუნებული სესხები	27	512	13
გაცემული სესხები	(47)	(597)	(199)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(2,156)**	**(2,961)**	**(4,741)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის გადახდა	(53,524)	(38,089)	(25,896)
სესხის მიღება	57,675	37,921	31,188
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(410)	(553)	(408)
გაცემული დივიდენდები	(1,821)	(2,812)	(2,798)
საფინანსო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	**1,920**	**(3,533)**	**2,086**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**(564)**	**207**	**(19)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	791	635	705
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(57)	(51)	(51)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**170**	**791**	**635**

საოპერაციო ფულადი სახსრები

2025 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადმა სახსრები 2,689 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 70.5%-იანი შემცირებაა (2024 წლის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები: 9,103 ათასი ლარი). აღნიშნული დიდწილად გამოწვეულია კომპანიის მიერ მარაგების ზრდით (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება - სასაქონლო მატერიალური ფასეულობები“). 2024 წელს, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები 86.2%-ით გაიზარდა და 9,103 ათასი ლარი შეადგინა (2023: 4,890 ათასი ლარი). მსგავსად 2025 წლისა, კომპანიის საოპერაციო ფულადი სახრების მერყეობა გამომდინარეობს კომპანიის მიერ ფულის საბრუნავ კაპიტალში ჩასხმიდან, რასაც შედარებით ციკლურ სახე აქვს.

საინვესტიციო ფულადი სახსრები

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა უმეტესწილად ძირითადი საშუალებების შეძენას უკავშირდება. 2023 და 2024 წლის განმავლობაში კაპიტალური დანახარჯები ძირითადად მიმართული იყო ახლად გახსნილი Nutrimax Petfood-ის საწარმოს მშენებლობის დასრულებისა და შესაბამისი მანქანა-დანადგარების შეძენისკენ. 2025 წელს ძირითადი საშუალებების შემოსვლა უკავშირდება მზის ელექტროსადგურების დადგმას, საოფისე კოტეჯის მშენებლობას. კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ინვესტიციები“.

2023 წელს კომპანიამ ასევე გასცა 199 ათასი ლარის სესხები, ხოლო 2024 და 2025 წლებში დამატებით 597 ათასი და 47 ათასი შესაბამისად. სესხების დაბრუნება შესაბამის პერიოდებში შეადგენდა 13 ათას, 512 ათას და 27 ათას ლარს. გაცემულ სესხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების“ მიმოხილვა

საფინანსო ფულადი სახსრები

საფინანსო ფულადი სახსრები დიდწილად მოიცავს კომპანიის მიერ სესხების ათვისება/ჩაფარვას და დივიდენდების გადახდას. წლის განმავლობაში მარაგების დაფინანსებისთვის კომპანია ითვისებს საკრედიტო ხაზებს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ მათ ფარავს. თუმცა, 2025 წელს სესხების წმინდა ათვისება შეადგენდა 4,151 ათას ლარს. 2024 წელს სესხების წმინდა ჩაფარვა დაფიქსირდა, რომელმაც 168 ათასი ლარი შეადგინა. კომპანიამ 2023 წელსაც გაზარდა სასესხო ვალდებულებები, კერძოდ სესხების წმინდა ათვისებამ 5,292 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა 1,821 ათასი ლარი დივიდენდი (2024 წელს აღნიშნული შეადგენდა 2,812 ათას ლარს, ხოლო 2023 წელს 2,798 ათას ლარს).

ჯამურად, 2025 წელს წმინდა შემოსულობამ საფინანსო საქმიანობიდან 1,920 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წელს კომპანიამ 3,533 ლარის წმინდა გადინება დააფიქსირა, ხოლო 2023 წელს 2,086 ათასი ლარის შემოსულობა დაფიქსირდა.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

(ათასი ლარი)	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,638	3,507	3,218
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები			
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	791	635	701
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	**3,429**	**4,142**	**3,919**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვიტ მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშრებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტების სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. სავაჭრო დებიტორების მოსალოდნელი ზარალი შეფასებულია ცალკეულ შემთხვევებში ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ერთგვაროვანი ნიშნით გაერთიანებული კონტრაგენტების ჯგუფების მიხედვით. შეფასება ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე, ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკური ტენდენციებით, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ზოგადად, დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საეჭვო ვალების რეზერვი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 1 იანვრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2024 წლის 31 დეკემბრისათვის	**30 დღემდე ვადაგადაცილება**	**30-60 დღე ვადაგადაცილება**	**60-90 დღე ვადაგადაცილება**	**90-180 დღე ვადაგადაცილება**	**180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადაცილება**	**1 წელზე მეტი ვადაგადაცილება**	**ჯამი**
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,569	72	-	2	300	437	**3,380**
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	791	-	-	-	-	-	**791**
სულ ფინანსური აქტივები	**3,360**	**72**	**-**	**2**	**300**	**437**	**4,171**
საეჭვო ვალების რეზერვი - დებიტორი	(13)	(2)	-	(1)	(289)	(437)	**(742)**
ნეტო ფინანსური აქტივები	**3,347**	**70**	**-**	**1**	**11**	**-**	**3,429**

2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**30 დღემდე ვადაგადაცილება**	**30-60 დღე ვადაგადაცილება**	**60-90 დღე ვადაგადაცილება**	**90-180 დღე ვადაგადაცილება**	**180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადაცილება**	**1 წელზე მეტი ვადაგადაცილება**	**ჯამი**
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,248	197	64	10	241	297	**4,057**
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	635	-	-	-	-	-	**635**
სულ ფინანსური აქტივები	**3,883**	**197**	**64**	**10**	**241**	**297**	**4,692**
საეჭვო ვალების რეზერვი - დებიტორი	(16)	(6)	(6)	(5)	(220)	(297)	**(550)**
ნეტო ფინანსური აქტივები	**3,867**	**191**	**58**	**5**	**21**	**-**	**4,142**

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

კომპანიას უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფინანსური აქტივები არ ერიცხება. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,430	-	**1,430**
ფული და ფულის ეკვივალენტი	36	8	**44**
სულ ფინანსური აქტივები	**1,466**	**8**	**1,474**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(315)	(745)	**(1,060)**
სესხები	(4,996)	(1,691)	**(6,687)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(5,311)**	**(2,436)**	**(7,747)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(3,845)**	**(2,428)**	**(6,273)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,779	-	**1,779**
ფული და ფულის ეკვივალენტი	215	77	**292**
სულ ფინანსური აქტივები	**1,994**	**77**	**2,071**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(310)	(750)	**(1,060)**
სესხები	(2,838)	(2,145)	**(4,983)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(3,148)**	**(2,895)**	**(6,043)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(1,154)**	**(2,818)**	**(3,972)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,325	-	**1,325**
ფული და ფულის ეკვივალენტი	413	17	**430**
სულ ფინანსური აქტივები	**1,738**	**17**	**1,755**

(ათასი ლარი)	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(750)	(806)	**(1,556)**
სესხები	(611)	(2,089)	**(2,700)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(1,361)**	**(2,895)**	**(4,256)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**377**	**(2,878)**	**(2,501)**

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2024 წ.	**31 დეკემბერი 2023 წ.**
	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	**ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)**
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(769)	(231)
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	769	231
ევროს გამყარება 20%-ით	(486)	(564)
ევროს დასუსტება 20%-ით	486	564

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

ფიქსირებულ განაკვეთებიანი სესხები - ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა საბალანსო მონაცემები, რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

(ათასი ლარი)	**2024 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 1 იანვარი**
მიღებული სესხი	561	538	540

ცვალებადგანაკვეთიანი სესხები - ცვალებად პროცენტიანი ვალდებულების შემთხვევაში კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად პროცენტების გადახდასთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადების რისკს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 1 იანვრისთვის ცვალებადგანაკვეთიანი პროცენტის მქონე სესხების ნაშთები შეადგენს 24,053, 29,998 და 18,613 ათასი ლარი შესაბამისად. ცვალებადგანაკვეთიანი სესხების დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 11-ში.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს, რის გამოც ისინი შესაძლოა არ ედრებოდეს საბალანსო უწყისში ასახულ თანხებს:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

(ათასი ლარი)	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,994	-	**2,994**
საიჯარო ვალდებულება	533	358	**891**
სესხები[10]	20,151	5,681	**25,832**
სულ მომავალში გადასახდელები	**23,678**	**6,039**	**29,717**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

(ათასი ლარი)	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,413	-	**2,413**
საიჯარო ვალდებულება	768	892	**1,660**
სესხები	17,152	9,719	**26,871**
სულ მომავალში გადასახდელები	**20,333**	**10,611**	**30,944**

ცხრილში ასახული თანხები გახლავთ სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრები. შედეგად, ეს თანხები არ შეჯერდება ბალანსზე ასახულ თანხებთან, გარდა მოკლევადიანი გადასახდელებისა, სადაც დისკონტირება არ გამოიყენება. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის, შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას კომპანია უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

[10] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ 2026 წლის 28 თებერვლის, 2025 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალიზაცია და დავალიანება	**28-თებ-2026**	**28-თებ-2026**	**31-დეკ-2025**	**31-დეკ-2024**	**31-დეკ-2023**
(ათასი ლარი)	პრო-ფორმა	მენეჯერული	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ნასესხები სახსრები	30,993	29,376	28,605	24,704	24,714
საიჯარო ვალდებულებები	253	253	313	723	1,275
სულ დავალიანება	**31,246**	**29,629**	**28,918**	**25,427**	**25,989**
გაუნაწილებელი მოგება			14,096	12,749	13,004
სულ კაპიტალი			**14,096**	**12,749**	**13,004**
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება			**42,887**	**38,060**	**38,883**

პრო ფორმა *- ითვალისწინებს ობლიგაციების ემისიის შედეგად ფინანსური ვალდებულებების 0.6 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტით ზრდას.*

დავალიანება

„კომპანია“ თავისი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში აქტიურად იყენებს საკრედიტო ინსტრუმენტებს კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად, საბრუნავი კაპიტალის და ლიკვიდურობის სამართავად. მომავალ პერიოდებში „კომპანია“ გააგრძელებს საკუთარი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების და საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

2026 წლის 28 თებერვლის დავალიანება

2026 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	**კრედიტორი**	**პროდუქტი**	**ვალუტა**	**გაცემის თარიღი**	**დაფარვის თარიღი**	**გადახდის გრაფიკი**	**ნარჩენი ძირი ('000 ლარი)**	**დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)**
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26.09.25	26.09.26	საკრედიტო ხაზი	10,304	12
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	26.09.25	26.09.26	საკრედიტო ხაზი	7,331	5
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	27.10.25	27.04.26	არასტანდარტული გრაფიკი	3,000	2
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	26.09.25	26.09.28	ანუიტეტი	1,770	2
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	26.08.21	26.08.26	ანუიტეტი	132	0
შპს ნუტრიმაქსი	პარტნიორი	სესხი	USD	01.01.16	31.12.30	პროცენტის გადახდა	538	0
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	26.09.25	26.09.30	ანუიტეტი	3,764	4
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	14.06.22	14.06.27	ანუიტეტი	805	2
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	25.11.24	25.11.28	ანუიტეტი	324	0
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	24.07.25	24.07.29	ანუიტეტი	306	0
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	29.11.23	29.11.27	ანუიტეტი	296	3
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	05.05.23	05.05.27	ანუიტეტი	171	1
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	USD	12.01.26	31.12.29	ანუიტეტი	135	1

შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	12.01.26	31.12.31	ანუიტეტი	465	2
სულ							**29,340**	**36**

2026 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით აუთვისებელი დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ძირი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26.09.25	26.09.26	696
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	26.09.25	26.09.26	73
სულ						**769**

2026 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით გარესაბალანსო ვალდებულებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	მაქსიმალური რისკი ('000 ლარი)
დაკავშირებული კომპანია	კომერციული ბანკი	თანამსესხებლობა	GEL	20/05/2022	04/03/2026	116
სულ						**116**

2025 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26/09/25	26/09/26	საკრედიტო ხაზი	9,802	11
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	26/09/25	26/09/26	საკრედიტო ხაზი	7,277	5
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	27/10/25	27/04/26	არასტანდარტული	3,000	3
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	26/09/25	26/09/28	ანუიტეტი	1,863	4
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	26/08/21	26/08/26	ანუიტეტი	167	1
შპს ნუტრიმაქსი	პარტნიორი	სესხი	USD	1/1/2016	31/12/30	პროცენტის გადახდა	539	1
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	26/09/25	26/09/30	ანუიტეტი	3,859	9
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	14/06/22	14/06/27	ანუიტეტი	899	3
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	25/11/24	25/11/28	ანუიტეტი	340	0
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	24/07/25	24/07/29	ანუიტეტი	318	1
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	29/11/23	29/11/27	ანუიტეტი	308	0
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	5/5/2023	5/5/2027	ანუიტეტი	191	2
სულ							**28,564**	**41**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებელი დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ძირი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26/09/25	26/09/26	1,200
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	26/09/25	26/09/26	81
სულ						**1,281**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარესაბალანსო ვალდებულებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	მაქსიმალური რისკი ('000 ლარი)
დაკავშირებული კომპანია	კომერციული ბანკი	თანამსესხებლობა	GEL	20/05/2022	04/03/2026	194
სულ						**194**

2024 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26/08/24	26/08/25	საკრედიტო ხაზი	5,000	24
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	23/08/24	23/08/25	საკრედიტო ხაზი	3,492	6
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	1/10/2024	1/10/2025	საკრედიტო ხაზი	2,232	15
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	12/11/2024	12/11/2025	საკრედიტო ხაზი	2,185	1
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	7/2/2024	7/2/2025	საკრედიტო ხაზი	1,695	1
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	26/08/21	26/08/26	ანუიტეტი	347	1
შპს ნუტრიმაქსი	პარტნიორი	სესხი	USD	1/1/2016	31/12/30	პროცენტის გადახდა	561	1
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	16/09/21	16/09/26	ანუიტეტი	6,560	32
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	14/06/22	14/06/27	ანუიტეტი	1,338	4
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	29/11/23	29/11/27	ანუიტეტი	445	0
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	5/5/2023	5/5/2027	ანუიტეტი	306	3
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	25/11/2024	25/11/2028	ანუიტეტი	458	0
სულ							**24,616**	**88**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებელი დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ძირი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	1/10/2024	1/10/2025	13
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	12/11/2024	12/11/2025	46
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	7/2/2024	7/2/2025	1,305
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	20/02/24	20/02/25	3,183
სულ						**4,548**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარესაბალანსო ვალდებულებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	მაქსიმალური რისკი ('000 ლარი)
დაკავშირებული კომპანია	კომერციული ბანკი	თანამსესხებლობა	GEL	20/05/2022	04/03/2026	659
სულ						**659**

2023 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26/08/23	26/08/24	საკრედიტო ხაზი	4,978	30
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	23/08/23	23/08/24	საკრედიტო ხაზი	3,492	8
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	7/2/2023	7/2/2024	საკრედიტო ხაზი	2,825	3
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	1/10/2023	1/10/2024	საკრედიტო ხაზი	1,997	5
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	EUR	26/08/21	26/08/26	ანუიტეტი	534	2
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	12/11/2023	12/11/2024	საკრედიტო ხაზი	296	2
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	26/08/21	26/08/24	ანუიტეტი	172	0
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	26/08/21	27/12/24	ანუიტეტი	97	0
შპს ნუტრიმაქსი	პარტნიორი	სესხი	USD	1/1/2016	31/12/30	პროცენტის გადახდა	538	1
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	16/09/21	16/09/26	ანუიტეტი	7,400	117
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	EUR	14/06/22	14/06/27	ანუიტეტი	1,602	6
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	29/11/23	29/11/27	ანუიტეტი	406	4
შპს ნუტრიმაქს პეტფუდი	კომერციული ბანკი	სესხი	GEL	5/5/2023	5/5/2027	ანუიტეტი	199	0
სულ							**24,536**	**179**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებელი დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ძირი ('000 ლარი)
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	26/08/23	26/08/24	22
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	GEL	7/2/2023	7/2/2024	175
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	1/10/2023	1/10/2024	155
შპს ნუტრიმაქსი	კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	USD	12/11/2023	12/11/2024	1,842
სულ						**2,194**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარესაბალანსო ვალდებულებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	კრედიტორი	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	მაქსიმალური რისკი ('000 ლარი)
დაკავშირებული კომპანია	კომერციული ბანკი	თავდებობა	GEL	11/07/2019	21/10/2024	192
დაკავშირებული კომპანია	კომერციული ბანკი	თანამსესხებლობა	GEL	20/05/2022	04/03/2026	1,048
სულ						**1,240**

უზრუნველყოფა

ცხრილში წარმოდგენილია კონსოლიდირებული აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც წარმოადგენდნენ „კომპანიის“ სესხების უზრუნველყოფას:

(ათასი ლარი)	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ძირითადი საშუალებები	23,678	22,431	22,107
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	17,668	13,015	12,282
სულ	**41,346**	**35,446**	**34,389**

საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2026 წლის 28 თებერვალი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ლარში				
სესხები კომერციული ბანკებიდან	რეფ.განაკვ+6% - 6.5% (ქვედა ზღვარი 11% და ზედა 16%)	რეფ.განაკვ+6% - 6.5% (ქვედა ზღვარი 11% და ზედა 16%)	11% - 14 % ზღვრებში, რეფინანსირებას + 3% - 5%	11% - 12 % ზღვრებში , რეფინანსირებას + 1 % ; 12 - 13% ზღვრებში , რეფინანსირებას + 2 % , 12.5% - 14.5 % ზღვრებში , რეფინანსირებას + 3 %- 3.5%
აშშ დოლარში				
სესხები კომერციული ბანკებიდან	Sofr 6 month+4% min 9% max 9.5%	Sofr 6 month+4% min 9% max 9.5%	7.76% - 8.83 % ზღვრებში, 6 თვიან Sofr განაკვეთს +3.5%	5.18% - 11 % ზღვრებში, 6 თვიან LIBOR ის განაკვეთს + 5.84 %
სესხები დამფუძნებლისგან	9%	9%	9%	9%
ევრო				
სესხები კომერციული ბანკებიდან	EURIBOR+6.95% MIN 9% MAX 10%	EURIBOR+6.95% MIN 9% MAX 10%	5.5% - 7 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.42 %, 8.095% - 9.332 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.42 %	5.5% - 7.9 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.5 % , 5.5% - 7 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.42 %

ნასესხები სახსრების თანადაფინანსება და სუბსიდიები

“ემიტენტის” შვილობილ კომპანიას, “ნუტრიმაქს პეტფუდს”, ახალი საწარმოს მშენებლობისთვის აღებულ სესხზე მიღებული ჰქონდა სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” სუბსიდია. სესხის სუბსიდირება დასრულდა 2024 წლის სექტემბერში. აღნიშნული სუბსიდიას უკავშირდებოდა ვალდებულება, რომელიც კომპანიას ავალდებულებდა, ბიზნეს პროფილის შენარჩუნებას (კომპანიონი ცხოველების საკვების წარმოება). სუბსიდიას არ უკავშირდებოდა სხვა არსებითი ვალდებულება. სუბსიდიის ფარგლებში, სააგენტო აფინანსებდა წლიურად სესხის პროცენტის 11%-ს.

2023 წლიდან “ნუტრიმაქს პეტფუდმა” დამატებით აიღო სესხები 550 და 500 ათასი ლარის მოცულობით, რომლებზეც ვრცელდება, შეღავათიანი აგროკრედიტის სუბსიდია. აღნიშნული სესხებით მოხდა, თევზის საკვების საწარმოო დანადგარების შეძენა. 2026 წლის 28 თებერვლის მოცემულობით, სესხების ნარჩენი ძირი თანხები შეადგენს შესაბამისად 271 ათას და 150 ათას ლარს.

დამატებით 2024 წლის ნოემბერში “ნუტრიმაქს პეტფუდმა” აიღო 459 ათასი ლარის მოცულობის სესხი, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტის სუბსიდირებული პირობებით. აღნიშნული სესხი მოხმარდა, 380 კვტ/სთ დადგმული სიმძლავრის მზის ელექტრო სადგურის მოწყობას. 2026 წლის 28 თებერვლის მოცემულობით, სესხების ნარჩენი ძირი თანხა შეადგენს 315 ათას ლარს.

შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, კომპანიას გააჩნდა აუდიტორის მიერ მიზნობრიობის დადასტურების ვალდებულება, რომელიც წარმატებით შესრულდა. აღნიშნულ სუბსიდიებს დამატებითი ვალდებულებები არ უკავშირდება. აგროკრედიტის ფარგლებში ფინანსდება წლიურად სესხის 11%.

კომერციული ბანკ(ებ)ის ფინანსური კოვენანტები

საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია როგორც არაფინანსური, ასევე ფინანსური კოვენანტები.

ფინანსური კოვენანტები

		31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
	კოვენანტის ლიმიტი	შესრულება	შესრულება	შესრულება
DSCR – Cash based	>1.2	1.01	1.01	1.03
ICR	>3.5	2.17	2.82	3.20
Debt/EBITDA	<4	3.57	3.24	3.30

2023, 2024 წლების მოცემულობით, "კომპანიას" ბანკისგან მიღებული აქვს წერილი, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული თარიღებისთვის, კომპანია არ არღვევდა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

და 2025 წლის მოცემულობით, „კომპანია" არღვევდა DSCR და ICR კოვენანტებს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, „კომპანიას" ბანკისგან მოპოვებული აქვს გათავისუფლების წერილი (waiver letter). გათავისუფლების წერილი კომპანიას მიღებული აქვს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, 2026 წელს 4 თებერვალს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ "ბაზისბანკს" არ განუხორციელებია ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრული უფლებები, კომპანიამ 2025 წლის ანგარიშგებაში, ბანკისადმი ვალდებულებები დააკლასიფიცირა როგორც მიმდინარე.

ფინანსური კოვენანტების კალკულაციის მეთოდოლოგია:

DSCR (Cash based) - იანგარიშება ბოლო 12 თვის ნაღდი ფულადი სახსრების თავისუფალ ნაშთზე დაყრდნობით, რომლებიც ხელმისაწვდომია სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის გადასახდელად - CFADS (Cash-Flow Available for Debt Service - იანგარიშება შემდეგნაირად: საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებს დამატებული საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული ნეტ (წმინდა) ფულადი სახსრები დამატებული საინვესტიციო მიზნობრიობით მოზიდული ნეტ (წმინდა) გრძელვადიანი რესურსი, დამატებული საკუთარი კაპიტალის ნეტ (წმინდა) ფულადი მოძრაობა, გამოკლებული დივიდენდისა და გაცემული სესხების თანხები) შეფარდებული, ჯამური ფულადი ვალდებულებების, ანალოგიურ პერიოდზე ვადამოსული ნაწილის მოსამსახურებლად საჭირო ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის ჯამზე.

ICR - ბოლო 12 თვის EBIT (Earnings Before Interest, Taxes), ანუ გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე არსებული მოგება, შეფარდებული კომპანიის ჯამურ ფულად ვალდებულებაზე, ანალოგიურ პერიოდზე, დარიცხულ საპროცენტო სარგებელზე.

Debt/EBITDA - კლიენტის ჯამურ ვალდებულებებში (DEBT) იგულისხმება კლიენტის ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის/მესამე პირის წინაშე არსებული ნებისმიერი ფულადი ვალდებულება, რომელსაც ერიცხება სარგებელი, ხოლო - საოპერაციო შემოსავალში (EBITDA) იგულისხმება კლიენტის ბოლო 12 თვის მოგება გადასახადების და სარგებლის გადახდამდე და აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization).

ბანკის მიერ ფინანსური კოვენანტების მონიტორინგი ხდება ნახევარწლიურად, კონსოლიდირებულ მენეჯერულ მონაცემებზე დაყრდნობით. კომპანიას კოვენანტების დაცვა ევალება მუდმივ რეჟიმში თუმცა, კოვენანტების შესრულების შემოწმება ხდება წლის ბოლოს მონაცემებზე დაყრდნობით.

არაფინანსური კოვენანტები

“კომპანიის” არაფინანსური კოვენანტები მოიცავს დათქმებს როგორებიცაა: სახელფასო პროექტის წილის ბანკში შენარჩუნება, ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა, ექსკლუზიურობა, დივიდენდების გატანა და სხვა სტანდარტული საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დათქმებს.

„ემიტენტის“ განცხადებები

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე არ მომხდარა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა;

გარდა „ობლიგაციების“ გამოშვებით მოზიდული თანხებისა, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, „კომპანია“ არ გეგმავს ახალი საკრედიტო რესურსების დამატებას.

„კომპანიის“ შეფასებით, „ობლიგაციების“ სახით ახალი დაფინანსების მოზიდვა არ დაარღვევს არსებულ კოვნანტებს გამსესხებლებთან/ბონდჰოლდერებთან.

“კომპანიის” ობლიგაციებში ინვესტირება გარკვეულ რისკებთან ასოცირდება. ინვესტიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციური მყიდველები ყურადღებით უნდა გაეცნონ წინამდებარე პროსპექტს. პროსპექტში მოწოდებული სხვა ინფორმაციის გარდა პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტირებამდე, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ქვემოთ აღწერილი რისკები საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით. ქვემოთ მითითებული ნებისმიერი რისკი შესაძლოა არსებით უარყოფითი გავლენას ახდენდეს “კომპანიის” საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე. რომელიმე ამ რისკის წარმოქმნამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. ამასთან, ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ “კომპანიას“ მიაჩნია, რომ ქვემოთ მითითებული რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა არსებობდეს ან წარმოიშვას დამატებითი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც „კომპანიამ“არ ჩათვალა მნიშვნელოვნად ან არ არის მათ შესახებ ინფორმირებული და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა და გაურკვევლობამ შესაძლოა ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. ამიტომ, „კომპანია“ აფიქსირებს, რომ ქვემოთ აღწერილი რისკები არ არის ამომწურავი.

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა:

1.1. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

ამჟამად საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის, რუსეთთან კვლავ დაძაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური, ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი, რეფორმების გატარება ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს სამთავრობო ცვლილებით ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

ამასთანავე, 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 150-წევრიან პარლამენტში მიიღო 89 მანდატი, 61 მანდატი მოიპოვა ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ - „კოალიცია ცვლილებებისთვის:

გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ (19 მანდატი), „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ (16 მანდატი), „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ (14 მანდატი) და „გახარია საქართველოსთვის“ (12 მანდატი). ოპოზიციურმა სპექტრმა უარი თქვა არჩევნების შედეგების აღიარებასა და პარლამენტში შესვლაზე და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. ამასთან, აღნიშნული ოპოზიციური პარტიებიდან პირველმა სამმა სადეპუტატო მანდატების გაუქმების მოთხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართეს. ამ უკანასკნელმა მოთხოვნის შესაბამისად რეგისტრაცია გაუუქმა სამივე პოლიტიკურ გაერთიანებას.

ამის შემდეგ, პროტესტის ახალი ტალღა მთავრობის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყების 2028 წლამდე გადადებამ განაპირობა, რადგან საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 85% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. ხანგრძლივი პროტესტის მიმდინარეობისას, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსნებს. მოგვიანებით აშშ-ს სახაზინოს დეპარტამენტმა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს დაუწესა ფინანსური სანქციები. პოლიტიკური გაურკვევლობა კვლავ მაღალია და ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და სანქციების დაწესებამ განსაკუთრებით ბიზნესის წარმომადგენლებზე, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს

ეკონომიკაზე, რასაც ამასთანავე უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და განვითარების პერსპექტივაზე.

1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა;

განვითარებად ბაზრებს ახასიათებთ უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის, რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის შემთხვევაში, ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და, საბოლოოდ, ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook) - ნოემბერი, 2025;
- Moody's – Ba2 (Negative Outlook) - ოქტომბერი, 2025;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook) - აგვისტო, 2025.

1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/ სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

კომპანიის საქმიანობაზე ლარის გაუფასურებას შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს, ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების გაუარესებისა (მაგ.: მზარდი ინფლაცია) და ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე ზეგავლენის თუ სხვა მიზეზების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია. ზოგადად, საქართველოში ოფიციალურად ლარის კურსი ფორმირდება აშშ დოლარის მიმართ, ხოლო ლარი/ევროს კურსზე გავლენას ახდენს როგორც ლარის დოლარის, ასევე ევრო დოლარის კურსის ცვლილებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა საერთაშორისო რეზერვმა 6.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც წლიურად 38.4%-ით არის გაზრდილი. რეზერვების მიმდინარე დონე ადეკვატურ დონეზეა საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით. ზოგადად, რეზერვების მართვა საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან რეზერვების დონეს აკვირდებიან ინვესტორები, საკრედიტო ორგანიზაციები და ა.შ. და აფასებენ თუ რამდენად შესწევს უნარი ქვეყანას შეამსუბუქოს საგარეო შოკებიდან მომდინარე უარყოფითი გავლენები, მათ შორის ლარის გაცვლით კურსზე ერთჯერადი შეტევები.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამასთან, საგარეო კრიზისების პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა ევროს დასუსტებას აშშ დოლარის მიმართ. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი - ამ პერიოდში ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ევრო გაუფასურდა აშშ

დოლარის მიმართ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ლარის კურსის ევროსთან გაუფასურება, თუმცა უფრო ნაკლები ზომით; 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები - გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია, ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ წლის პირველ ნახევარში გაუფასურდა, შემდეგ გამყარდა და მნიშვნელოვნად გააუფასურა ლარის კურსი ევროს მიმართ; 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში - რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. თუმცა, ამავდროულად, ევროც მნიშვნელოვნად გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ და ადგილი არ ჰქონია ლარის დიდ გაუფასურებას ევროს მიმართ. 2022 წლის მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად 12.8%-ით გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებით. აღნიშნულ პერიოდში ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებული დარჩა, რომელიც საბოლოოდ ლარი/ევროს კურსზე პოზიტიურად აისახა. 2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა, რაც ძირითადად იხსნება ევროს გამყარებით აშშ დოლარის მიმართ. ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ სტაბილურობას ინარჩუნებდა 2023 წლის განმავლობაში, რაზეც დადებითი გავლენა ჰქონდა კაპიტალის მაღალ შემოდინებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად 2.2%-ით 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2023 წელს. 2024 წელს, მიუხედავად სტაბილური სავალუტო შემოდინებებისა, პოლიტიკური გაურკვევლობების ფონზე ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართულებით მსხვილი ერთჯერადი შეტევები განხორციელდა მაისი-ივნისის და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ შექმნილი გაურკვევლობებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მოუხდა 591.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდვა ლარზე გაუფასურების წნეხის მოსახსნელად 2024 წლის ოქტომბერში. ჯამურად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წელს სავალუტო ბაზარზე გაყიდა 917.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეისყიდა 482.6 მლნ აშშ დოლარი და 2024 წლის ბოლოს მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 4.4 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა. 2025 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 4.2% ით გამყარდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო მზარდი სავალუტო შემოდინებებით, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარში კონვერტაციით და დოლარის ინდექსის გლობალური დასუსტებით. ამ ფონზე, საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მიეცა სავალუტო ბაზარზე შესყიდვები დაეწყო და ჯამურად, 2025 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში 2.4 მლრდ აშშ დოლარი შეიძინა, რომლითაც მთლიანი საერთაშორისო რეზერვების დონე რეკორდულ 6.2 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

ის ფაქტი, რომ ლარი ევროს კურსზე მხოლოდ ლარი დოლარის გაცვლითი კურსი არ მოქმედებს, ამ უკანასკნელის ცვლილებები ძალზედ მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9%, 2023 წელს 2.5%, 2024 წელს 1.1% და 2025 წელს 3.9% იყო. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 50 საბაზისო პუნქტით, 11.0%-მდე გაზარდა და აღნიშნულ ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება

საქართველოს ეროვნული ბანკი გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უმეტესწილად მოთხოვნის ფაქტორებიდან ინფლაციაზე მომდინარე ზეწოლის შემთხვევაში რეაგირებს. ხოლო შემდეგ, როცა საშინაო ფაქტორების კონტრიბუცია გაიზარდა ინფლაციაში, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში ინფლაციამ 0.4% შეადგინა. დაბალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა 2024 წელსაც - საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა 2024 წელს. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2025 წლის მარტიდან სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ მიზნობრივ 3.0%-ს გადააჭარბა და 2025 წლის დეკემბერში 4.0% შეადგინა, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სურსათის და ჯანდაცვის კატეგორიებში შემავალი პროდუქტების ფასების ზრდებს. ზოგადად, ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. იყო რისკი რომ აღნიშნული კონფლიქტი ფართომასშტაბიან ომში გადაზრდილიყო, რაც დიდი ალბათობით გამოიწვევდა საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდას, სატვირთო გადაზიდვების შეფერხებას, მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის შემცირებას და საბოლოოდ ბევრ ქვეყნაში ეკონომიკური ზრდის შემცირებას. ასევე აღსანიშნავია, 2025 წლის ივნისში ისრაელ-ირანის რამდენიმე დღიანი სამხედრო დაპირისპირება, რამაც დიდი გაურკვევლობა შექმნა მსოფლიოში - მყისიერად გაიზარდა ნავთობის ფასები, წარმოშვა მიწოდების ჯაჭვებთან დაკავშირებული პრობლემები და გაჩნდა ინფლაციური მოლოდინები. ამ ფონზე შესაძლოა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა რეცესიაში გადასულიყო. ის რომ საქართველოს როგორც ისრაელთან, ისე ირანთან აქვს ეკონომიკური კავშირურთიერთობები, კონფლიქტის გახანგრძლივების შემთხვევაში პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების გავლენები საქართველოს ეკონომიკაზე საგრძნობი იქნებოდა - გამოიწვევდა ინფლაციის დაჩქარებას, ლარის გაუფასურებას, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებას და საბოლოოდ სოლიდურ ეკონომიკურ დანაკარგს.

1.4. ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

კომპანიის შემოსავლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და მომსახურებებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით ზრდა 3.7% იყო. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა

ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რელოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდა 2023 და 2024 წლებშიც გაგრძელდა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 9.7% შეადგინა. 2025 წელს საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზარდა, რაც მაღალი ზრდის ტემპის შენარჩუნებაზე მიუთითებს. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5.4%-ით, 2018 წელს 6.1%-ით, 2017 წლებში 5.2%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში საშუალოდ 3.4%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლის ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა,

რომ მან დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო კონფლიქტის მორიგი ესკალაცია 2022 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირდა. 14 სექტემბერს ევროპის საბჭოს შუამდგომლობით მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამჟამად, სიტუაცია სტაბილურია. ის, რომ სამომავლოდ ისევ დაიძაბოს სიტუაცია ამის ალბათობა ამ ეტაპზე შემცირებულია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში არსებითად უარყოფითი გავლენა იქონია გლობალურად. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებს, არამედ რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკებზე ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხებით გამოვლინდა. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლური ცენტრალური ბანკები 2023 წლის ბოლომდე ახორციელებდნენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რამაც გაართულა გლობალური ფინანსური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობისა, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

2026 წლის 28 თებერვლიდან ირანის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე რყევები გაზარდა და დროებითი შეფერხებები გამოიწვია რეგიონულ საჰაერო სივრცესა და საზღვაო ტრანსპორტში.

საქართველოს ირანთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირები მცირეა. 2025 წელს ირანის წილი საქართველოს მთლიან სავალუტო შემოდინებებში (ექსპორტი, ტურიზმი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები) მხოლოდ 0.9% იყო. გარდა ამისა, 2025 წელს ისრაელსა და ირანს შორის 12-დღიან კონფლიქტსაც საქართველოზე თვალსაჩინო მაკროეკონომიკური გავლენა არ მოუხდენია. ეს აჩვენებს, რომ მოკლე დროით მიმდინარე და გეოგრაფიულად შეზღუდული ესკალაციები, როგორც წესი, საქართველოს ეკონომიკაზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს. ისრაელი საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორია, განსაკუთრებით ტურიზმისა და ფულადი გზავნილების მიმართულებით. 2025 წელს ისრაელიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები მთლიანი ტურისტული შემოსავლების 12.5% იყო, ხოლო ფულადი გზავნილების წილი 7.6%. ამასთან, საქონლის ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირეა და თითოეული დაახლოებით მშპ-ის 0.1%-ს შეადგენს. მთლიანობაში, 2025 წელს ისრაელის წილი საქართველოს სავალუტო შემოდინებებში მშპის დაახლოებით 2.5% იყო, რაც ზომიერ დამოკიდებულებას მიუთითებს.

კომპანიის შეფასებით, აშშ/ისრაელის კონფლიქტი ირანთან, ერთის მხრივ შესაძლოა გარკვეულ ნედლეულს ამცირებდეს ლოჯისტიკის და ენერგორესურსების გამცირებიდან გამომდინარე, თუმცა მეორე მხრივ კომპანიისთვის ქმნის შესაძლებლობას თევზის ბაზარზე, უზბეკეთში და სომხეთში, სადაც ირანული თევზის საკვების წილი ბაზარზე მაღალია. თუმცა მასშტაბური, ეფექტი აღნიშნულ ფაქტორებს კომპანიის წარმოებაზე არ აქვთ.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებთან. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან საქონლის ექსპორტში 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. პანდემიის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საქონლის მთლიან ექსპორტში და 2021 წელს, შესაბამისად, შეადგინა 12.5% და 6.0%. 2022 წელს აზერბაიჯანის წილი კვლავ შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად 12.0% და 10.5% შეადგინა. 2023 წელს ორივე ქვეყნის წილი გაიზარდა - აზერბაიჯანის წილმა მთლიანი ექსპორტის 14.2%, ხოლო სომხეთის წილმა 12.9% შეადგინა. 2024 წელს ორივე წილები შემცირდა 11.0% და 9.4%-მდე, შესაბამისად. 2025 წელს შემცირების ტენდენცია გაგრძელდა და აზერბაიჯანზე და სომხეთზე მოდიოდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 9.6% და 7.9%, შესაბამისად. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიანი საქონლის ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, 2022 წელს 11.5%-ს, 2023 წელს - 10.8%-ს, 2024 წელს - 10.4%-ს, ხოლო 2025 წელს 10.3%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს საიმპორტო ბაზარს საქართველოსთვის და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან საქონლის იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, 17.5%-ს 2022 წელს, 16.5%-ს 2023 წელს, 16.4%-ს 2024 წელს, ხოლო 15.0%-ს 2025 წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან მნიშვნელოვნად შემცირდა და საქართველოს ექსპორტმა უკრაინაში მთლიანი ექსპორტის 4.2% შეადგინა 2022 წელს, რომელიც 2023 წელს კიდევ შემცირდა 1.7%-მდე, 2024 წელს - 1.6%-მდე, ხოლო 2025 წელს 1.5%-მდე. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. 2022-23 წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსი მიგრანტების ტალღამ განაპირობა. თუკი 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ის 3.0%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 11.8%-მდე გაიზარდა, 2023 წელს 8.0%-მდე შენელდა, 2024 წელს 4.1%-მდე, ხოლო 2025 წელს 3.1% შეადგინა. მნიშვნელოვანია, რომ რომელიმე ერთ ქვეყანაზე მაღალი დამოკიდებულება განგრძობითი არ იყოს, რადგან მას გარკვეული რისკები ახლავს, მაგალითად, ფინანსური ნაკადების უცებ შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად ზიანდება, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის, პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის

საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

- **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. განახლებულმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებშიხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ამოქმედდა მთელი რიგი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლებიც სწორედ ჰარმონიზაციის მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა წესი ინსაიდერული ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე - დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ წლიური თუ ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითისთვის, შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები დამსაქმებლებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთი ან ორი თვის ხელფასის ოდენობით), ამყარებდა მუშაკთა უფლებებს მკაფიო მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, და ქმნიდა გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული ან მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოსასვლელად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას

ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელების მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. არსებობს იმის რისკიც, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 20%-ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს;

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონმდებლობის ხარისხსა და აღსრულებადობასთან დაკავშირებით, ასევე - გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის საკმარისი კადრებისა და პროფესიონალების ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან, შედარებით, მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა და გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტეიკჰოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები და მომწოდებლები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

3.5. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“). 2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

3.6. კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება დამატებითი საკანონმდებლო და ანგარიშგების მოთხოვნები

ობლიგაციების გამოშვების შემდგომ, კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, რის შედეგადაც მასზე გავრცელდება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები გამჭვირვალობასთან, პერიოდული და ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნებასთან, კორპორაციულ მართვასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ანგარიშვალდებული პირისათვის დაწესებული მოთხოვნები კომპანიისათვის დამატებითი ტვირთი შეიძლება აღმოჩნდეს და გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს ამ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

4.1. ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე

კომპანია ექვემდებარება კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს დასაქმების სტანდარტებს, შრომისუსაფრთხოებისა და სხვა საკითხებს. შესაძლებელია, რომ მომავალმა ცვლილებებმა მოქმედ რეგიონულ, ტერიტორიულ, ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებში ან ცვლილებებმა მათ აღსრულებასა და ინტერპრეტირებაში გამოიწვიოს იმ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებები, რომლებიც კომპანიას ეხება. გარდა ამისა, ევროკავშირთან დაახლოების გეგმებთან დაკავშირებით საქართველოში მუდმივად ტარდება ახალი რეფორმები, რაც შესაძლოა ნეგატიური გავლენის მომტანი აღმოჩნდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებისთვის.

შეუძლებელია წინასწარმეტყველება, შეიცვლება თუ არა მომავალში ის მარეგულირებელი რეჟიმები, რომლებიც კომპანიაზე ვრცელდება და ასევე რთულია ამ ცვლილებების მონეტარული გავლენის შეფასება კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა ახალმა რეგულაციებმა უძრავი ქონების საკუთრებასთან, იჯარით გაცემასთან ან სხვა საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ინვესტიციებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი: „მარეგულირებელი გარემო“.

4.2. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი

უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

5.1 „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

სამომხმარებლო ფასის ინდექსით განსაზღვრული ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე „კომპანიის“ ბიზნესისთვის. ქვეყანაში ფასების ზრდის სამიზნეზე მაღალ მაჩვენებელზე ხანგრძლივად შენარჩუნებამ და/ან მისმა არასტაბილურმა დინამიკამ შესაძლოა გაზრდილი ხარჯებისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შემცირების გამო გაზარდოს წნეხი მარჟაზე, რამაც, თავისმხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

5.2 „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე

„ნუტრიმაქსი“ წლების მანძილზე ბაზრის ლიდერია და 2024 წლის მდგომარეობით, იკავებს საქართველოს ცხოველების საკვების ბაზრის 48.1%-ს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბაზარი ფრაგმენტირებულია და გამოირჩევა მხოლოდ რამოდენიმე მსხვილი მოთამაშით. ახლად გამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას სხვა ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - *„ინდუსტრიის აღწერა“.*

5.3 „კომპანიას“ გააჩნია მომწოდებელთა კონცენტრაციის რისკი და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა „კომპანიას“ მომწოდებელთან ურთიერთობის გაუარესების ან მომწოდებლის ბაზრიდან გასვლის შემთხვევაში შესაძლოა ისეთი სირთულეები შეუქმნას, როგორებიცაა წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რეალიზაციების შემცირება, მომხმარებელთა დაკარგვა, დამატებით ლიკვიდური სახსრების მიმართვა საბრუნავ კაპიტალში და სხვა.

მიმდინარე მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს მომწოდებელი, რომლის წილიც შესყიდვებში 26%-ს შეადგენს.

5.4 „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს წუნდებული პროდუქციიდან ზარალის რისკის წინაშე

აღსანიშნავია, რომ კომპანია აქტიურად იმუშავებს ახალ პროდუქციას, ხოლო პარალელურად მუდმივად აკონტროლებს არსებული პროდუქციის ხარისხს. შედეგად, კომპანიას აქვს გარკვეული ხარჯები, რაც უკავშირდება წუნდებული პროდქუციის განადგურებას (2025: 933 ათასი ლარი; 2024, 786 ათასი ლარი, 2023: 204 ათასი ლარი).

პროდუქციის წარმოების პროცესში, კომპანიას შესაძლოა მიადგეს ზარალი, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს საოპერაციო შედეგებზე. დამატებით, იმ შემთხვევაში თუ „კომპანია“ სწორად ვერ მართავს პროცესებს და მოხდება წუნდებული პროდუქციის რეალიზაცია, შესაძლოა მიადგეს რეპუტაციული და სამართლებრივი ზიანი, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მის საოპერაციო შედეგებზე.

5.5 „კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ასევე „კომპანიას“ გააჩნია მომხმარებელთა კონცენტრაციის რისკი და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

“ნუტრიმაქსის” ბიზნეს მოდელი ძირითადად ეფუძნება სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით გაყიდვებს. კომპანია არ ფლობს საცალო რეალიზაციის მაღაზიებს, შესაბამისად, დისტრიბუციის არხებში შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება, მომხმარებლის დაკარგვა და სხვა უარყოფითი გავლენები „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიას ჰყავს მომხმარებლები, რომელთა წილები ინდივიდუალურად გაყიდვების 10%-ს აჭარბებს. 2025 წლის მდგომარეობით, ტოპ 3 მომხმარებლის წილი გაყიდვებში 45%-ს შეადგენდა. მომხმარებლებზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა „კომპანიას“ მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუარესების ან მომხმარებლის დაკარგვის შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

5.6 ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“

“კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად ევროში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანიას“ ნედლეულის დიდი ნაწილი შემოაქვს იმპორტზე. გაცვლითი კურსის ცვლილებამ შესაძლოა გაზარდოს პროდუქციის თვითღირებულება, რაც უარყოფითად აისახება „კომპანიის“ მარჟებსა და საოპერაციო მომგებიანობაზე. დამატებით, ლარის გამყარებამ შესაძლოა „კომპანიის“ ექსპორტირებული პროდუქცია ნაკლებად კონკურენტულად აქციოს, რაც ასევე უარყოფითად აისახება საოპერაციო შედეგებზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიის სასესხო ვალდებულებების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში. ობლიგაციებით მოზიდული სახსრებით დიდწილად იგეგმება არსებული ვალდებულებების რეფინანსირება. უცხოურ ვალუტაში ობლიგაციების ემისია მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის ღია სავალუტო პოზიციას. შესაბამისად, გაცვლითი კურსის ცვლილებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის საპროცენტო ხარჯები და სავალო ტვირთი, რაც უარყოფითად აისახება „კომპანიის“ მომგებიანობაზე.

ობლიგაციების ემისიით მოზიდული სახსრები დიდწილად მოხმარდება არსებული სასესხო ვალდებულებების რეეფინანსირებას, რომელთა გარკვეული ნაწილი დენომინირებულია ლარში. შედეგად, მოსალოდნელია რომ გაიზრდება კომპანიის ღია სავალუტო პოზიცია

საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ობლიგაციების აშშ დოლარში ემისიის ეფექტი, შესაბამისი ღია სავალუტო პოზიცია და მგრძნობელობა აშშ დოლართან მიმართებაში:

	12/31/2025 (პრო-ფორმა)	
ფინანსური აქტივები	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,408	-
ფული და ფულის ეკვივალენტი	5	7
სულ	1,413	7
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(305)	(957)

სესხები[11]	(26,951)	-
სულ	(27,256)	(957)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(25,844)	(950)

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2025 (პრო-ფორმა)	(5,169)	5,169

„კომპანიის“ სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - ფინანსური რისკის მართვა - სავალუტო რისკი“.

5.7 „კომპანიას“ აქვს არასაკმარისი ლიკვიდურობა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ გადახდისუნარიანობაზე, ხოლო ობლიგაციების სრულად ვერ განთავსების შემთხვევაში, კომპანია შესაძლოა დადგეს ლიკვიდობის რისკის წინაშე. დამატებით, ობლიგაციების დაფარვის თარიღში, რეფინანსირების საჭიროებიდან გამომდინარე, ემიტენტი შესაძლოა კვლავ დადგეს ლიკვიდობის რისკის წინაშე;

„კომპანიის“ მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები) ისტორიულად ნაკლებია 1-ზე (2025: 0.69, 2024[12]: 0.75, 2023: 0.94). აღნიშნული მეტწილად გამოწვეულია „კომპანიის“ საკრედიტო ხაზებზე/მოკლევადიან სასესხო დაფინანსებაზე დამოკიდებულებით. გაუარესებული საოპერაციო შედეგების შემთხვევაში, აღნიშნულმა ლიკვიდურობის რისკმა, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას „კომპანიის“ შესაძლებლობას, დაფაროს სავაჭრო ვალდებულებები და დროულად მოემსახუროს სესხებს.

აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების ემისიით, „კომპანიას“ მიზნად აქვს გადაფაროს მიმდინარე ვალდებულებების გარკვეულ ნაწილი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ლიკვიდურობას. თუმცა, ასევე აღსაღნიშნავია, რომ ობლიგაციების ვადამოსულობის პერიოდში, კომპანია კვლავ შეიძლება დადგეს ლიკვიდობის/რეფინანსირების რისკის წინაშე, „კომპანიის“ ლიკვიდურობის და სხვა კოეფიციენტების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“.

5.8 „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა

პოტენციური დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლამ, საბაზრო პირობების ცვლილებამ ან/და სხვა გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. ზემოთ აღწერილმა ფაქტორებმა, შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ფულადი ნაკადების შემცირება, რაც თავის მხრივ შეამცირებს კომპანიის შესაძლებლობას მოემსახუროს ვალდებულებებს და გაზრდის ლევერიჯს (გამოხატული Debt/EBITDA კოეფიციენტებით, რომელიც ფიგურირებს საბანკო კოვენანტებში).

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

---

[11] აღნიშნული დაშვებით, ობლიგაციებით მიღებული სახსრებით, კომპანია სრულად დაარეფინანსირებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებს

[12] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი. აღნიშნული ვალდებულებების სწორად, მიმდინარე ნაწილში კლასიფიცირებით, 2024 წლისთვის მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი შეადგენდა 0.62-ს;

5.9 შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება, რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცვებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

5.10 უმაღლესი ხელმძღვანელობისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორებიცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ საკვების წარმოებს სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ტოპ მენეჯმენტის წევრებისა და ძირითადი პერსონალის დროულად მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას, „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს სახელფასო ხარჯების ზრდა, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

5.11 „კომპანია“ დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე

ადგილობრივ, ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით, შესაბამისად, კომპანიას დანერგილი აქვს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომ უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა, მათი პერიოდული შემოწმებით და ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგითა და გაუმჯობესებით.

თუმცა, არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეელახოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე“

5.12 პროსპექტით დაფარულ ფინანსურ პერიოდებზე კომპანია ვერ აკმაყოფილებდა კომერციულ ბანკთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ კოვენანტებს და არა არსებობს გარანტია, რომ კომპანია მომავალ პერიოდებზე შეასრულებს აღნიშნულ კოვენანტებს, ან მოახერხებს გათავისუფლების წერილის (waiver letter) მოპოვებას

2023, 2024 და 2025 წლის მდგომარეობით, კომპანია ვერ აკმაყოფილებდა სს „ბაზისბანკთან“ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ DSCR და ICR კოვენანტებს (სესხების ძირისა და დარიცხული პროცენტის ჯამური მოცულობა: 31/12/2025: 28,063 ათასი ლარი; 31/12/2024: 24,145 ათასი ლარი; 31/12/2023: 24,175 ათასი ლარი), თუმცა აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით, კომპანიას მიღებული აქვს გათავისუფლების წერილების (waiver letter). აღნიშნული გათავისუფლების წერილები გაიცა „ბაზისბანკთან“ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში და უკავშირდებოდა წარსულ პერიოდებში კოვენანტების შესრულებას.

არ არსებობს სამომავლო გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს გათავისუფლების წერილების (waiver letter) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

5.13 ცხოველთა საკვების წარმოება ხასიათდება მაღალი დამოკიდებულებით ნედლეული მასალების ფასებსა და მათ ცვალებადობაზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობაზე

„კომპანიის“ ოპერაციები მოითხოვს მნიშვნელოვანი მოცულობის სხვადასხვა ნედლეულ მასალებსა და კომუნალურ მომსახურებებს, მათ შორის სხვადასხვა ტიპის მარცვლეულს, ცილოვან პროდუქტებს და საკვებ დანამატებს, ასევე მანქანა-დანადგარების ტექნიკურ მარაგებს.

ნედლეული მასალების ფასსა და ხელმისაწვდომობაზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მთელმა რიგმა ფაქტორებმა, რომლებიც სცდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს, მათ შორის, წარმოების წყვეტამ მომწოდებლების მიზეზით, მოთხოვნამ ნედლეულ მასალებზე, მომწოდებლების გადასვლამ სხვა შემსყიდველებზე, ფასისა და ვალუტის მერყეობამ და ტრანსპორტირების ფასებმა. იმ შემთხვევაში, თუ „ნუტრიმაქსი“ ვერ შეძლებს ნედლი მასალების შესყიდვას საკმარისი რაოდენობით, მისაღები ფასებით, დროულად ან საერთოდ ვერ შეძლებს მათ შესყიდვას, კომპანიის საქმიანობა შეიძლება შეფერხდეს, რასაც შედეგად მოჰყვება წარმოების მოცულობის შემცირება ან მთლიანად შეწყვეტა. ნებისმიერმა ამგვარმა მოვლენამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

5.14. „კომპანია“ გასცემს დაკავშირებულ კომპანიებზე სესხებს, შესაბამისად, შესაძლოა შეიქმნას გაცემული სესხების უკან დაბრუნების რისკი;

2023, 2024 და 2025 წლებში, „კომპანია“ გასცემდა სესხებს დაკავშირებულ მხარეებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სესხები ისტორიულად იფარებოდა, თუ კომპანიის მხრიდან დამატებით კიდევ მოხდება სესხების გაცემა, არსებობს რისკი, რომ გაცემული სესხები არ დაბრუნდეს და „კომპანიამ“ ამით იზარალოს. შედეგად შესაძლოა საფრთხე შეექმნას „ობლიგაციების“ მომსახურებას. 2024 წელს კომპანიამ სრულად გააუფასურა დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი, თუმცა 2025 წლის მდგომარეობით აღნიშნული სესხის საბალანსო ღირებულება აღდგა; გაცემულ სესხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ქვეთავი „გაცემული სესხები“. ასევე აღსანიშნავია, რომ სესხების გაცემა იზღუდება ობლიგაციების დათქმებით, კერძოდ იხილეთ ქვეთავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ – „აკრძალული გადახდები“.

5.15. „კომპანიის“ შემოსავლების ნაწილი გენერირდება ექსპორტიდან, შესაბამისად, ექსპორტთან დაკავშირებულმა რისკებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „ემიტენტის“ საქმიანობის შედეგებზე;

„ემიტენტის“ შემოსავლების დაახლოებით 20%-ზე მეტი მოდის საექსპორტო რეალიზაციაზე. შესაბამისად, „ემიტენტი“ ექვემდებარება ექსპორტთან დაკავშირებულ რისკებს, მათ შორის, საექსპორტო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირების,

ცალკეულ ბაზრებზე ეკონომიკური ან პოლიტიკური გარემოს გაუარესების, საგარეო სავაჭრო რეგულაციების ცვლილების, ლოგისტიკური შეფერხებების, ტრანსპორტირების ხარჯების ზრდის და საბაჟო შეზღუდვების რისკებს.

5.16. Fitch Ratings საკრედიტო რეიტინგის მეთოდოლოგიით, კომპანიის გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების შესრულებას შესაძლოა მიენიჭოს ccc საკრედიტო ქულები;

კომპანიის თავისუფალი ფულადი ნაკადების (FCF) მარჟა, 2023 და 2025 წლებზე შეადგენდა -6.5% და -4.7%-ს შესაბამისად. (CFO-Capex)/Debt კოეფიციენტი 2023 და 2025 წლებზე შეადგენდა -7.8% და -8.6%-ს შესაბამისად. ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2023, 2024 და 2025 წლებზე შეადგენდა -0.13-ს, 0.32-ს და -0.1-ს შესაბამისად. აღნიშნული კოეფიციენტების მაჩვენებლები და კომპანიის აბსოლიტური EBITDA მასშტაბი, Fitch Ratings საკრედიტო მეთოდოლოგიის მიხედვით შესაძლოა მოხვდეს ccc სეგმენტში.

თუმცა, აღსაღნიშნავია, რომ საკრედიტო რეიტინგის მინიჭება ხდება დამატებით როგორც სხვა ფინანსური კოეფიციენტების, ასევე კომპანიის ხარისხობრივი ანალიზით. საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიით დათვლილი კოეფიციენტების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიების მიხედვით“.

5.17. ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი რისკი;

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის “მსს ფასს” მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტში გამოვლინდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობა. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის ხელმძღვანელობამ, ანგარიშგების “ფასს” სტანდარტებით მომზადებასთან ერთად, მოახდინა შესაბამისი შესწორება და ჯგუფმა გამოსცა შესწორებული კონსოლიდირებული აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

კერძოდ:

2024 წელს 695,000 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს 213,000 ათასი ლარის ხარჯები მიკუთვნებული იყო სხვა ზარალზე (ნეტო), რომლის რეკლასიფიკაციაც მოხდა გაყიდვების თვითღირებულებაში. აღნიშნულ რეკლასიფიკაციას კომპანიის ფინანსურ შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

ამასთან, 2024 წელს 129 ათასი ლარით, ხოლო 2023 წელს 130 ათასი ლარით გაიზარდა გაყიდვების თვითღირებულება მარაგების დანაკლისებიდან გამომდინარე. აღნიშნული უკავშირდება 2026 წლის თებერვალში ჩატარებულ ინვენტარიზაციას, როდესაც კომპანიამ 2021 წლის შემდეგ პირველად შეძლო ხორბლისა და სიმინდის შესანახი ბუნკერების სრულად განულება და მარაგების ფაქტობრივი ნაშთების დაფიქსირება. წარსულ პერიოდებში სრული ინვენტარიზაცია ვერ ხერხდებოდა საოპერაციო პროცესის უწყვეტობიდან გამომდინარე, რის გამოც მარაგების ნაშთების შეფასება ხდებოდა ფიზიკური დათვალიერებით. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი დანაკლისები გადანაწილდა წარსულ პერიოდებზე მოხმარების პროპორციულად, ხოლო მომავალ პერიოდებთან მიმართებით განახლდა დანაკლისების შეფასებითი მიდგომა.

დამატებით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

აღსაღნიშნავია, რომ ემიტენტი გადავიდა „ფასს“ ანგარიშგების სტანდარტებზე, ხოლო ობლიგაციების ემისიის შემდეგ გახდება „სდპ“, რასაც უკავშირდება ანგარიშგების ხარისხის გაზრდილი სტანდარტები. ამისდა მიუხედავად, ვერ იარსებებს გარანტია, რომ მსგავს შესწორებებს სამომავლო პერიოდებში ადგილი არ ექნება;

5.18. ცხოველთა საკვების სექტორი შესაძლოა ვერ გაიზარდოს მშპ-ს ზრდის ტემპით;

ცხოველების საკვების მოხმარება საქართველოში 2018-25 წლებში საშუალოდ წლიურად 12.0%-ით გაიზარდა და 2025 წელს 135 მლნ კგ-ს მიაღწია. თუმცა, 2022 წლიდან აღინიშნება ცხოველების საკვების სექტორის წილის შემცირება მშპ-

ში. კერძოდ, ცხოველების საკვების სექტორის დამატებითი ღირებულების შეფარდება მშპ-სთან მიმდინარე ფასებში 2021 წლისთვის 0.04%-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წლისთვის ეს მაჩვენებელი 0.03%-მდეა შემცირებული.

არ არსებობს გარანტია, რომ სამომავლოდ ცხოველთა კვების სექტორის ზრდის მაჩვენებელი დაეწევა/გადააჭარბებს მშპ-ს ზრდას, რაც ნიშნავს, რომ ბაზარს არ ექნება მინიმუმ მშპ-ს ზრდის ტემპით განვითარების პოტენციალი. აღნიშნული გარემოება შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ზრდის ტემპსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

6. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

6.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

6.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

6.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;

კომპანია ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებელსა და ძირითად თანხას გადაიხდის აშშ დოლარში ან ევროში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი ძირითადად დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში („**ინვესტორის ვალუტა**"). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს დოლარის დევალუაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება ევროსთან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ძირითადი თანხის ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურად ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა/ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

6.4. "ობლიგაციებს" სარგებელი ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციები" წარმოადგენს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე სასესხო ფასიან ქაღალდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე (თუ არ მოხდა მათი ვადამდელი დაფარვა ან გამოსყიდვა პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად) წელიწადში რამდენჯერმე დაერიცხებათ სარგებელი ერთი და იმავე წლიური განაკვეთით ნომინალური ღირებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. (თითოეული ემისიის გადახდის სიხშირე განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით" და შესაძლოა იყოს ერთ-ერთ შემდეგთაგანი : 1) ყოველთვიური; 2) კვარტლური; 3) ნახევარწლიური;) მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორს ინვესტორისთვის მოაქვს სტაბილურობა და მას საშუალებას აძლევს უკეთესად განჭვრიტოს სამომავლოდ მისაღები სახსრები, არსებობს გარკვეული რისკები, რაც ობლიგაციონერებმა უნდა გაითვალისწინონ: თუ ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, მაშინ ინვესტორებმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი მიიღონ, ვიდრე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდების შეძენის შემთხვევაში მიიღებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ობლიგაციონერებს შესაძლოა გაუჭირდეთ „ობლიგაციების" მეორად ბაზარზე გადაყიდვა ზარალის მიღების გარეშე, ვინაიდან ინვესტორები დაინტერესებულები იქნებიან ბაზარზე იმ მომენტში არსებული მაღალგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდებით.

7. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

7.1. „ობლიგაციები" წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს;

„ობლიგაციები" წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი თანაბარი უფლებებით და დაფარვის თანაბარი პრიორიტეტულობით სარგებლობენ. „ობლიგაციების პირობებში" მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ" დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, ან/და იკისროს სხვა ვალდებულებები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება ობლიგაციებს ან იქნება რიგითობით მასზე მაღლა. ნებისმიერმა ამგავრმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ ან/და სხვა ვალდებულებების აღებამშესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან" დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის" შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების" ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების" მეორადი გაყიდვის ფასზე.

7.2. არსებობს „ობლიგაციების" ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი;

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

7.3. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს;

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი. ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კანონმდებლობით, უზრუნველყოფილ კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ მათ, ანუ უზრუნველყოფილი კრედიტორების, სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. ემიტენტის არსებული სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიას, ხოლო „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები მიეკუთვნება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნათა კატეგორიას. აღნიშნული კანონის მიხედვით, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასა შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდება: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ ემიტენტის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით); დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები.

კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

7.4. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს;

ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „**აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონი**“) ან აშშ-ს რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის ან რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ამგვარ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

7.5. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;

„კომპანიამ“ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

7.6. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სექციაში: „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

7.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

7.8. შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.

პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (ან ნაწილობრივ) „ობლიგაციების“ განთავსებიდან ნებისმიერ დროს. „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 102%-ს გამოშვების თარიღიდან 1 წლამდე, 101%-ს გამოშვების თარიღიდან 1 წლის შემდეგ,

100.5%-ს დაფარვის თარიღამდე ბოლო 6 თვიდან 3 თვემდე, 100%-ს დაფარვის თარიღამდე ბოლო 3 თვის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, რასაც ემატება ვადაზე ადრე გამოსყიდვის თარიღზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე, ობლიგაციონერისთვის ჩნდება იმაზე ნაკლები შემოსავლის/მოგების მიღების რისკი, ვიდრე მოელოდა. ამავე დროს, შეიძლება შეზღუდული იყოს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მსგავსი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში რეინვესტირების შესაძლებლობა.

დეტალური ინფორმაცია ობლიგაციების ვადამდე დაფარვის ან გამოსყიდვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“-ქვეთავი „7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა - (გ) გამოსყიდვის ოფცია“.

7.9. „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდეგომ აღსრულების დაყოვნების რისკი.

„ობლიგაციების გამოშვების პირობების" თანახმად, „დეფოლტის შემთხვევის" გამოცხადების თაობაზე მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების" ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მოქმედებს მოლოდინის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც „ობლიგაციონერები" თავს იკავებენ აღსრულების პროცესის წამოწყებისგან „ემიტენტის" მიმართ, დეფოლტის საფუძვლის ხასიათისა და სიმძიმის მიუხედავად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში „ემიტენტი" უფლებამოსილია გაასაჩივროს „სპეციალური გადაწყვეტილება" წინამდებარე „პროსპექტით" განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში. იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტი" დროულად წარადგენს საჩივარს, აღსრულება შესაძლოა დამატებით გადაიდოს დავის შედეგის გამოცხადებამდე, რომლითაც შესაძლოა ძალაში დარჩეს, გაუქმდეს ან შეიცვალოს „სპეციალური გადაწყვეტილება". შესაბამისად, ინვესტორებმა არ უნდა ჩათვალონ, რომ „დეფოლტის შემთხვევის" სათანადო წესით გამოცხადება უზრუნველყოფს აღსრულების მექანიზმებზე დაუყოვნებლივ წვდომას.

8. ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

8.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე;

ობლიგაციების გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

8.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის კალკულაციის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს;

„კომპანია“ „ობლიგაციონერთათვის“ შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „დეპოზიტარის“ მეშვეობით, „კალკულაციის აგენტის“ მიერ განხორციელებული კალკულაციების/გამოთვლის საფუძველზე

დადგენილი ოდენობების შესაბამისად. "ობლიგაციონერი" ვალდებულია დაეყრდნოს „დეპოზიტარის", „ანგარიშის მწარმოებლის" ან „კალკულაციის აგენტის" პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას" არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

8.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩევლებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

8.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები".

8.5. არ არსებობს გარანტია, რომ ობლიგაციები დაიშვება საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ;

კომპანია გეგმავს წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ობლიგაციების ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე ლისტინგს და სავაჭროდ დაშვებას. თუმცა, არ არსებობს აბსოლიტური გარანტია, რომ აღნიშნული დაშვება მოხდება პროსპექტით გათვალისწინებულ ვადაში ან წარმატებით. ბირჟაზე დაშვების გადაწყვეტილებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ბირჟის ლისტინგის წესების ცვლილებამ, ამ წესების განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ ბირჟის მხრიდან, მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულმა მოთხოვნებმა, ან კომპანიის კონტროლის მიღმა არსებულმა სხვა ფაქტორებმა.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტული შემოსავალი და კაპიტალის ნამატი გათავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. შესაბამისად, თუ ობლიგაციები არ დაიშვება ბირჟაზე, ან მოხდება მათი დელისტინგი, აღნიშნული საგადასახადო შეღავათი არ გავრცელდება ინვესტორებზე, რაც გამოიწვევს მათთვის ფაქტობრივი წმინდა უკუგების შემცირებას მოსალოდნელთან შედარებით.

მარეგულირებელი გარემო

მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა

ზოგადი მიმოხილვა

შპს „ნუტრიმაქსი“ („**კომპანია**“) წარმოადგენს ცხოველთა კვების სფეროში მოქმედ საწარმოს, რომელიც აწარმოებს და ბაზარზე ვაჭრობს როგორც ფერმერული მეურნეობის ცხოველებისა და ფრინველებისთვის განკუთვნილ კომბინირებულ საკვებითა და მასთან დაკავშირებულ პროდუქტებით (კონცენტრატები, პრემიქსები, საკვებდანამატები), ასევე კომპანიონი ცხოველებისა (ძაღლი/კატა) და აკვაკულტურისათვის ექსტრუდირებულ საკვებს. „კომპანიის“ საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, მარეგულირებელი ჩარჩო ერთდროულად მოიცავს ზოგად საკორპორაციო, შრომით, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის წესებს და სპეციალურ მოთხოვნებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარული კონტროლის, ჰიგიენის, ეტიკეტირების, მიკვლევადობისა და ბაზარზე განთავსების მიმართულებით. პრაქტიკაში, „კომპანიის“ შესაბამისობა ამ მოთხოვნებთან ასახავს არა მხოლოდ პროდუქტის უსაფრთხოებასა და ხარისხის მართვას, არამედ საწარმოო პროცესების ორგანიზებას, კონტროლის მექანიზმებს, ბაზარზე კომუნიკაციის წესებს და რისკების პრევენციას, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროდუქცია გადაადგილდება საერთაშორისო ვაჭრობის ფარგლებში.

რელევანტური კანონმდებლობა/რეგულაციების არასრული ჩამონათვალი:

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
2. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“
3. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“
4. საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
6. საქართველოს კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”
7. საქართველოს კანონი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“
8. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“
9. საქართველოს კანონი “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი”
10. საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“
11. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04 „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“
12. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04 „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“
13. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №172/04 „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“
14. საქართველოს მთავრობის დადგენილება №173 „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“
15. საქართველოს მთავრობის დადგენილება №577 „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“

16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №605 „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“

17. საქართველოს მთავრობის დადგენილება №58 „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“

18. საქართველოს მთავრობის დადგენილება №548 „ტექნიკური რეგლამენტის – გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობისა და ეტიკეტირების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან წარმოებული სურსათის/ცხოველის საკვების მიკვლევადობის დამტკიცების შესახებ“

19. საქართველოს მთავრობის დადგენილება №549 „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“

20. საქართველოს მთავრობის დადგენილება №473 „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის წესები

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და „კომპანიის“ წესდება ერთობლივად ადგენს კომპანიის საქმიანობის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს. აღნიშნული კანონი არეგულირებს კომპანიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, მისი ლიკვიდაციის წესს.

„კომპანია“ სავალდებულოდ რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ („საჯარო რეესტრი“). როგორც თავდაპირველი რეგისტრაცია, ასევე მეწარმის რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების ან გაუქმების რეგისტრაციაც სავალდებულოა. „საჯარო რეესტრში“ ასახული ინფორმაცია არის საჯარო და ვრცელდება მისი სისწორისა და სისრულის პრეზუმფცია.

„კომპანიის“ პარტნიორი საზოგადოებას საკუთრებაში გადასცემს ქონებას შენატანის სახით, რომელიც შეიძლება იყოს ფულადი ან არამატერიალური თუ მატერიალური ქონებრივი სიკეთე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასევე ითვალისწინებს დივიდენდის გაცემის შეზღუდვებს. ამასთან, კანონმდებლობა სამეწარმეო საზოგადოებისთვის განსაზღვრავს რეორგანიზაციის ფორმებს, მათ შორის, გარდაქმნას (ერთი სამართლებრივი ფორმიდან სხვა სამეწარმეო ფორმად), შერწყმასა და გაყოფას.

კანონმდებლობა არეგულირებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესს. „კომპანიის“ დაშლა შესაძლებელია, მათ შორის, პარტნიორის გადაწყვეტილებით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საფუძველი, რაც მოიცავს ორ ძირითად შემთხვევას: (i) თუ პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით დაკისრებული არსებითი მოვალეობა; ან (ii) თუ პარტნიორი ვეღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამის შედეგად საზოგადოების მიზნის მიღწევა შეუძლებელი ხდება.

დაშლის შემდეგ იწყება საზოგადოების ლიკვიდაციის ეტაპი. ამ პროცესში მონაწილეობენ ლიკვიდატორები, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც საზოგადოების ხელმძღვანელები, ისე სხვა დანიშნული პირები. ლიკვიდაციის მიმდინარეობისას სავალდებულოა კრედიტორების ინფორმირება ლიკვიდაციის შესახებ. პროცესი სრულდება საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ, რის შემდგომაც ლიკვიდატორები მიმართავენ „საჯარო რეესტრს“ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით.

ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „კომპანია“ ითვლება ფასიანი ქაღალდების ემიტენტ ანგარიშვალდებულ საწარმოდ. ანგარიშვალდებული საწარმოსათვის ინფორმაციის გამჟღავნებისა და წლიური ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

<u>შეთავაზების გაკეთება</u>

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო შეთავაზებად მიიჩნევა ემიტენტის სახელით გაკეთებული შეთავაზება ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვის შესახებ, რომელიც მიმართულია არანაკლებ 100 პირისადმი ან წინასწარ განსაზღვრული პირთა ჯგუფისადმი. საჯარო შეთავაზების

შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საქართველოში საჯარო ფასიანი ქაღალდები უნდა გამოიცეს და აღირიცხოს დემატერიალიზებული ფორმით, ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში. ამასთან, ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდები შეიძლება გამოიშვას როგორც რეესტრში რეგისტრირებული ფორმით, ისე დემატერიალიზებულ ფორმაში ცენტრალური დეპოზიტარის მეშვეობით.

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ კანონის თანახმად, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიღება და გადაცემა ხდება ანგარიშის მფლობელის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტებით ან დადებეტებით.

ანგარიშის მწარმოებელს შეუძლია დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები ფლობდეს როგორც საკუთარი, ისე მესამე პირის სასარგებლოდ, ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილ ანგარიშებზე პირდაპირ ან სხვა ანგარიშის მწარმოებლების მეშვეობით, არაპირდაპირ.

ემიტენტი ვალდებულია დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდზე დივიდენდის, პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის მიზნით შესაბამისი თანხა ხელმისაწვდომი გახადოს წინასწარ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე. მას შემდეგ, რაც მითითებული თანხა ხელმისაწვდომი გახდება, ემიტენტი თავისუფლდება შესაბამისი ვალდებულებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყადაღის ან სხვა ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამო აღნიშნული თანხის გამოყენება შეუძლებელი გახდება.

<u>კორპორაციული მმართველობა, ანგარიშგება და ინფორმაციის საჯაროობა</u>

საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის კორპორაციული მართვისა და ანგარიშგების წარმოების განსხვავებულ ან/და დამატებით მოთხოვნებს.

კორპორაციული მართვისა და შესაბამისი პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, „კომპანია“ ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში შექმნას აუდიტის კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ზედამხედველობას, შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, შიდა აუდიტის (არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობას და კოორდინაციას აუდიტორთან. ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია დირექტორის, დირექტორთა საბჭოს წევრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საწარმოდან მიღებული ანაზღაურებისა და სხვა სარგებლის შესახებ.

ანგარიშგების ვალდებულების ფარგლებში, „კომპანია“ ვალდებულია შეადგინოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს წლიური და ნახევარწლიური ანგარიშები, რომლებიც შესაბამის საანგარიშო პერიოდზე უნდა მოიცავდეს აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, მმართველობის ანგარიშგებას და პასუხისმგებელი პირების განცხადებას წარმოდგენილი ანგარიშგების სისწორისა და სრულყოფილების შესახებ.

„კომპანია“ გეგმავს, რომ შუალედურ ანგარიშგებას წარადგენს 2026 წლის 30 აგვისტომდე.

კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ამკრძალავი რეგულაციები

თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვისა და კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის თავიდან აცილებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო („**კონკურენციის სააგენტო**“) და საქართველოს ეროვნული ბანკი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის („**კონკურენციის შესახებ კანონი**“) საფუძველზე.

„კონკურენციის შესახებ კანონის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და ბაზარზე მათი თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნა. კანონი კრძალავს „კომპანიის“ მიერ კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას, მათ შორის, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებს, გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებულ ქმედებებს, აგრეთვე ისეთ კონცენტრაციას, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

კონკურენციის შესახებ კანონი „კონკურენციის“ სააგენტოს ანიჭებს უფლებამოსილებას საჭიროების შემთხვევაში შეაფასოს „კომპანის“ (ან „კომპანიის“ და სხვა ეკონომიკური აგენტების) დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე და, აღნიშნულის დადგენის შემთხვევაში, კრძალავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

„კონკურენციის სააგენტოს“ კომპეტენციაში შედის ასევე იმგვარი შეთანხმებების შეფასება, რომლებიც „კომპანიამ“ შეიძლება დადოს სხვა ეკონომიკურ აგენტებთან და რომლებიც პირდაპირ ან ირიბად იწვევს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, არასამართლიანი ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენაში; წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების შეზღუდვაში მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ; ბაზრების ან მიწოდების წყაროების განაწილებაში მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით; აგრეთვე გარიგების დასადებად ისეთი დამატებითი პირობების ან ვალდებულებების დაკისრებაში, რომლებიც გარიგების საგანთან საგნობრივ ან კომერციულ კავშირში არ არის.

მითითებული წესების დარღვევის შემთხვევაში, „კონკურენციის სააგენტო“ უფლებამოსილია „კომპანიას“ დააკისროს ჯარიმა, რომლის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 5%-ს.

შრომითი რეგულაციები

„კომპანია“, როგორც დამსაქმებელი, ექვემდებარება შრომითი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს. საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს შრომის კოდექსი („**შრომის კოდექსი**“) დამსაქმებლისთვის ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია.

შრომითი კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახური, რომელიც უფლებამოსილია გააკონტროლოს სამუშაო პირობები და, ქვემოთ მითითებული მინიმალური ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ დააწესოს შესაბამისი სანქციები ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების გზით.

<u>შრომითი ურთიერთობის ვადა და სამუშაო საათები</u>

თუ შრომითი ურთიერთობა მხარეებს შორის გრძელდება ერთ თვეზე მეტი ვადით, „შრომის კოდექსი“ დამსაქმებელს ავალდებულებს შრომითი ხელშეკრულების წერილობით ფორმაში დადებას. ამასთან, თუ ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, იგი ითვლება უვადო შრომით ხელშეკრულებად. „კომპანია“, როგორც დამსაქმებელი, უფლებამოსილია დასაქმებულს ერთჯერადად დაუწესოს გამოსაცდელი ვადა მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში. „შრომის კოდექსი“ ასევე ითვალისწინებს არანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობას.

კანონით დადგენილი მაქსიმალური სამუშაო დრო შეადგენს კვირაში 40 საათს, ხოლო სამუშაო დღეებს ან ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

„შრომის კოდექსი“ დასაშვებად მიიჩნევს ზეგანაკვეთურ სამუშაოსაც, რომელიც ანაზღაურდება საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით, მხარეთა შორის ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულთათვის კოდექსი ადგენს სპეციალურ სამუშაო დროის რეგულაციას — ასეთ შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში ღამის სამუშაოს მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.

<u>შვებულება</u>

დასაქმებულს ასევე აქვს საკანონმდებლო მინიმუმით დადგენილი ანაზღაურებადი შვებულება - წელიწადში 24 სამუშაო დღე, და ანაზღაურებადი შვებულება - 15 კალენდარული დღე და დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება - წელიწადში 10 კალენდარული დღე.

<u>შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა</u>

„შრომის კოდექსი“ არეგულირებს შრომითი ურთიერთობის როგორც შეჩერების, ისე შეწყვეტის წესსა და საფუძვლებს. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლად შეიძლება განიხილებოდეს, მათ შორის, გაფიცვა, ლოკაუტი, შვებულება ან/და პროფესიული გადამზადება.

შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლით ან დასაქმებულის კვალიფიკაციის შეუსაბამობით დაკისრებულ სამუშაოსთან. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, შესაბამისი მხარე ვალდებულია მეორე მხარე წინასწარ, არანაკლებ ერთი თვით ადრე, წერილობით გააფრთხილოს.

<u>შრომის უსაფრთხოება</u>

შრომის უსაფრთხოების საკითხები, შრომის კოდექსთან ერთად, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიზანია სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა. იგი მოიცავს არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირებას, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციას, დასაქმებულთა ინფორმირებასა და გადამზადებას, მათთვის კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში მათი თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფას.

„კომპანია“ ვალდებულია დასაქმებულს გონივრულ ვადაში მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან გარემოს უსაფრთხოებაზე. კანონმდებლობა ასევე ავალდებულებს „კომპანიას“, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს დასაქმებულის უბედური შემთხვევის დაზღვევა, დანიშნოს ან დაიქირაოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს და დანერგოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები.

სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახური“ საკუთარი ინიციატივით ან განცხადების საფუძველზე ახორციელებს დამსაქმებელთა, სამუშაო გარემოსა და მოქმედი რეგულაციების შემოწმებას. თუ ინსპექცია დაადგენს კანონმდებლობის დარღვევას, იგი უფლებამოსილია დაავალოს დამსაქმებელს შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა აღდგეს დასაქმებულის დარღვეული სამართლებრივი მდგომარეობა.

გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობა

„კომპანიის“ გადახდისუუნარობის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია მოვალის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. საქმის წარმოება შეიძლება წარიმართოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმით, ხოლო პროცესში სავალდებულოა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობა. გადახდისუუნარობის ფარგლებში „კომპანიის“ პასუხისმგებლობა ვრცელდება მთელ მის ქონებაზე, რომელიც მას ეკუთვნის განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის, გარდა პირობადებული საკუთრების ობიექტისა და ლიზინგის საგნისა.

საქმის წარმოებისას ფორმირდება კრედიტორთა რეესტრი და ამოქმედდება მორატორიუმი, რაც გულისხმობს, მათ შორის, მოვალის ქონების მიმართ მიმდინარე იძულებითი აღსრულების, უზრუნველყოფის ღონისძიებების, აგრეთვე ჯარიმებისა და საურავების დარიცხვისა და გადახდის შეჩერებას. ამავე პერიოდში აკრძალულია დივიდენდის განაწილება, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ახალი ვალდებულებების აღება და პირგასამტეხლოს დარიცხვა ან გადახდა.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შეიძლება დასრულდეს რეგულირებული შეთანხმებით, რომელიც იდება მოვალესა და კრედიტორ(ებ)ს შორის. ასეთი შეთანხმების ფარგლებში თითოეულმა კრედიტორმა უნდა მიიღოს მინიმუმ ის მოცულობა, რასაც გაკოტრების შემთხვევაში მიიღებდა, თუ თავად არ დათანხმდება განსხვავებულ პირობებს. რეგულირებული შეთანხმების გაფორმების შედეგად მოვალე აგრძელებს საქმიანობას და არ იწყება ლიკვიდაცია.

თუ საქმის ფარგლებში მოთხოვნილია რეაბილიტაცია, იწყება რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება და დამტკიცება. მისი მიზანია საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნება და კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება, იმაზე უკეთესი შედეგის მიღწევით, ვიდრე ეს გაკოტრების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. რეაბილიტაციის რეჟიმში საწარმოს საქმიანობასა და ქონებას მართავს მართვაში მყოფი მოვალე, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში — რეაბილიტაციის ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ.

თუ საქმის ფარგლებში გახსნილია გაკოტრების რეჟიმი, რეალიზდება „კომპანიის“ მთელი ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის. გაკოტრების რეჟიმის გახსნისას ინიშნება გაკოტრების მმართველი, რომელიც უფლებამოსილია ქონების გაყიდვა კანონით ნებადართული ნებისმიერი ფორმით — როგორც ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით, ისე ნაწილ-ნაწილ.

მომხმარებელთა უფლებები

საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს იმ მომხმარებლების უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად. „კომპანია“ ვალდებულია სრულ შესაბამისობაში იყოს დაწესებულ მოთხოვნებთან.

ინფორმაციის მიწოდება

კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანია“ ვალდებულია მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიო და გასაგები ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და მისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, აგრეთვე მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების), მისამართისა და საკონტაქტო მონაცემების თაობაზე. ამასთან, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), გადახდის, მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ, მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე (არსებობის შემთხვევაში), ასევე ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

„კომპანია“ ასევე ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ან მომსახურების გასაყიდი ფასისა და, საჭიროების შემთხვევაში, ერთეულის ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ერთეულის ფასის მითითება სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მომსახურების ნაწილია. ამასთან, მოვაჭრეს ეკრძალება მომხმარებლისთვის საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებისთვის იმაზე მაღალი საფასურის დაკისრება, ვიდრე თავად იხდის შესაბამის მომსახურებაზე.

ნაყიდი საქონლის დაბრუნება

იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელს აქვს უფლება უარი თქვას საქონლის ან/და მომსახურების შეძენის ხელშეკრულებაზე, „კომპანია“ ვალდებულია სრულად დაუბრუნოს მას გადახდილი თანხა, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, მიწოდების ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხაც. თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს გაჭიანურების გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში, იმავე გადახდის საშუალებით, რომლითაც მომხმარებელმა ისარგებლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი თანხმობას განაცხადებს სხვა გადახდის საშუალების გამოყენებაზე და ეს მას დამატებით ხარჯს არ წარმოუშობს.

ამასთან, მოვაჭრე უფლებამოსილია შეაჩეროს თანხის დაბრუნება მანამდე, ვიდრე არ დაიბრუნებს საქონელს ან მომხმარებლისგან არ მიიღებს საქონლის გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

სტანდარტული პირობები

კანონმდებლობა აღიარებს სტანდარტული პირობების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა კრძალავს ისეთი დებულებების ჩართვას, რომლებიც მომხმარებლის უფლებებს არღვევს ან მას არასამართლიან მდგომარეობაში აყენებს. მათ შორის დაუშვებელია დებულება, რომელიც მომხმარებელს ავალდებულებს ხელშეკრულების შესრულებას მაშინ, როდესაც მოვაჭრის მიერ ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ მის ნებაზე დამოკიდებული პირობის დადგომაზე. ასევე აკრძალულია პირობა, რომელიც მოვაჭრეს ათავისუფლებს ვალდებულებისგან, მომხმარებელს თავისი ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადა განუსაზღვროს.

დაუშვებელია აგრეთვე ისეთი დებულება, რომელიც მოვაჭრეს აძლევს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მაშინ როდესაც მომხმარებელს არ ენიჭება ანალოგიური უფლება.

მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანო

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს კონკურენციის სააგენტოს. აღნიშნული განცხადების საფუძველზე სააგენტოს შეუძლია დაიწყოს საქმის წარმოება და, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, „კომპანიის“ მიმართ მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოითხოვს დარღვეული უფლების აღდგენას და/ან აკრძალული ქმედების შეწყვეტას.

საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვა

„კომპანია“, როგორც ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორი, ექვემდებარება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში მოქმედ რეგულაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის და ცხოველის ჯანმრთელობის დაცვას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვასა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფას. კომპანიის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს რისკზე ორიენტირებულ მიდგომას, პრევენციას, გამჭვირვალობას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილებას, მათ შორის, ეტიკეტირების, რეკლამისა და პროდუქტის წარდგენის ნაწილში.

„კომპანია“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ცხოველის საკვები ბაზარზე არ განთავსდეს და გამოყენებული არ იქნას, თუ იგი უვნებელი არ არის. ცხოველის საკვები მავნედ მიიჩნევა, თუ ის ქმნის რისკს ცხოველის ჯანმრთელობისთვის ან თუ მისით გამოკვებილი ცხოველისგან მიღებული სურსათი მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, როგორც წესი, პრობლემურად განიხილება მთელი პარტია, ხოლო დეტალური შემოწმების ხარჯი ეკისრება ბიზნესოპერატორს. ამასთან, დოკუმენტურად დასაბუთებული შესაბამისობაც არ გამორიცხავს კომპეტენტური ორგანოს მიერ ბაზარზე განთავსების შეზღუდვას/აკრძალვას ან პროდუქტის ბაზრიდან ამოღებას, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი უვნებლობასთან დაკავშირებით.

„კომპანია“ ვალდებულია დარეგისტრირდეს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში და საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან რეგისტრირებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია. რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა აკრძალულია. დამატებით, ცხოველის საკვების გარკვეული კატეგორიებისთვის კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმიანობის „აღიარების“ მოთხოვნას, რაც განისაზღვრება მთავრობის შესაბამისი დადგენილებით; ასეთ შემთხვევაში, აღიარების გარეშე საქმიანობა დაუშვებელია.

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ცხოველის საკვების მიკვლევადობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფორმაციის ფლობა, დოკუმენტაციისა და ჩანაწერების წარმოება და ისეთი სისტემებისა და პროცედურების დანერგვა, რომლებიც მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს კომპეტენტური ორგანოსთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

სარეალიზაციოდ განკუთვნილი ცხოველის საკვები უნდა იყოს ეტიკეტირებული დადგენილი წესით და ეტიკეტის შესაბამისობა მოწმდება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში. ასევე აკრძალულია ეტიკეტზე ან თანდართულ დოკუმენტებში ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „ბიო“, „ეკო“, „ორგანული“ და მათი კომბინაციები, თუ შესაბამისობა არ დასტურდება სერტიფიკატით. დაუშვებელია იმ პროდუქტის ბაზარზე განთავსება, რომელიც არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს; დარღვევის შემთხვევაში კომპანიამ უნდა აღკვეთოს ბაზარზე განთავსება ან უზრუნველყოს უკვე განთავსებული პროდუქტის ამოღება.

თუ „კომპანიას“ აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ მის მიერ წარმოებული/გადამუშავებული/დისტრიბუცირებული ან ბაზარზე განთავსებული ცხოველის საკვები უვნებლობის მოთხოვნებს არ შეესაბამება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზრიდან ამოსაღებად. თუ პროდუქტი უკვე მიწოდებულია მომხმარებლისთვის, „კომპანიამ“ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის ეფექტიანი ინფორმირება ამოღების მიზეზებზე და საჭიროების შემთხვევაში პროდუქტის გამოთხოვა. კომპეტენტური ორგანოს მითითების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს მითითებული ღონისძიებები პროდუქტის აღკვეთის, ამოღების და/ან გამოთხოვის მიზნით და მიღებული ზომების შესახებ წერილობით აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს.

სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო („**სააგენტო**“) და კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, მონიტორინგის, ზედამხედველობის, დოკუმენტური შემოწმების, ნიმუშის აღებისა და აუდიტის გზით; შესაბამისად, „კომპანიამ“ უნდა უზრუნველყოს მზადყოფნა კონტროლის პროცესში მოთხოვნილი დოკუმენტაციის, ჩანაწერებისა და მიკვლევადობის სისტემების წარსადგენად და ნიმუშების აღებასთან დაკავშირებული პროცედურების გასავლელად.

ცხოველის საკვების ჰიგიენური მოთხოვნები

„ცხოველის საკვების ჰიგიენის წესი“ ადგენს ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგად მოთხოვნებს, მიკვლევადობის სისტემის უზრუნველყოფის პირობებსა და მექანიზმებს, აგრეთვე საწარმოს რეგისტრაციისა და აღიარების წესს. წესი ვრცელდება ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობის ყველა ეტაპზე - პირველადი წარმოებიდან ბაზარზე განთავსების ჩათვლით, მათ შორის იმპორტსა და ექსპორტზე. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს „სააგენტო“, ხოლო საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებულ ნაწილში – შემოსავლების სამსახური.

„კომპანია“, როგორც ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორი, ვალდებულია უზრუნველყოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის პროცესების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ჰიგიენურ მოთხოვნებთან და დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემაზე დაფუძნებული დოკუმენტირებული პროცედურები. „კომპანია“ ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერები, უზრუნველყოს მიკვლევადობა და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „სააგენტოს“ შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. რიგი საქმიანობები დამატებით საჭიროებს „სააგენტოს“ მიერ აღიარებას. აღიარების გარეშე ან მისი შეჩერების/გაუქმების შემთხვევაში საქმიანობა აკრძალულია. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება, მიანიჭოს აღიარება, პირობითი აღიარება ან უარი თქვას აღიარებაზე, ასევე შეაჩეროს ან გააუქმოს იგი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

წესი ასევე ადგენს საწარმოო ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, პერსონალის კვალიფიკაციის, წარმოების პროცესის, ხარისხის კონტროლისა და შენახვა-ტრანსპორტირების ზოგად მოთხოვნებს, მათ შორის, ჯვარედინი დაბინძურების პრევენციას, არასასურველი ნივთიერებების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ბიზნესოპერატორი ვალდებულია დანერგოს საჩივრების მართვისა და პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვის სისტემა.

იმპორტისა და ექსპორტის შემთხვევაში ცხოველის საკვები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და განხორციელდეს მხოლოდ ავტორიზებული ქვეყნებისა და საწარმოების მეშვეობით, დადგენილი სერტიფიცირების პირობების დაცვით. ამ წესის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული ცხოველის საკვებთან დაკავშირებით

საქართველოს მთავრობის დადგენილება №549 „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ ადგენს გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების (გმო პროდუქციის) მიმართ სავალდებულო მოთხოვნებს და არეგულირებს მათი წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს. რეგულირების მიზანია შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მომხმარებელთა უფლებებისა და გარემოს დაცვა.

მოთხოვნები ვრცელდება როგორც სურსათად ან ცხოველის საკვებად გამოსაყენებელ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებზე, ასევე იმ სურსათსა და ცხოველის საკვებზე, რომლებიც შეიცავს, შედგება ან წარმოებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან. ასეთმა პროდუქტებმა უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი მოთხოვნა.

გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათი ან ცხოველის საკვები ბაზარზე შეიძლება განთავსდეს, გამოყენებულ იქნეს ან გადამუშავდეს მხოლოდ წინასწარი ავტორიზაციის მიღების შემდეგ. ავტორიზაციის მისაღებად ავტორიზაციის მაძიებელმა ბიზნესოპერატორმა სურსათის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარადგინოს განაცხადი და სრულყოფილი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ პროდუქტი არ ახდენს მავნე ზეგავლენას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე, არ შეჰყავს მომხმარებელი შეცდომაში და კვებითი თვალსაზრისით არ არის უარესი ტრადიციული ანალოგისაგან. ავტორიზაცია გაიცემა განსაზღვრული ვადით და შეიძლება შეიცვალოს, განახლდეს, შეჩერდეს ან გაუქმდეს შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

თუ პროდუქტი ავტორიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ და შეტანილია ევროკავშირის შესაბამის რეესტრში, ავტორიზაციის პროცედურა ხორციელდება გამარტივებული წესით. სხვა ქვეყნების მიერ გაცემული ავტორიზაციის შემთხვევაში ავტორიზაცია ხორციელდება ეროვნული წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის პროცესში „სააგენტო“ ამოწმებს წარმოდგენილ ინფორმაციას, მათ შორის პროდუქტის დახასიათებას, გარემოს მიმართ რისკის შეფასებას, მონიტორინგის გეგმას, დეტექციისა და იდენტიფიკაციის მეთოდებს, ნიმუშებსა და ეტალონურ (რეფერენტულ) მასალებს. განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა კონფიდენციალური მონაცემებისა, საჯაროა და განთავსდება სააგენტოს ვებგვერდზე.

გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების ეტიკეტირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამატებით, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ის მახასიათებლები, რომლებიც ავტორიზაციის პირობებით არის განსაზღვრული, მათ შორის, პროდუქტის შემადგენლობა, კვებითი თვისებები, მიზნობრივი გამოყენება, ჯანმრთელობაზე შესაძლო ზეგავლენა და, საჭიროების შემთხვევაში, ეთნიკური ან რელიგიური ასპექტები. ეტიკეტირება არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის მაძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტის დეტექციისა და იდენტიფიკაციის მეთოდების ვალიდაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და წარადგინოს ნიმუშები და საკონტროლო ნიმუშები. მეთოდები უნდა იყოს სპეციფიკური კონკრეტული გმო-სთვის, მეტროლოგიურად დასაბუთებული და ლაბორატორიათშორისი გამოკვლევებით დადასტურებული.

გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ „სააგენტო“ და შემოსავლების სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

მიმოხილვა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს (”კანონი მეწარმეთა შესახებ”), და ემიტენტის წესდების მიხედვით ემიტენტის კონტროლი და მართვა გამიჯნულია პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის. “კომპანიის” (საზოგადოების) მმართველი ორგანოებია: საერთო კრება, ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და “კომპანიის” წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

ემიტენტის შეფასებით, იგი პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობაშია, სამეთვალყურეო საბჭო აკმაყოფილებს დამოუკიდებელი წევრების რაოდენობის და დამოუკიდებელი თავჯდომარის კრიტერიუმს. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 2 არის დამოუკიდებელი წევრი. კომპანიაში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობას უწევს დამოუკიდებელი წევრი, ასევე კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

საერთო კრება

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, რომლის კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა საზოგადოების პარტნიორებისა და ორგანოებისთვის. საერთო კრება მოიწვევა სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა. მორიგ საერთო კრებას იწვევს და მისი ჩატარებისთვის პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო.

პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და კაპიტალის 50%-ზე მეტი წილების მფლობელ პარტნორ(ებ)ს საკუთარი ინიციატივით, ან [5]%-ზე მეტი წილების მფლობელი პარტნიორ(ებ)ის მოთხოვნის საფუძველზე.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან საერთო ხმების 51%-ის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება პარტნიორი/პარტნიორები, რომელი ფლობს/ფლობენ საერთო ხმების 50%-ს. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღეს წესრიგით მოიწვევა ახალი კრება. აღნიშნული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმების უფლების მქონე პარტნიორების რაოდენობის მიუხედავად. საზოგადოებაში ხმების რაოდენობა გამოითვლება საზოგადოების კაპიტალში წილის მიხედვით.

საერთო კრების გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია შემდეგ საკითხებზე:

- ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
- საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;
- საზოგადოებისთვის თანხმობის მიცემა დირექტორთან დაკავშირებულ პირ(ებ)თან გარიგების დადების თაობაზე;
- საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შეძენა;
- წილებიდან ან წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება;
- პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან;
- პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანამდებობაზე დანიშვნა, მათთან ხელშეკრულებების გაფორმება და მათი თანამდებობიდან გათავისუფლება, მათი შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- ხელმძღვანელი პირის/ორგანოს ანგარიშების დამტკიცება;
- ხელმძღვანელი ორგანოს წევრის/პირის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);
- საზოგადოების რეორგანიზაცია;
- საზოგადოების დაშლა;
- საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება.
- ბიუჯეტის დამტკიცება;

- კაპიტალის გაზრდა/შემცირება, წილების ან წილების ექვივალენტის გამოშვება;
- მოგების განაწილების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის მიერ წარდგენილი წინადადების მიღება ან უარყოფა, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ყველა გადაწყვეტილება, რომლების სცდება საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
- კანონმდებლობით/წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

„კომპანიის“ პარტნიორები

„კომპანიის“ დამფუძნებლების სტრუქტურა:



პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, ემიტენტის წილის მფლობელი არიან: შპს “ნუტრიმაქს ჰოლდინგი” (ს/ნ: 404612665) – 33.3%, ხათუნა ლიპარტელიანი (პ/ნ: 01008032822) – 33.3%, ბექა ბექაია (პ/ნ: 01011022232) – 30.4% და სს “სინერჯი კაპიტალი” (პ/ნ: 405265797) – 3%.

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, შპს “ნუტრიმაქს ჰოლდინგის” 100% წილის მესაკუთრეა ბექა ბექაია (პ/ნ: 01011022232).

თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით ან ამ წესდებით არის პირდაპირ გათვალისწინებული და აუცილებელია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ბატონი ბექა ბექაია

ბატონი ბექა ბექაიას ბიოგრაფიისთვის გთხოვთ იხილოთ სექცია - *„ხელმძღვანელი ორგანო“.*

ქალბატონი ხათუნა ლიპარტელიანი

ქალბატონ ხათუნას ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ასევე შეუძლია ეკავოს საზოგადოების დირექტორის თანამდებობა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს

მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში (პარტნიორი) და გააჩნდეს წილების ნებისმიერი პროცენტული ოდენობა.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელის შედგება სამეთვალყურეო საბჭოს [3] ([სამი]) წევრისგან, საიდანაც არანაკლებ [2] ([ორი]) უნდა იყოს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა განისაზღვრება აუდიტის კომიტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო ამ წესდების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა 1 (ერთი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ხელახლა აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს შემდეგ ამოცანებს და გააჩნია შემდეგი კომპეტენცია:

- ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს და განსაზღვრავს ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების საკითხებს;
- განსაზღვრავს დირექტორის და ხელმძღვანელი ორგანოს უფლებებსა და მოვალეობებს;
- მოითხოვს ანგარიშებს დირექტორისგან საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- აკონტროლებს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს და ჩანაწერებს, ნაღდ ფულს, ქონებასა და სხვა ფასიან ქაღალდებს, უფლებამოსილია დაავალოს ამ მოვალეობების განხორციელება ექსპერტებს;
- მოიწვევს პარტნიორების რიგგარეშე საერთო კრებებს თუ ეს საჭიროდ მიჩნევა საზოგადოების ინტერებიდან გამომდინარე;
- ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას საწარმოს მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენს საერთო კრებას;
- მოითხოვს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის დირექტორისგან;
- წარმოადგენს საზოგადოებას დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში;
- ამოწმებს ფინანსური ანგარიშების, მოგების განაწილებასთან დაკავშირებული შეთავაზებების და საზოგადოების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და წარუდგენს პარტნიორთა კრებას თავის მოსაზრებას;
- საზოგადოების აუდიტის კომიტეტის წევრების არჩევა და იმავე კომიტეტის დებულების დამტკიცება.

ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების გახორციელება ნებადართულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით:

- საზოგადოების პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა;
- საზოგადოების გარე აუდიტის არჩევა, აუდიტის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის გათვალისწინებით;
- საზოგადოების ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკისა და მიზნების, ბიზნეს გეგმის განსაზღვრა.
- გარიგებების დამტკიცება, რომლის ღირებულებაც აღემატება [500,000.00] ([ხუთასი ათასი]) ლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში.
- საზოგადოების მიერ მესამე პირთა ვალდებულებების უზრუნველყოფა ნებისმიერი ფორმით (თავდებობა, სოლიდარული ვალდებულება და სხვა);
- საზოგადოების კუთვნილ აქტივების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება (მათ შორის გირავნობა, იპოთეკა) საზოგადოების ვალდებულებების, ასევე მესამე პირთა ვალდებულებების უზრუნველსაყოფად;
- კანონმდებლობით/წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

სახელი	თანამდებობა	წევრად დანიშვნის თარიღი	ვადა
ბექა ბექაია	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	11.03.2026	1 წელი
გიორგი ჩიტაიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	11.03.2026	1 წელი
დავით წიკლაური	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	11.03.2026	1 წელი

ზურაბ კახიძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	11.03.2026	1 წელი
გიორგი ცერცვაძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	11.03.2026	1 წელი

ბატონი ბექა ბექაია - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბექა ბექაია პროფესიით ეკონომისტია და აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ბიზნესის მართვის, ფინანსების და საკონსულტაციო საქმიანობის მიმართულებით. იგი 1992–1997 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიურ ფაკულტეტზე. პროფესიული საქმიანობა დაიწყო საკონსულტაციო სფეროში. 1999–2002 წლებში იყო საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფის“ მმართველი პარტნიორი. 2002–2005 წლებში მუშაობდა „საქართველოს ბანკში“, სადაც იკავებდა შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პოზიციას. 2005 წელს შეუერთდა შპს „პოულტრი ჯორჯიას“, სადაც თავდაპირველად ფინანსური დირექტორის პოზიციას იკავებდა, ხოლო 2006–2007 წლებში კომპანიის გენერალური დირექტორი იყო. 2007–2008 წლებში მუშაობდა შპს „დილის პროდუქტების“ გენერალურ დირექტორად. 2008–2010 წლებში კვლავ თანამშრომლობდა საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფთან“ კონსულტანტის პოზიციაზე. 2010 წლიდან დღემდე არის შპს „ნუტრიმაქსის“ მმართველი პარტნიორი, კომპანიის დამფუძნებელი

კომპანიები, სადაც ბატონი ბექა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი (ს/ნ: 404612665), შპს ახალი ფერმები (ს/ნ: 404577837) , შპს ქართული ნატურალური პროდუქტების კომპანია (ს/ნ: 204561401) , შპს პოულტრი დისტრიბიუშენ (ს/ნ: 206268108),

2022 წლის 10 იანვრიდან 2022 წლის 24 თებევრლამდე, ბატონი ბექა იყო სს „სინერჯი კაპიტალის“ (ს/ნ:405265797) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რათა დაწყებულიყო კომპანიის გადახდისუუნარობის პროცესი. აღნიშნულ კომპანიაში ბატონ ბექას ასევე ჰქონდა წილობრივი მონაწილეობა. სს „სინერჯი კაპიტალის“ ძირითადი საქმიანობა წარმოადგენდა საწარმოებში ინვესტიციას.

ბატონი გიორგი ჩიტაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გიორგი ჩიტაიშვილი 2023 წლიდან არის ნუტრიმაქსის დირექტორი. იგი 2016 წლიდან მუშაობდა ნუტრიმაქსში საცალო ქსელის განვითარების მენეჯერის, ხოლო 2018 წლიდან 2023 წლამდე გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციებზე. 2007 წლიდან 2016 წლამდე გიორგი მუშაობდა შპს სილქნეტში, შპს ვიტელ ჯორჯიაში და ასევე შპს მაგთიკომში პროდუქტების განვითარების მიმართულებების პოზიციებზე. მას დასრულებული აქვს გოტებორგის უნივერისტეტის სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებით 2006 წელს და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი 2003 წელს.

კომპანიები, სადაც ბატონი გიორგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს სავანე ჯგუფი (ს/ნ: 200245555), შპს ავტოკრედიტი (ს/ნ: 400029768)

ბატონი დავით წიკლაური - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბატონი დავითი არის ეკონომისტი და უფროსი მრჩეველი კერძო სექტორის განვითარების მიმართულებით, 30-წლიანი გამოცდილებით სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. მას აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება საინვესტიციო საჭიროებების შეფასებაში, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის სტრატეგიების შემუშავებაში ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი და ლოგისტიკა, სოფლისმეურნეობა, ტურიზმი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და შემოქმედებითი ინდუსტრიები. ეკავა მაღალი რანგის სამთავრობო პოზიციები, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე და TRACECA-ს საერთაშორისო სატრანსპორტო ინიციატივის ეროვნული მდივანი. ამ როლებში აქტიურად უწყობდა ხელს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, პოლიტიკის რეფორმებსა და რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციას. USAID/Caucasus-ში ხელმძღვანელობდა 300 მილიონ დოლარზე მეტი მოცულობის პროგრამულ პორტფელს, რომლის ფარგლებში განხორციელდა კონკურენტუნარიანობის, ინოვაციის, ვაჭრობის დივერსიფიკაციისა და ლოგისტიკის განვითარების პროექტები, რომლებმაც 10 000-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყო ხელი. კავკასიის უნივერსიტეტის მარკეტინგის პროფესორი; ასწავლის კვლევის მეთოდებს, მარკეტინგსა და ინოვაციას და ხელმძღვანელობს სამაგისტრო და სადოქტორო სტუდენტებს. ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორის (PhD) ხარისხს და მაგისტრის ხარისხებს საჯარო ადმინისტრაციასა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებში.

კომპანიები, სადაც ბატონი დავითი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი - პი ემ სი ჯი (ს/ნ:204541512); ააიპ ევროპული ბიზნეს ასოციაცია (ს/ნ: 405205521); „Venturly Global"; შპს „კავკასიის უნივერსიტეტი" (ს/ნ: 205050567);

ბატონი ზურაბ კახიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ზურაბ კახიძე პროფესიით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტია და აქვს გამოცდილება ფინანსურ სექტორში, ბიზნესის განვითარებასა და პროექტების მართვის მიმართულებით. იგი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2010–2014) და მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხს ვესტმინსტერის უნივერსიტეტიდან, დიდ ბრიტანეთში (2018–2019). პროფესიული კარიერა დაიწყო საბანკო სექტორში, სადაც 2015–2017 წლებში მუშაობდა საცალო დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე „ბანკ რესპუბლიკასა" და „თიბისი ბანკში". 2020–2023 წლებში მუშაობდა შპს „ნუტრიმაქსში" პროექტების მენეჯერისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერის პოზიციებზე, სადაც მონაწილეობდა კომპანიის სტრატეგიული პროექტების დაგეგმვასა და განვითარებაში.

კომპანიები, სადაც ბატონი ზურაბი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - პლატფორმა რანკო (ს/ნ: 406337593)

ბატონი გიორგი ცერცვაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გიორგი ცერცვაძე პროფესიით ფინანსისტია და აქვს გამოცდილება კორპორაციული ფინანსების, ფინანსური ანალიზისა და ფინანსური მართვის მიმართულებით. იგი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2013–2017) და მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტიდან (2017–2019). ასევე ჩაბარებული აქვს CFA პროგრამის პირველი დონე. პროფესიული საქმიანობა დაიწყო შპს „ბიდიო საქართველოში", სადაც 2017–2022 წლებში მუშაობდა კონსულტანტის პოზიციაზე კორპორაციული ფინანსების განყოფილებაში და მონაწილეობდა სხვადასხვა ფინანსურ ანალიზსა და საკონსულტაციო პროექტებში. 2022 წელს გიორგი ცერცვაძე შეუერთდა შპს „ნუტრიმაქსს" ფინანსური ანალიტიკოსის პოზიციაზე, სადაც მუშაობდა 2025 წლამდე. 2025–2026 წლებში იკავებდა კომპანიის ფინანსური მენეჯერის პოზიციას, ხოლო 2026 წლიდან დღემდე არის შპს „ნუტრიმაქსის" ფინანსური დირექტორი.

ბატონ გიორგის ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

ხელმძღვანელი ორგანო

საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორი, იგივე ხელმძღვანელი ორგანო. საზოგადოებას ჰყავს ერთი ან რამდენიმე დირექტორი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საზოგადოების დირექტორებს აქვთ საზოგადოების შეუზღუდავი და სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება. თითოეული დირექტორი უფლებამოსილია საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა განახორციელოს ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად.

დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება 3 (სამი) წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, დირექტორის უფლებამოსილება მიიჩნევა განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად.

დირექტორი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც, კანონის ან „კომპანიის" წესდების თანახმად, არ განეკუთვნება პარტნიორთა ან/და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრები:

სახელი	თანამდებობა	ხელშეკრულების დადების თარიღი	ხელშეკრულების მოქმედების ვადა
გიორგი ჩიტაიშვილი	დირექტორი	01.05.2023	3 წელი (ხელახლა დანიშვნის უფლებით)

ბატონი გიორგი ჩიტაიშვილი - დირექტორი

ბატონი გიორგი ჩიტაიშვილის ბიოგრაფიისთვის გთხოვთ იხილოთ სექცია - *„სამეთვალყურეო საბჭო“.*

აუდიტის კომიტეტი

„კომპანიაში“, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებითა და დამტკიცებით, ჩამოყალიბებულია აუდიტის კომიტეტი. მისი ამოცანაა უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტის კონტროლი, ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირება და, საჭიროების შემთხვევაში, შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა. აუდიტის კომიტეტი ასევე წარმართავს ურთიერთობას გარე აუდიტორთან. აუდიტის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მმართველობაზე, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემაზე ზედამხედველობის განხორციელებაში. აღნიშნული ზედამხედველობის მექანიზმი მნიშვნელოვანია კომპანიის მართვის გამჭვირვალობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრებისაგან: ბექა ბექაია და ზურაბ კახიძე. აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, დავით წიკლაური.

დივიდენდის გაცემის პოლიტიკა

“ემიტენტს” არ აქვს გაცხადებული დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. „კომპანიის“ დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ემიტენტის 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები ემიტენტის 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის. ასევე, არ არსებობს შეთანხმება, რომლის შემდეგაც მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს,

სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წვერად. კომპანიის პარტნიორების მიმართ არ არსებოს წილების გასხვისებასთან დაკავშირებული რაიმე შეზღუდვა.

საჩივრის შესახებ განცხადება

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთი წევრი, 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არც ერთი წევრი- არანაკლებ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ;
- არასდროს მომხდარა მისი მოხსნა ან/და სანქცირება რომელიმე სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (მათ შორის ნებისმიერი პროფესიონალური ორგანო) ან დისკვალიფიკაცია ნებისმიერი კომპანიის მართვის ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებისგან.

ბოლო 5 წლის განმავლობაში თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ გამოვლენილა.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

2025	დამფუძნებლები, მათ შორის მენეჯმენტი	ერთ- ერთი დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარე	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	539			
გადასახდელი პროცენტი	1			
გაცემული სესხები	39		333	
მისაღები პროცენტი	1		20	
გადახდილი დივიდენდები	851			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	-		
საპროცენტო ხარჯი	52			
საპროცენტო შემოსავალი	2	-	50	
გამოცხადებული დივიდენდი	2,099			
გაცემული დივიდენდი	1,883			
შემოსავალი რეალიზაციიდან		90	910	
აქტივების და მომსახურების შესყიდვა		716	3,756	
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (გადასახდელი)	-			
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	163			266

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

2024	დამფუძნებლები, მათ შორის მენეჯმენტი	ერთ- ერთი დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარე	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	561	-		-
გადასახდელი პროცენტი	1	-		-
გადახდილი დივიდენდები	998	-		-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	666		-
მისაღები პროცენტი				
საპროცენტო ხარჯი	52	-		-

საპროცენტო შემოსავალი	-	28	10	-
გამოცხადებული დივიდენდი	2,552	-		-
გაცემული დივიდენდი	2,882	-		-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	-	336	-
აქტივების და მომსახურების შესყიდვა	-	236	1,736	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (გადასახდელი)	136	-		-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	333	-		295

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

2023	დამფუძნებლები, მათ შორის მენეჯმენტი	ერთ- ერთი დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	ერთ-ერთი დამფუძნებლის მნიშვნელოვანი მონაწილეობის მქონე კომპანია	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	538	-	-	-
გაცემული სესხები	1	321	-	-
გადახდილი დივიდენდები	667	-	-	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	220	-	-
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		6		
საპროცენტო ხარჯი	50	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	10	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	2,879	-	-	-
გაცემული დივიდენდი	3,483	-	-	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	157	-	-
აქტივების და მომსახურების შესყიდვა	-	56	1,849	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (გადასახდელი)	197	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	398	-	-	246

მატერიალური ხელშეკრულებები

წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტს არ აქვს გაფორმებული მატერიალური ხელშეკრულებები, რაც არ არის დაკავშირებული კომპანიის ჩვეულ ბიზნეს საქმიანობასთან.

სასამართლო დავები

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, "კომპანიას" არ გააჩნია მატერიალური სასამართლო დავები, რომელთა სარჩელის ღირებულება ინდივიდუალურად აღემატება 100,000 ლარს. დავების ჯამური ღირებულება, რომელშიც კომპანია წარმოადგენს მოპასუხეს, შეადგენს 78,000 ლარს, ხოლო დავების ჯამური ღირებულება, რომელშიც კომპანია წარმოადგენს მოსარჩელეს, შეადგენს 139,300 ლარს.

აღნიშნული სამართლებრივი დავების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ:

მოსარჩელე	მოპასუხე	დავის აღწერა	სარჩელის ღირებულება	ვალუტა

სასამართლო დავები, რომლებშიც ემიტენტი წარმოადგენს მოპასუხეს				
სს "სინერჯი კაპიტალი"	შპს ნუტრიმაქსი	დავა მიმდინარეობდა 2022 წლის გასაცემ დივიდენდზე, 78000 ლარზე, რომელიც, ნუტრიმაქსმა სინერჯი კაპიტალთან შეთანხმებით, მასზე გაცემულ სესხში გაქვითა. ამ ეტაპზე სინერჯი კაპიტალი იმყოფებოდა რეაბილიტაციის რეჟიმში და ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-2, 61-ე მუხლებით უფლება არ ჰქონდა რომ ეს გაქვითვა განეხორციელებინა. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, “ნუტრიმაქსს” დაეკისრა აღნიშნული თანხის გადახდა.	78,000	ლარი
სასამართლო დავები, რომლებშიც ემიტენტი წარმოადგენს მოსარჩელეს				
შპს ნუტრიმაქსი	დებიტორი - შპს	აღსრულებაშია შეტანილი დებიტორული დავალიანება.	56,000	ლარი
შპს ნუტრიმაქსი	დებიტორი- შპს	გორის სასამართლოშია საქმე, 2022 წლიდან სხდომა არ ჩანიშნულა.	35,000	ლარი
შპს ნუტრიმაქსი	დებიტორი- ფ/პ	გორის სასამართლოში დასრულდა პროცესი და გამოსაცემია აღსრულების ფურცელი.	17,000	ლარი
შპს ნუტრიმაქსი	დებიტორი- ფ/პ	შეტანილია აღსრულებაში, შეთანხმდა განწილვადობა თუმცა დებიტორი არ იხდის	6,600	ლარი
შპს ნუტრიმაქსი	დებიტორი- ფ/პ	აღსრულებაშია დებიტორული დავალიანება.	19,200	ლარი
შპს ნუტრიმაქსი	დებიტორი- ფ/პ	დებიტორის თავდები.	5,500	ლარი

თანამშრომლები

2025 წლის დეკემბრის მდგომარობით, „კომპანიაში“ დასაქმებულთა რაოდენობა198-ს შეადგენდა. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, „კომპანიაში“ დასაქმებული იყო 177 ადამიანი, ხოლო 2023 წლის ბოლოსთვის, დასაქმებულთა რაოდენობა 148-ს შეადგენდა.

ანაზღაურება და ბენეფიტები

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2025, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა 430 ათას, 628 ათას და 644 ათას ლარს შესაბამისად.

ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

ემიტენტის შეხედულებით ადგილი არ აქვს / არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებსაც შეეძლო მნიშნველოვაინ გავლენა მოეხდინა ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაზე.

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის („აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება“) www.reportal.ge
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი: www.nutrimax.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge
- საქართველოს ეროვნული ბანკი: www.nbg.ge
- კომპანიის წესდება (NAPR- სისტემაში განცხადების ნომერი: B26357509)
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (NAPR-სისტემაში განცხადების ნომერი: B26359077)

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა):

- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციის აგენტსა და ემიტენტს შორის;

ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის და ხელშეკრულება კალკულაციის აგენტსა და ემიტენტს შორის წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა კალკულაციის აგენტის ხელშეკრულების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“, ობლიგაციონერების წარმომადგენლის ან/და განთავსების აგენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2025 წლის 31 დეკემბრისთვის იყო (4,798) ათასი ლარი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით[13] (6,022) ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (1,183) ათასი ლარი.

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი მეტწილად გამომდინარეობს კომპანიის საკრედიტო ხაზებზე/მოკლევადიან სასესხო დაფინანსებაზე დამოკიდებულებიდან. ობლგიაციების ემისიით, კომპანია მიზნად ისახავს მოკლევადიანი დაფინანსების ჩანაცვლებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კომპანიის ლიკვიდურობას. თუკი ვერ მოხდება ობლიგაციების სრულად განთავსება, კომპანია არსებული მიმდინარე ვალდებულებების გადაფარვას შეძლებს ბალანსზე არსებული ფულითა და ფულის ექვივალენტებით, პერიოდის განმავლობაში დაგენერირებული EBITDA-თი, არსებული აუთვისებელი დამტკიცებული სესხებიდან ან/და კომერციული ბანკებისგან სესხის აღებით.

ინფორმაცია შეთავაზებაში მონაწილე მხარეთა ინტერესისა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

შეთავაზებაში ჩართული პირი	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ 211359206) **მისამართი:** საქართველო, თბილისი 0108, პუშკინის ქ. N3 **ელ-ფოსტა:** st@gt.ge **ვებ-გვერდი:** https://galtandtaggart.com/en **ტელეფონი:** (+995 32) 2 44 01 11
როლი შეთავაზებაში	განთავსების აგენტი
ინტერესის აღწერა	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია სს „გალტ ენდ თაგარტი“, რომელიც ასევე იქნება კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, „კომპანიასთან“ შეთანხმებული საზღაურის მიღება. განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება. განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების [2.0]%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

[13] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა საბანკო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები და საანგარიშგებო თარიღისთვის მოპოვებული არ ჰქონდა გათავისუფლების (waiver) წერილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,808 ათასი ლარის მოცულობის სესხები არასწორად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი. აღნიშნული ვალდებულებების სწორად, მიმდინარე ნაწილში კლასიფიცირებით, 2024 წლისთვის გარკვეულ წმინდა საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა (10,830 ათას ლარს)

ინტერესთა კონფლიქტის აღწერა	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტთან“, კერძოდ, „განთავსების აგენტისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: (ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე; (ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“. ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი. ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კანონმდებლობით, უზრუნველყოფილ კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ მათ, ანუ უზრუნველყოფილი კრედიტორების, სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. ემიტენტის არსებული სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიას, ხოლო „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები მიეკუთვნება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნათა კატეგორიას.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);

2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ„ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;

3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:

   a) პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);

b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;

c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს.

d) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები

e) არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და

f) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

ობლიგაციების გამოშვების პირობები

“ობლიგაციებზე“ გავრცელდება ქვემოთ მოცემული პირობები:

„ობლიგაციები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“), რომელთა საერთო ძირი თანხა და ნომინალური ღირებულება „ემისიის პროსპექტის“ შესაბამისად შეადგენს ჯამურად 10,000,000 დოლარამდე (ათი მილიონი აშშ დოლარი), გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიის მეშვეობით. „ობლიგაციები“ შესაძლოა გამოშვებულ იქნას აშშ დოლარსა ან/და ევროში. ევროში ემისიის შემთხვევაში გამოშვებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ემისიის პროსპექტით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, „ობლიგაციების“ „საბოლოო შეთავაზების პირობების“ დამტკიცების წინა დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლით კურსის შესაბამისად. „ობლიგაციების| ვადიანობა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი.

„ობლიგაციები“ გამოშვებულია „კომპანიის“/„ემიტენტის“ საერთო კრების 2026 წლის 9 მაისის გადაწყვეტილებების საფუძველზე. „ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“) და „ობლიგაციების“ „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ (შემდგომში - „**პირობების დოკუმენტი**“).

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება “ობლიგაციების გამოშვების პირობებით” გათვალისწინებული წესებისა და კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „**კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულება**“) პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“ და სს „გალტ ენდ თაგარტს“- როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტს - შორის (შემდგომში - „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“). ამასთან, იმ შემთხვევაში თუ “ობლიგაციების გამოშვების პირობებით” გათვალისწინებულ წესებსა და “კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულებას” შორის იქნება წინააღმდეგობა, უპირატესობა მიენიჭება “ობლიგაციების გამოშვების პირობებს”. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტებიდან გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ ქვეთავში „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა.

„ობლიგაციების“ შეთავაზების და პროსპექტის მოქმედების ვადა დაიწყება „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცებიდან და დასრულდება „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცებიდან 12 თვეში. პროსპექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება “წინასწარი პროსპექტის” დამტკიცებიდან 12 თვე („შეთავაზების პერიოდი“). აღნიშნული გულისხმობს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ან შესაძლებელია განხორციელდეს ემისიით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება. ამასთანავე, საჯარო შეთავაზების დასრულებად ჩაითვლება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტის დადგომა: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად ვადამდე განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა; დ) პროსპექტში გაწერილი შეთავაზების ვადის დასრულება. შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა: ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა

„ობლიგაციები“ გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ერთი „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებაა: [1,000] აშშ დოლარი ან [1,000] ევრო. შესაბამისი ემისიის დენომინაცია დაზუსტდება მისი „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს ცენტრალურ „დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის“ / „ინვესტორისთვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების“ / „ინვესტორის“ წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული „ობლიგაციების“ რაოდენობის პროპორციულად, ცენტრალურ „დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური „ობლიგაციების“ ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ ინვესტორ(ებ)ის ობლიგაცი(ებ)ი.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების („მანდატის წერილი“) საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“. „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ განახორციელონ საბაზრო ინტერესის შეფასება და ამ მიზნით ემისიის შესახებ ინფორმაცია გაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს „კანონმდებლობით“ დაშვებულ ფარგლებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს საჯაროდ შეთავაზებული „ობლიგაციების“ გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონის განაკვეთს), რომელიც დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა არასამუშაო დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება შესაბამისი ემისიის ფარგლებში დადგენილი დენომინაციის მქონე სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა ფართო წრისთვის.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“/სხვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ, იმავე გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ პოტენციურ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“/სხვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით. შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (შემდგომში „ხელმომწერი ინვესტორები“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“. ემიტენტი და/ან განთავსების აგენტი უფლებამოსილია მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით) პერიოდში. „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით/ფორმით.

„ემიტენტისთვის“ ჯერჯერობით არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია ამ პარაგრაფის პირველი წინადადებით განსაზღვრული რომელიმე პირის შესახებ, რომელსაც სურს შეიძინოს შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს “საბოლოო პროსპექტის” განუყოფელ ნაწილს.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებულნი არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). „ობლიგაციების“ მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. „ობლიგაციების“ განთავსების

შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

(ზ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

საჯარო შეთავაზების პერიოდში („წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცებიდან 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდი) “ობლიგაციების” შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, “ემიტენტი” მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონითა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქმედი რეგულაციებით დადგენილ აუცილებელ ზომებს.

(გ) ობლიგაციების გასხვისება

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონით) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. „ობლიგაციების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ხდება ობლიგაცი(ებ)ის დაკრედიტება „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ „ემიტენტმა“ შესაძლებელია მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება შესაბამის ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული „ფასიანი ქაღალდების კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების“ „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ან „თბილისის საფონდო ბირჟის“ ოფიციალურ ლისტინგში დაშვების შესახებ გადაწყვეტილება არ საჭიროებს რაიმე ტიპის თანხმობას ან დამოწმებას „ობლიგაციონერების“მიერ.

ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

(დ) ფასის (კუპონის) დადგენა

პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზების საბოლოო მოცულობა (ანუ გამოსაშვები „ობლიგაციების“ რაოდენობა და მთლიანი ემისიის ღირებულება) და ფასი (კუპონი) დგინდება „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) „ობლიგაციების“ „პირობების“ 2(ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული დიაპაზონის ფარგლებში. საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროვების გარეშე. ამასთან, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო „პროსპექტში“ ასახვას.

(ე) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება “გადავადებული განთავსების ფასით” “გამოშვების თარიღიდან” „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმომწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან “ობლიგაციებს” „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „ინვესტორ(ებ)ი“), ვალდებულნი არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტთან“ ან „დეპოზიტარში“. „ობლიგაციების“ მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერ ინვესტორთა“ ან/და პოტენციურ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე.

„ემიტენტი“ არ მოახდენს წინამდებარე „პროსპექტში“ აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვებას ან/და გააუქმებს ყველა გამოშვებულ „ობლიგაციას“ (თუ კი ასეთი იარსებებს) „ობლიგაციონერებისათვის“ „ობლიგაციების“ შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ “გამოშვების თარიღზე” არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის განთავსება, როგორც ეს განსაზღვრულია შეთავაზების პირობების დოკუმენტში.

თუ “საბოლოო პროსპექტით” გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განუთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, შესაბამის საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია რომელიმე საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის ვადაში ემიტენტი ეროვნულ ბანკს წარუდგენს და გაასაჯაროებს ინფორმაციას შეთავაზების და განთავსების შედეგების შესახებ.

3. სტატუსი

საქართველოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზნებისთვის, „ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება, გარდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული იმპერატიული ძალის მქონე პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნებისა, მათ შორის, სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი არაპირდაპირი გადასახადების თანხებისა.

4. ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

„ემიტენტმა“ შესაძლოა „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას ან/და თბილისის საფონდო ბირჟას განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

5. დათქმები

(ა) “უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობის შეზღუდვა:

(i) „ობლიგაციების“ “დაფარვამდე” „ემიტენტმა“ არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე, და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „შვილობილმა“ მოახდინონ მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე “უზრუნველყოფის ღონისძიების” (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად.

(ii) ზემოაღნიშნულის მიუხედავად, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში „თავისუფალი აქტივების კოეფიციენტი“ იქნება არანაკლებ 0.8 (ნოლი მთელი რვა).. აღნიშნულ ვალდებულებას „ემიტენტი“ უნდა ასრულებდეს ნებისმიერ დროს, მანამ, სანამ ძალაშია „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის დაფარვის ვალდებულება.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

„ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

„ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციებით“ ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა:

(I) “ემიტენტი” უზრუნველყოფს, რომ „პირობების“ მე-11 მუხლის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) შესაბამისად „ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, არ განახორციელებს შემდეგს: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა შემდეგი პირობები:

(i) ზემოხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების ან აქტივების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან, თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ყველა არსებით უფლებას და ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს „ობლიგაციების გამოშვების პირობებიდან“ ან/და ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან იმ აუცილებელი პირობების/სტანდარტების გათვალისწინებით, რაც საჭიროა ამგვარი უფლებებისა და ვალდებულებების „სამართალმემკვიდრისთვის“ გადაკისრების ნამდვილობისთვის; და

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „პირობების“ მე-11 მუხლის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) შესაბამისად „ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, „შვილობილი“ არ განახორციელებს შემდეგს: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, შესაბამისი „შვილობილის“

მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ, „სამართალმემკვიდრე“ არის კვლავ „შვილობილი“, რომელიც ტრანზაქციის შემდგომაც უნდა ინარჩუნებდეს ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(III) მიუხედავად ზემოთქმულისა, ნებისმიერი „შვილობილი“ უფლებამოსილია „ემიტენთან“ მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ტრანზქციების შედეგად წარმოქმნილი „შვილობილი“ ვალდებულია სრულად იკისროს „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

(IV) მიუხედავად ზემოთქმულისა, წინამდებარე 5(გ) ქვეპუნქტი არ შეეხება (i) მისი ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარად განკარგვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (ii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურიტიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან.

(დ) გასხვისება:

(I) მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, და „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტის („შერწყმა“) და 5(ე) ქვეპუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების შეუზღუდავად და გათვალისწინებით, „ემიტენტი“, არც თავად და არც რომელიმე მისი „შვილობილის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი აქტივები ან შემოსავლები, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“, გარდა „ემიტენტისა”. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

1. ტრანზაქცია ან/და ტრანზაქციათა ერთობლიობა, უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე, არ აღემატება „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10%-ს (ათი პროცენტს);
2. ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან ან/და ტრანზაქციათა ერთობლიობასთან მიმართებით, როდესაც ჯამურად ხდება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10%-ზე (ათ პროცენტზე) მეტის გასხვისება, „ემიტენტი“ „ობლიგაციონერებს“ მიაწვდის „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნას იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და მოიპოვებს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) წინასწარ წერილობით თანხმობას, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს).

ნებისმიერ შემთხვევაში, „ემიტენტის“ მიერ მატერიალური აქტივების გასხვისების შემთხვევაში, მიღებული ფულადი სახსრების არანაკლებ 90% (ოთხმოცდაათი პროცენტი) მიღებული უნდა იქნეს ქეშის სახით და გამოყენებული უნდა იყოს (i) წმინდა დავალიანების შემცირების მიზნით ან (ii) სხვა აქტივში რეინვესტირებისთვის.

ამავდროულად, წინამდებარე 5(დ) ქვეპუნქტი არ შეეხება შემდეგს:

(i) ნებისმიერი იმ აქტივის ან ქონების (მათ შორის ფულის და ფასიანი ქაღალდების) ნებისმიერ გადაცემას, იჯარას, გასხვისებას ან სხვა ფორმით განკარგვას, რომელიც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას“

(ii) „ემიტენტის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში ქონების გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;

(iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განახორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, ინვესტიციებს და მსგავს აქტივობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისათვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არიან „ემიტენტთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს), „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია” (ან ტრანზაქციების სერია) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „პირობების“ 5(დ) ქვეპუნქტით („გასხვისება“) გათვალისწინებული 10%-იანი ზღვარი და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვრცელდება წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზეც“.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (I) და (II) ქვეპუნქტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;

(გ) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან „ემიტენტის“ საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სუბორდინირებული სესხი ან სხვა დაფინანსების სუბორდინირებული საშუალება;

(დ) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში

ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტისთვის“ ან მისი „შვილობილისთვის“, როგორიც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ).

(ვ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:

„ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილებმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებაან დაკისრებულია მის შემოსავალზე, მოგებაზე ან ქონებაზე, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ან მის „შვილობილს“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ მოეთხოვება „გადასახადების“ ან მსგავსი მოთხოვნების გადახდა, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული შესაბამისი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა რელევანტური მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი თანხა, სხვა ასეთ დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავს მოთხოვნებთან ერთად, არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 1%-ს (ერთი პროცენტს).

(ზ) აკრძალული გადახდები:

(I) ემიტენტმა არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ არ) (ზ.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით) მათ შორის „დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების“ ფარგლებში, გარდა ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს საკუთარი კაპიტალის ან წილის შეძენა თუ ასეთი შეძენა აღემატება კომპანიის კაპიტალის ან წილის 5%-ს (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ, ემიტენტის „შვილობილი კომპანიისათვის“. ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია (ზ.I) პუნქტით მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“ იმ შემთხვევაში, თუ:

(i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შორის, უნდა სრულდებოდეს „პირობების“ 5(თ) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები;

(ii) (ა) ასეთი გადახდის შედეგად „DSCR“ იქნება 1.2-ზე ნაკლები; ან (ბ) გაიცემა არაუმეტეს წლიურად 500,000 ლარის დივიდენდი (წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, აირჩიოს ის ვერსია, რომლიც მოცულობაც წარმოადგენს მითითებულ ორ მაჩვენებელს შორის უფრო მაღალს); ან

(iii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება „ემიტენტის“ კორექტირებული კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50% (ორმოცდაათ პროცენტს) (რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებიდან) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2026 წლის 1 იანვარსდა სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს.

*DSCR - წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, სესხის მომსახურების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: A/B, სადაც:

A არის უკანასკნელი ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვის პერიოდის ბოლოს დაანგარიშებულ “EBITDA”-ს გამოკლებული (1) „ემიტენტის“ კაპიტალური დანახარჯები (გარდა კაპიტალური დანახარჯებისა, რომლის დაფინანსებაც მოხდა სესხით/კრედიტით ან/და დამფუძნებლის მიერ „ემიტენტის“ კაპიტალში შენატანით) , (2) წმინდა საბრუნავი კაპიტალის ზრდა (ან დამატებული წმინდა საბრუნავი კაპიტგალის შემცირება), (3) გაცემული დივიდენდები, და (4) გასაცემი დივიდენდები (პრო-ფორმა სახით); ხოლო

B არის გადასახდელი საპროცენტო ხარჯისა და დასაფარი ამორტიზებადი სესხების/კრედიტების ძირი თანხის ჯამი. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, DSCR-ის კალკულაციის მიზნებისათვის, წმინდა საბრუნავი კაპიტალი

წარმოადგენს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, სავაჭრო დებიტორული დავალიანების, გადახდილი ავანსების და სხვა მიმდინარე აქტივების ჯამს გამოკლებული სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

(II) ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, "აკრძალულ გადახდებში" (არც DSCR-ის კალკულაციის და არც „პირობების" 5(ზ)(I)(iii) ქვეპუნქტის მიზნებისთვის) არ გაითვალისწინება „ობლიგაციების" "გამოშვების თარიღამდე" გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები.

(თ) „ვალდებულება"

(I) „ემიტენტს" ეკრძალება, რომ მან („ემიტენტმა") ან/და „ემიტენტის" „შვილობილმა კომპანიებმა" პასუხისმგებლობა აიღონ ან სხვა სახით გახდნენ ვალდებულნი ნებისმიერი სახის „ფინანსურ ვალდებულებაზე", თუ:

a. ამგვარი „ფინანსური ვალდებულება" გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის" დადგომას; ან

b. „გამოსყიდვის თარიღამდე", ნებისმიერი „ანგარიშგების თარიღზე" „ემიტენტისა" და მისი „შვილობილ(ებ)ის" „ფინანსური ვალდებულებების" ოდენობა „ემიტენტისა" და მისი „შვილობილ(ებ)ის" „IFRS"-ის მიხედვით დათვლილ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო 12 თვის „EBITDA"*-ს მაქსიმუმ 4.0-ჯერ აღემატება

*EBITDA (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization) - კომპანიის წმინდა მოგებას დამატებული მოგების გადასახადი, ფინანსური ხარჯებიცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი და საქმიანობიდან მიღებული სხვა ზარალი. აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშებისას „ემიტენტის" მიერ გახსნილი საკრედიტო ხაზის ფარგლებში წარმოშობილი „ფინანსური ვალდებულება"/„ფინანსური ვალდებულებები" არ იქნება მხედველობაში მისაღები იმ მოცულობით, რომელიც არ აღემატება 0.5x EBITDA-ს.

(ii) წინამდებარე (თ) პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ეხება „ემიტენტსა" და მის „შვილობილ(ებ)ს" შორის და „ემიტენტის" „შვილობილებს" შორის „ფინანსურ ვალდებულებებს".

(iii) „ფინანსური ვალდებულებები" ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან" მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

1. ამგვარი „პირის" მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანებას, გარდა ფულით უზრუნველყოფილი დავალიანებებისა იმის გათვალისწინებით, რომ „ემიტენტის" მიერ გახსნილი საკრედიტო ხაზის ფარგლებში წარმოშობილი „ფინანსური დავალიანება" კალკულაციაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ იმ ნამეტით, რაც აღემატება 0.5x EBITDA-ს;

2. ამგვარი „პირის" ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება „ობლიგაციებით", სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით.

3. „IFRS"-ის შესაბამისად აღიარებულ სხვა ფინანსური ვალდებულება.

4. თავდებობას, გარანტიას და გარე-საბალანსო ვალდებულებას.

(ი) ინფორმაციის გამჟღავნება:

(I) „ემიტენტი" კისრულობს ვალდებულებას:

(i) ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა" და „ფასიანი ქაღალდების კანონის" მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს „ემიტენტის" აუდირებული წლიური ანგარიშგება;

(ii) ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 30 აგვისტოსი, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" სტანდარტებისა და „ფასიანი ქაღალდების კანონის" მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს განვლილი 6 (ექვსი) თვის „ემიტენტის" არააუდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება;

(iii) დაიცვას „ფასიანი ქაღალდების კანონით" და მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა მიმდინარე თუ პერიოდული საანგარიშგებო ვალდებულებები;

(II) ამ მუხლის მე-5(ი)(i) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ჩაითვლება, რომ „ემიტენტმა" „ობლიგაციონერებს" მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღნიშნულ ინფორმაცია გასაჯაროვდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

(III) თუ „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 20%-ს ან მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლიათ „ემიტენტისგან“ წერილობით მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. წერილობით მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით. თუ აღნიშნული „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ეხება „ემიტენტის“ მიერ „პროსპექტით“ გათვალისწინებული რომელიმე კოვენანტის დარღვევას, „ემიტენტი“ დამატებით ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ მიაწოდოს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი სერთიფიკატი (დასტური) კოვენანტებთან შესაბამისობის თაობაზე.

(კ) კანონთან შესაბამისობა:

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი, ისევე როგორც მისი „შვილობილ(ებ)ის“ საქმიანობა ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

(ლ) დაზღვევა:

„ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილებმა“ თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება, მათში არსებულ მარაგებთან ერთად, რომლის დაზღვევაც ბაზარზე ხელმისაწვდომია გონივრული პირობებით, უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც, მათი შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.

(მ) საქმიანობის ცვლილება:

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით. ამასთან, „ჯგუფის“ მიერ ზოგიერთი მარცვლეულის, მათ შორის სოიოს, საბითუმო ყიდვა/გაყიდვა მიიჩნევა „ჯგუფის“ ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობად და მისი განხორციელება არ ჩაითვლება საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ცვლილებად.

6. საპროცენტო სარგებელი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თუ „ემიტენტი“ არ გამოისყიდის „ობლიგაციებს“ დაფარვის თარიღამდე, ობლიგაციას ერიცხება საპროცენტო სარგებელი „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებულ ფარგლებში. ამასთან, საბოლოო საპროცენტო სარგებლის დადგენა მოხდება „პროსპექტის“ ამ თავის („ობლიგაციების გამოშვების პირობების“) მე-2 მუხლის (ა) პუნქტში („ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა“) მითითებული წესით, რაც აისახება საბოლოო პროსპექტში. დარიცხული საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მიხედვით დადგენილი პერიოდულობით და „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ დადგენილი სარგებლის (პროცენტის) გადახდის თარიღებში (შემდგომში „პროცენტის გადახდის თარიღი“). დარიცხვა მოხდება მათი დაფარვის / გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარ ობლიგაციაზე გადასახდელი თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერისათვის“.

თუ პროცენტის დათვლა ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 360 დღის საფუძველზე.

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

(ბ) ანგარიშსწორება და პროცენტის გადახდა:

„ობლიგაციებზე“ შეწყდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გამოსყიდვის ვადის დადგომისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება, რომ არასამართლიანად ხდება „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნების ხელის შეშლა ან უარყოფა. ამ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ შეწყდება, არამედ გაგრძელდება მანამ, სანამ (i) ფაქტობრივად მოხდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ან (ii) შეტყობინება გაიგზავნება „ობლიგაციონერებთან“ იმის შესახებ, რომ გამოსყიდვისთვის საჭირო თანხები გადაეცა „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“.

ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამის ვალუტაში პროცენტის გადახდის თარიღზე „ობლიგაციონერებისა“ და „ანგარიშის მწარმოებლის“ სასარგებლოდ „განთავსების აგენტთან“ მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. „ობლიგაციონერებმა“ და „ანგარიშის მწარმოებელმა“ უნდა უზრუნველყონ „დეპოზიტარისთვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „დეპოზიტარი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ მოთხოვნის მიუხედავად, ანგარიშსწორების თარიღამდე, 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი “განთავსების აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მომსახურების საკომისიოები. ასევე, იმ შემთხვევაში თუ შესაბამის ვალუტაში ანგარიში არ არის გახსნილი, შესაძლოა დაიქვითოს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებული საკომისიოები და/ან ხარჯები.

ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის განაწილება „ობლიგაციონერებზე“ შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ძირი თანხის და დარიცხული პროცენტის სრულად დაფარვისთვის საჭირო სახსრები.

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.

(გ) საპროცენტო განაკვეთი

თითოეულ „ობლიგაციას“ პროცენტი დაერიცხება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტით განსაზღვრული განაკვეთის მიხედვით.

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“= მრიცხველი / 360

მრიცხველის ფორმულა:

(1) თუ D1=31, მაშინ D1=30

(2) თუ D2=31, მაშინ D2=30

(3) თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება

(4) მრიცხველი = (D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1),

სადაც “D” ნიშნავს დღეს, “M” - თვეს, “Y” - წელს.

პროცენტის დარიცხვა პირველ საპროცენტო პერიოდზე მოხდება „ობლიგაციის“ გამოშვების თარიღიდან, ხოლო შემდგომ პერიოდში წინა პროცენტის გადახდის თარიღიდან ან ანგარიშსწორების თარიღიდან (წინამდებარე პირობების მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როდესაც თითოეული „ინვესტორი“ ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღამდე ან გამოსყიდვის თარიღამდე (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ პროცენტის გადახდის თარიღი გადაიწევს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით).

თუ ობლიგაციებთან დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე პირობების შესაბამისად, არ იქნება 0.01 დოლარის ან ევროს ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 დოლარის ან ევროსაჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 დოლარის ან ევროს დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ ფიქსირებული პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „ობლიგაციონერებისთვის“ გაგზავნამდე.

7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

(ა) გამოსყიდვა:

„ემიტენტს“ უფლება აქვს “დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ შესთავაზოს „ობლიგაციონერ(ებ)ს“ გადაუხდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის გზით „ობლიგაციების“, შესაბამისი ოდენობის (შესაძლოა ნაწილობრივადაც), გამოსყიდვა. აღნიშნულ შემოთავაზებაზე „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისათვის გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შედეგად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად მხოლოდ „ემიტენტის“ შეთავაზებაზე შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში და აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება ან უარის გაცხადება წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ აბსოლუტურ და უპირობო დისკრეციას. თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შეძენილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება ”დაფარვის დათქმულ თარიღზე”, როგორც განსაზღვრულია „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. დაუშვებელია „ობლიგაციების“ განაღდება ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია „პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:

ემიტენტის შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ობლიგაციონერებისთვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ

საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე „ემიტენტს“ წერილობით დაუდასტურეს „ობლიგაციონერთა“ იმ უმრავლესობამ, რომლებიც არიან განთავსებული „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების არანაკლებ 75%-ის მესაკუთრეები, რომ მათ უწევთ, ან მოუწევთ გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(გ) გამოსყიდვის ოფცია:

„გამოშვების თარიღიდან“ „ემიტენტს“ შეუძლია, „ობლიგაციონერის“ თანხმობის გარეშე, ერთ ან რამდენიმე ჯერზე, ყველა „ობლიგაციონერისგან“ პროპორციის დაცვით, ან, იმ შემთხვევაში, თუ პროპორციული განაწილება პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისი დამრგვალების ან ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინებით, „ობლიგაციები“ გამოისყიდოს სრულად ან ნაწილობრივ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) და არა უმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე წინამდებარე „პირობების“ მე-14 პუნქტით („შეტყობინებები“) გათვალისწინებული წესის დაცვით მიწოდებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ქვემოთ მითითებული გამოსყიდვის ფასებით (გამოხატული ძირითადი თანხის პროცენტებში), რომლებსაც ემატება გამოსყიდულ „ობლიგაციებზე“ გამოსყიდვის შესაბამის თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ გამოსყიდვა ხორციელდება ქვემოთ მითითებულ თარიღებზე ან მათ შემდეგ („სააღრიცხვო თარიღზე“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ შესაბამის „პროცენტის გადახდის თარიღზე“ პროცენტის მიღების უფლების უპირატესობის გათვალისწინებით). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ემიტენტის“ აღნიშნული შეტყობინება, სულ მცირე, გაითვალისწინებს ინფორმაციას გამოსასყიდი „ობლიგაციების“ რაოდენობის/მოცულობის, გამოსყიდვის ფასის, გამოსყიდვისა თარიღის, ანგარიშსწორების საორიენტაციო თარიღის და, ნაწილობრივი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მიდგომის შესახებ.

თარიღები	გამოსყიდვის ფასი
„გამოშვების თარიღიდან“ 12 (თორმეტი) თვემდე	ნომინალური ღირებულების 102.0%
„გამოშვების თარიღიდან“ 12 (თორმეტი) თვის შემდეგ	ნომინალური ღირებულების 101.0%
„დაფარვის თარიღამდე“ ბოლო 6 (ექვსი) თვიდან 3 (სამი) თვემდე, ნებისმიერ დროს	ნომინალური ღირებულების 100.5%
„დაფარვის თარიღამდე“ ბოლო 3 თვის განმავლობაში, ნებისმიერ დროს	ნომინალური ღირებულების 100%

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ემიტენტი“ ვერ გადაიხდის გამოსყიდვის ფასს, პროცენტის დარიცხვა შეწყდება „ობლიგაციებზე“ ან მის იმ ნაწილზე, რომლებთან დაკავშირებითაც განხორციელდა გამოსყიდვის უფლება შესაბამისი გამოსყიდვის თარიღებისთვის.

ნებისმიერი გამოსყიდვა და შეტყობინება, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, შეიძლება დაექვემდებაროს ერთ ან რამდენიმე წინაპირობას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ვალდებულების“ წარმოშობას, რომლიდან შემოსავალიც გამოყენებული იქნება „ობლიგაციების“ გამოსასყიდად). გარდა ამისა, თუ ასეთი გამოსყიდვა ან შეტყობინება ექვემდებარება ერთი ან რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილებას, ასეთ შეტყობინებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გამოსყიდვის თარიღი შეიძლება გადაიდოს მანამ, სანამ რომელიმე ან ყველა ეს პირობა დაკმაყოფილდება, ან ასეთი გამოსყიდვა შეიძლება არ მოხდეს და ასეთი შეტყობინება შეიძლება გაუქმდეს, თუ რომელიმე ან ყველა ასეთი პირობა არ იქნება დაკმაყოფილებული გამოსყიდვის თარიღისთვის ან ამგვარად გადავადებული გამოსყიდვის თარიღისთვის.

(დ) მიყიდვის ოფცია:

„კონტროლის ცვლილების“ შემთხვევაში, თითოეულ „ობლიგაციონერს“ ექნება უფლება მოსთხოვოს „ემიტენტს“ მისი კუთვნილი „ობლიგაციების“ სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდვა. „ობლიგაციონერმა“ აღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით წერილობით უნდა აცნობოს „ემიტენტს“ შესაბამისი მოთხოვნის შესახებ წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო გამოსყიდვის პროცედურა და ანგარიშსწორება განხორციელდება „პირობების“ მე-14 პუნქტით („შეტყობინებები“) გათვალისწინებული წესის დაცვით მიწოდებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე

ამ პუნქტის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ ნიშნავს: (ა) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ: (1) „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ქონების ან აქტივის (მთლიანად აღებული) ნებისმიერი სხვა „პირისთვის“ გადაცემას, ან (2) (i) „ემიტენტის“ წილის 50.0%-ის ან მეტის, ან (ii) „ემიტენტის“ ხმის უფლებების 50.0%-ის ან მეტის (მათ შორის, მინდობით, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად), თითოეულ შემთხვევაში „აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირისთვის“ გადაცემას; ან (3) „ემიტენტის“ ნებისმიერი ოდენობის ხმის უფლებების (მათ შორის, მინდობით, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად), თითოეულ შემთხვევაში „აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირისთვის“ გადაცემას, რაც ასეთ „პირს“ დირექტორის, ან დირექტორების საბჭოში უმრავლესობის, არჩევის უფლებას ანიჭებს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით და წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვალდებულების გარეშე, შესაძლოა განხორციელდეს „ემიტენტის“ 33,3% წილის მქონე პარტნიორის - შპს „ნუტრიმაქს ჰოლდინგის“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, ს/ნ: 404612665) მიერ მისი წილი ნახევარის (16.65%) მეორე 33.3% წილის მქონე პარტნიორის - ხათუნა ლიპარტელიანის (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01008032822) სახელზე გასხვისება, რაც წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის არ ჩაითვლება „კონტროლის ცვლილებად“.

(ე) გამოსყიდვის სამართლებრივი შედეგები

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ნაწილობრივ ან სრულად გამოსყიდვის შემთხვევაში, ისინი ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქაღალდებად, რაც ნიშნავს, რომ (ა) „ემიტენტს“ არ ექნება „ობლგაციონერის“ სტატუსი და ვერ განახორციელებს „ობლიგაციონერის“ წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებულ რომელიმე უფლებას; და (ბ) მას არ ექნება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ფინანსური მოთხოვნა.

8. გადახდები

(ა) ანგარიშსწორება:

(I) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გაანგარიშება მოხდება იმ „ინვესტორების“ სასარგებლოდ, რომლებსაც საკრედიტო ნაშთი აქვთ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე, 19.00 საათის მდგომარეობით (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“). „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი ემისიის ვალუტაში, „სააღრიცხვო თარიღისთვის“ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორებმა“ უნდა უზრუნველყონ „ანგარიშის მწარმოებლის“ ან/და „დეპოზიტარისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც ემიტენტი, „დეპოზიტარი“, „ანგარიშის მწარმოებელი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ „ანგარიშის მწარმოებელს“ ან/და „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „დეპოზიტარი“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(II) თუ „ობლიგაციონერის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო / საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშის მწარმოებელთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ საბანკო ანგარიში არ არის შესაბამისი ემისიის ვალუტაში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(III) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, ემიტენტი ან/და გადახდის განმახორციელებელი უფლებამოსილია ასეთი ნაკლული თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(IV) ემიტენტის ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ ან/და „დეპოზიტარის“ მოთხოვნით, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამის გადახდის თარიღამდე ობლიგაციებით მეორადი ვაჭრობა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი” და „დეპოზიტარი“ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და“ პროსპექტის“ ბოლოს. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, “განთავსების აგენტი” და “დეპოზიტარი” წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტის“ და შეთავაზების მიზნებისათვის, და ისინი არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ ან/და “განთავსების აგენტთან” ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ან/და „განთავსების აგენტი”. ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 („შეტყობინებები“) პუნქტით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) გაანგარიშება და გადახდა:

ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მიერ. ამასთან, „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას ემიტენტისათვის. „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება ემიტენტსა და ცენტრალურ დეპოზიტარს.

ემიტენტი ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე ერთი სამუშაო დღით ადრე „კალკულაციის და გადახდის აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები აშშ დოლარში ან/და ევროში (შესაბამისი „ობლიგაციების“ დენომინაციის გათვალისწინებით) და მისცეს დავალება „კალკულაციის და გადახდის აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „კალკულაციის და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, ემიტენტის ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ობლიგაციებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არ არსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ემიტენტს და „ობლიგაციონერს“.

ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს თითოეულ „ობლიგაციონერს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციის და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(დ) ფისკალური კანონმდებლობა:

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ.

10. დეფოლტის შემთხვევები

(I) თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „ობლიგაციონერები“, “ობლიგაციონერთა“ კრების მიერ მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე, უფლებამოსილები „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:

„ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ/ვერ ასრულებს „პროსპექტით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი)დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი:

(I) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) შესაბამის დაფარვის შეთანმებულ ვადამდე გადასახდელი რომელიმე დეფოლტის შემთხვევის მიზეზით (როგორც განსაზღვრულია), ან

(II) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულების“ გადახდა არ მომხდარა განსაზღვრულ ვადაში, ან შესაბამის შემთხვევებში, თავდაპირველად დადგენილი საშეღავათო პერიოდის გათვალისწინებით;

თუ „პირობების“ ამ მე-10(გ.I) და (გ.II) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ამგვარი შეუსრულებელი შესაბამისი “ვალდებულებ(ებ)ის” ერთი ან რამდენიმე შემთხვევისთვის ჯამური მოცულობა „ობლიგაციონერების“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ [2]%-ს (ორ პროცენტს); ან

(დ) გადახდისუუნარობა:

ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

(I) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ დაიწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის პროცედურას;

(II) ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ საწინააღმდეგოდ განცხადების აღძვრა გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყებისთვის, თუკი ასეთ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ან

(III) „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკების წარმოება „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან

(IV) ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიმართ, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას; ან

(V) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს ან შეუძლებელია მისთვის დროულად გადაიხადოს ვადამოსული ვალდებულებები; ან

(VI) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას; ან

(VII) „ემიტენტის“ აქტივები (განურჩევლად მათი ვადიანობისა) ვეღარ ფარავს მისივე ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ჯამს, განურჩევლად მათი ვადამოსულობისა (აღნიშნულ შემთხვევაში გადახდისუუნარობის დადგენისათვის ემიტენტის მთლიანი აქტივების ღირებულება გაიანგარიშება სალიკვიდაციო ბალანსზე რიცხული თითოეული აქტივის წმინდა ღირებულების ჯამით); ან

(VIII) „ემიტენტს“ სალიკვიდაციო ბალანსით ერიცხება დაუფარავი მოთხოვნები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ამ მოთხოვნების დასაფარავად; ან

(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:

„ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ [2]%-ს (ორ პროცენტს), ან ამგვარი აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს (ა) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან „ემიტენტის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, (ბ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ სააქციო კაპიტალის სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20% (ოცი პროცენტი) ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები:

არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან ზომა (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობის, განკარგულების, მოწონების, ავტორიზაციის, გამონაკლისის, მიმართვის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა ავტორიზაციის მოპოვება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, გადახდის ვალდებულებების შესრულება, ასევე ამ „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციები“, „პროსპექტი“ დასაშვები იქნას დავების განმხილველ ნებისმიერ ორგანოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

(I) „ემიტენტი“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“ ან „პროსპექტიდან“ გამომდინარე რომელიმე მატერიალურ ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი მატერიალური ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო,

ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

(II) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას, რომ:

ა) შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს ობლიგაციონერებს“ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

ბ) წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში და „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში “ობლიგაციონერებს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“ ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

ა) „ობლიგაციონერების“ კრებები

„ობლიგაციონერთა“ მიერ წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებულ და განთავსებულ „ობლიგაციებთან“ ან/და „პროსპექტის“ პირობებთან ან/და წინამდებარე 11(ა) პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება „ობლიგაციონერთა“ „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ სახით. აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებებს დაქვემდებარებული საკითხების კატეგორიები, კრების გადაწყვეტილებაუნარიანობისათვის საჭირო კვორუმი და გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობები განისაზღვრება წინამდებარე 11(ა) პუნქტით.

„ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილება („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ ან/და „სპეციალური გადაწყვეტილება“) და „ობლიგაციონერების“ მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილებით შემდგარი ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილება („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ ან/და „სპეციალური გადაწყვეტილება“), ძალაში შედის „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად ამგვარი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ. „ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს „ემიტენტს“, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 2 (ორი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს ასეთი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. ნებისმიერი მიზეზით გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება „ემიტენტისთვის“ გადაწყვეტილების მიწოდებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ გასვლის შემდეგ.

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“:

„ობლიგაციონერების“ ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება შესაბამის კრებაზე დამსწრე ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით (შემდგომში - „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“).

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და კრების მოწვევის დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს დაუფარავი „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის 50%- ზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ მიმართ - ორ ან მეტ პირს, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციონერს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა. ნებისმიერი სათანადოდ

მიღებული „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ მბოჭავია „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 51% (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას“. გადაწყვეტილების ინიციირების თაობაზე უნდა ეცნობოთ „ობლიგაციონერებს“ კრების მოწვევისთვის დადგენილ ვადებში. შეტყობინებას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების პროექტი და იგი უნდა გაეგზავნოს ყველა „ობლიგაციონერს“ „პირობების“ მე-14 პუნქტით (*„შეტყობინებები“*) დადგენილი წესით. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ. წინამდებარე შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება კრების მოწვევის გარეშე და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება კრების მოწვევასთან დაკავშირებული ნორმები (გარდა შეტყობინების ვადებისა). ამასთან, აღნიშნული გულისხმობს, რომ „ობლიგაციონერები“ ინფორმირებული იქნებიან წერილობით გადასაწყვეტი საკითხების შესახებ, თუმცა მათ შესაძლოა, (ა) საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია მითითებულ ვადებში; ან (ბ) მათმა ხმამ ვერ იქონიოს გავლენა „ჩვეულებრივ გადაწყვეტილებაზე“.

„ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს „ემიტენტს“, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 2 (ორი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს ასეთი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. ნებისმიერი მიზეზით გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება „ემიტენტისთვის“ გადაწყვეტილების მიწოდებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ გასვლის შემდეგ.

„სპეციალური გადაწყვეტილება“:

ქვემორე (i)-(xi) ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით გადაწყვეტილების მიღებას (შემდგომში - „სპეციალური გადაწყვეტილება“) იმ პირობით, რომ (i)-(viii) და (x) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით „სპეციალური გადაწყვეტილება" მიიღება კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით, იმ დათქმით, რომ თუ „ემიტენტი" კრებას დაესწრება, გადაწყვეტილების მისაღებად მისი თანხმობა აუცილებელია შემოთავაზებულ საკითხზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე განსახილველად გამოტანილია მხოლოდ (ix) ან/და (xi) საკითხები, ან „ემიტენტი“, ჯეროვნად მოწვევის მიუხედავად, არ დაესწრება შესაბამის კრებას, სადაც განსახილველად გამოტანილია, მათ შორის, (i), (ii), (iii), (iv), (v), (vi), (vii), (viii) ან/და (x) საკითხი, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნება „ემიტენის“ თანხმობის გარეშე.

(i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილება;

(ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით ნებისმიერი ძირი თანხის ან „პროცენტის გადახდის თარიღის“ ცვლილება;

(iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილება;

(iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან საპროცენტო სარგებლის განაკვეთის / პროცენტის ოდენობის ცვლილება;

(v) თანხმობის განცხადება „ ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე;

(vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი „კანონმდებლობით“);

(vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება;

(viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება;

(ix) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება;

(x) წინამდებარე „პირობებში“ ამ პუნქტის შესაბამისად ცვლილებების და დამატებების შეტანაზე თანხმობის მიცემა ან/და „ემიტენტის“ კონკრეტულ ტრანზაქციაზე, რომელიც იზღუდება/აკრძალულია „პირობებით“ გათვალისწინებული დათქმებით, თანხმობის მიცემა;

(xi) სხვა ნებისმიერი და ყველა ისეთი საკითხი, რომელსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე.

ზემოთ მითითებული (i)-(xi) საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და კრების მოწვევის დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

დაუფარავი „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მესაკუთრე „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „სპეციალური გადაწყვეტილება“. გადაწყვეტილების ინიციირების თაობაზე უნდა ეცნობოთ „ობლიგაციონერებს“ კრების მოწვევისთვის დადგენილ ვადებში. შეტყობინებას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების პროექტი და იგი უნდა გაეგზავნოს ყველა „ობლიგაციონერს“ „პირობების“ მე-14 პუნქტით (*„შეტყობინებები“*) დადგენილი წესით. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ. წინამდებარე შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება კრების მოწვევის გარეშე და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება კრების მოწვევასთან დაკავშირებული ნორმები (გარდა შეტყობინების ვადებისა). ამასთან, აღნიშნული გულისხმობს, რომ „ობლიგაციონერები“ ინფორმირებული იქნებიან წერილობით გადასაწყვეტი საკითხების შესახებ, თუმცა მათ შესაძლოა, (ა) საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია მითითებულ ვადებში; ან (ბ) მათმა ხმამ ვერ იქონიოს გავლენა „სპეციალურ გადაწყვეტილებაზე“.

გ) „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს“ („ჩვეულებრივ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული ან/და ნებისმიერ „სპეციალურ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული კრების შემთხვევაში) ან/და იმ „ობლიგაციონერებს“ „ჩვეულებრივ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული ან/და ნებისმიერ „სპეციალურ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული კრების შემთხვევაში), რომლებიც ერთობლივად არიან „ობლიგაციების“ დაუფარავი ძირი თანხის სულ მცირე 10%-ის მესაკუთრე (შემდგომში - „კრების მოწვევის ინიციატორი“) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა“ „ობლიგაციონერებს“ ან/და „ემიტენტს“ უნდა გაუგზავნოს შეტყობინება სულ მცირე 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღით“ ადრე. შეტყობინება უნდა იქნას გაგზავნილი „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს“ ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები“ ან აგენტები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთიდან ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ემიტენტი“ დანიშნავს თავმჯდომარეს. განმეორებით ჩატარებული კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმოადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვის დაწყებისას კვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრებისთვის დანიშნული დროიდან 15 წუთის გასვლის შემდეგ არ არის კვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, კრება უნდა გადაიდოს იმ თარიღამდე და იმ დროსა და ადგილას, რომელსაც გადაწყვეტს თავმჯდომარე და რომელიც არ უნდა იყოს 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღეზე“ ადრე და 42 (ორმოცდაორი) „სამუშაო დღეზე“ გვიან.

გ) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავმჯდომარის, „ემიტენტის“, ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ იმ დროისათვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 2%-ს (ორი პროცენტი). ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) და დროს (დაუყოვნებლივ ან კრების გადადების შემდეგ), როგორც განსაზღვრავს თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი ფარული კენჭისყრის ჩატარება. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუშლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხის შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

კრებაზე ყველა პირს აქვს 1 (ერთი) ხმა იმ თითოეულ „ობლიგაციაზე“, რომლის მესაკუთრეც არის ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს 1-ზე (ერთი) მეტი ხმა, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ იგი საჭიროებს კრების ან შემდეგი წარმატებული კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, მიჩნეული უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან შესაბამისი პროცედურები სათანადოდ განხორციელებულად.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა), მიღების შესახებ „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ, გახადოს ინფორმაცია საჯარო ამგვარი ცვლილების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

დ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

„პირობების“ მე-10 მუხლით („*დეფოლტის შემთხვევები*“) გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება, ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროებს „სპეციალურ გადაწყვეტილებას“, რომელიც მიღებული უნდა იქნას „პირობებით“ განსაზღვრული წესით.

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ უნდა შეიცავდეს მითითებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: (ა) „დეფოლტის გამოცხადების“ საფუძველი და მიღებული გადაწყვეტილება; და (ბ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირება, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებით.

12. აღსრულება

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებით „პირობების“ შესაბამისად მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე, თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია „ემიტენტის“ მიმართ დაიწყოს აღსრულების პროცესი და აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს როგორც ერთიანი წარმოების ფარგლებში, ისე დამოუკიდებლად, თითოეული „ობლიგაციონერის" მიერ დამოუკიდებლად წამოწყებული წარმოების ფარგლებში. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება საჭიროებს აღნიშნული გადაწყვეტილების „სპეციალური გადაწყვეტილების“ სახით მიღებას. ამასთან, სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებით „პირობების“ შესაბამისად მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

13. პუნქტის ბათილობა

„პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა რისშედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

14. **შეტყობინებები**

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ცენტრალურ დეპოზიტარს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ- ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება - მისი პირველად გასაჯაროების ან ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 “სამუშაო დღეს”.

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებლებს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებლები“ „ობლიგაციონერებს“ სათანადოდ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ.

„ობლიგაციონერის" მიერ სხვა „ობლიგაციონერ(ებ)ისთვის" შეტყობინების გაგზავნა (მათ შორის, კრების მოწვევის ან წერილობითი გადაწყვეტილების მიღების ინიცირების მიზნებისთვის) ხორციელდება „ემიტენტისა" და „ცენტრალური დეპოზიტარის" მეშვეობით. აღნიშნული მიზნით, ინიციატორი „ობლიგაციონერი" (ან მისი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებელი") წერილობით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) მიმართავს „ემიტენტს" შეტყობინების ტექსტის თანხლებით, ხოლო „ემიტენტი" ვალდებულია ამგვარი მიმართვის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) „სამუშაო დღისა" უზრუნველყოს შეტყობინების გადაგზავნა „ცენტრალური დეპოზიტარის" მეშვეობით წინამდებარე პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნული მიზნებისთვის შეტყობინების მიწოდებულად ჩათვლის თარიღი განისაზღვრება წინამდებარე პუნქტში ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებლებს“ ინფორმაციას „ობლიგაციებიონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (https://reportal.ge/; https://gse.ge/; https://tse.ge/; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;

ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;

დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;

ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: https://reportal.ge/;

ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: სსიპ საჯარო რეესტრის პორტალი და ანგარიშგების პორტალი (https://reportal.ge/);

ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან შესაბამისი საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი და ანგარიშგების პორტალი (https://reportal.ge/).

15. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია „პროსპექტთან“ ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე "პირობებში" გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

"აკრძალულ გადახდას" აქვს "პირობების" 5(ზ) პუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა.
"არსებითად უარყოფითი გავლენა" ნიშნავს მატერიალურ უარყოფით ცვლილებას ან მატერიალურ უარყოფით გავლენას (ა) ბიზნესზე, ქონებებზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვაგვარი), "ემიტენტის" ან "ჯგუფის" ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე; (ბ) "ემიტენტის" უნარზე, შეასრულონ მათი "ობლიგაციებით" ან "გარანტიებით" გათვალისწინებული ვალდებულებები; (გ) "ობლიგაციების" ან "გარანტიების" მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე.
„ანგარიშის მწარმოებელი" არის სს „გალტ ენდ თაგარტი" და ასევე სხვა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში. „დეპოზიტარი" არის სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (ს/ნ: 204935400).
"აფილირებული პირი" რომელიმე კონკრეტულ "პირთან" მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა "პირი", რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ "პირს" ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული "პირის" მიერ ან იმყოფება ამ "პირთან" ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა "პირი", რომელიც არის ამ კონკრეტული "პირის", მისი "შვილობილიის" ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა "პირის" დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.
"გადავადებული განთავსების თარიღი" ნიშნავს ნებისმიერ თარიღს "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "შეთავაზების პერიოდის" დასრულებამდე, როდესაც ხდება "ობლიგაციის" განთავსება "გადავადებული განთავსების ფასით".
"გადავადებული განთავსების ფასი" ნიშნავს "ობლიგაციების" ნომინალური ღირებულებას დამატებული "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "ობლიგაციების" "გადავადებული განთავსების თარიღამდე" დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.
"გამოშვების თარიღი" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება „ობლიგაციების" გამოშვება, როგორც ეს დადგენილია "წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით" ან/და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით".
"განმეორებითი კრება" არის "ობლიგაციონერთა" განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი.
"დამოუკიდებელი შემფასებელი" არის "აუდიტორული კომპანია" ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა "ემიტენტის" მიერ და (ა) წარმოადგენს ნებისმიერს დიდი ოთხეული საბუღალტრო/აუდიტორული ფირმებიდან (Deloitte & Touche, Ernst & Young, KPMG ან PricewaterhouseCoopers და მათი წევრი ფირმები და ფილიალები), ან (ბ) დამტკიცებულ იქნება ობლიგაციონერთა კრების მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს "ემიტენტთან" "აფილირებული პირი".
"დაუფარავი" გულისხმობს ისეთ "ობლიგაციებს", რომლებიც განთავსებულია, მაგრამ არ მომხდარა მათი გამოსყიდვა, დათქმულ ვადამდე ან ვადამოსულობის გამო დაფარვა ან გაუქმება ამ "პირობების" შესაბამისად ("დაფარვა" განიმარტება შესაბამისად).

"დაფარვის დათქმული თარიღი" ან **"დაფარვის თარიღი"** ნიშნავს პროცენტის ან ძირის ნებისმიერი შენატანისთვის ნებისმიერი "ვალდებულების" სერიაზე ისეთ თარიღს, რომელზეც დაგეგმილია პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდა აღნიშნული "ვალდებულების" მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, მისი წარმოქმნის პირველი თარიღიდან წინამდებარე "პირობების" შესაბამისად და არ მოიცავს რაიმე პირობით ვალდებულებას აღნიშნული პროცენტის თუ ძირის თავდაპირველად დათქმულ ვადამდე გადასახდელად. "ობლიგაციებისთვის" მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებულ "დაფარვის თარიღს" განსაზღვრავს "წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი."

"ვალდებულება" ნებისმიერი „პირის" მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):

(ა) ამ „პირის" მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას,

(ბ) ამ „პირის" ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს „ობლიგაციებიდან", სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან,

(გ) ამ „პირის" ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან, საბანკო გარანტიებიდან, თავდებობის, საბანკო აქცეპტების ან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეულებრივი ბიზნეს- საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით,

(დ) ამ „პირის" ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით,;

(ე) სხვა „პირების" ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის" აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით", მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი" აღნიშნული სხვა „პირების" ვალდებულებებს,

(ვ) სხვა "პირების" ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის" მიერ, არაუმეტეს ამ „პირის" მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით,

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას,

(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებიმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან, და

(ი) ფინანსური იჯარის ვალდებულებას, IFRS 16-ის შესაბამისად;

(კ) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის" ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

(ა) – (კ) ქვეპუნქტებში ზემოხსენებული ვალდებულებები ჩაითვლება „ვალდებულებების“ ამ განსაზღვრებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ პირობით და იმ მოცულობით, თუ და რა მოცულობითაც აღნიშნული ვალდებულება გამოჩნდებოდა ასეთი „პირი“ IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ საბალანსო უწყისში ვალდებულებად.

„**თავისუფალი აქტივების კოეფიციენტი**“ ნიშნავს პროცენტულ გამოხატულებას, რომელიც ასახავს „თავისუფალი აქტივების“ საბალანსო ღირებულების შეფარდებას "ემიტენტის" ჯამური აქტივების საბალანსო ღირებულებასთან, რომელიც დაანგარიშდება უკანასკნელი ფინანსური წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისების საფუძველზე.

„**თავისუფალი აქტივები**“ ნიშნავს „ემიტენტის“ „ძირითად საშუალებებს“, რომლებიც თავისუფალია მოთხოვნის უზრუნველყოფის ნებისმიერი სანივთოსამართლებრივი საშუალებისაგან (ე.ი. გირავნობა-იპოთეკისაგან).

"კონტროლი ", წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს :

ა) (აქციების ფლობით, განკარგვის ან წარმომადგენლობის უფლებით ან სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად) იმის ძალაუფლება რომ:

i. შეეძლოს აქციონერთა კრებაზე მისაცემი მაქსიმალური ოდენობის ხმების ნახევარის განკარგვა ან განკარგვის გაკონტროლება; ან

ii. შეეძლოს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს ან ოფიცრების ექვივალენტი სრული შემადგენლობის ან მისი უდიდესი ნაწილის ნაშიშვნა ან გათავისუფლება;ან

iii. შეეძლოს საოპერაციო და ფინანსურ პოლიტიკებთან მიმართებაში ისეთი განკარგულებების გაცემა, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის, ან კომპანიაში მისი ექვივალენტი ორგანოსთვის; ან

ბ) კომპანიის გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტის ფლობას (კაპიტალის იმ ნაწილის გამოკლებით რომელსაც არ გააჩნია კომპანიის კაპიტალის გამოშვებასა თუ მოგების განაწილებაში მითითებულ ოდენობაზე მეტით მონაწილეობა).

"მარეგულირებელი კანონმდებლობა" ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობას.

"მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები" ან **"კონსოლიდირებული აქტივები"** ნიშნავს ნებისმიერ "პირთან" მიმართებით და განსაზღვრის თარიღისთვის, აღნიშნული "პირის“ და მისი კონსოლიდირებული "შვილობილების“ კონსოლიდირებულ ჯამურ აქტივებს, როგორც წარმოდგენილია აღნიშნული "პირის“ მიერ "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ მიხედვით მომზადებულ და გამჟღავნებულ უახლეს ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

"ნებადართული უზრუნველყოფა" არის:

(ა) „გამოშვებისა და განთავსების თარიღისთვის“ არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(ბ) „შვილობილის“ მიერ ემიტენტის, ან ემიტენტის სრულ საკუთრებაში მყოფი „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(გ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ემიტენტთან ან მის „შვილობილთან“, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა ემიტენტის „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოქმნილა ამგვარი შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ ვრცელდება ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შეძენილი „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);

(დ) ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ შეძენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შეძენასთან დაკავშირებით, და არ ვრცელდება რაიმე სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, შეძენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);

(ე) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გაიცემა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის, ან მხოლოდ ამ ქონების შეძენის და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების შეძენის ფასის, შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ან/და ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების “ოდენობას;

(ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი (ნეტინგი), რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბალანსის ურთიერთ გაქვითვის მიზნით;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც გაიცემა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან, ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივებისა და შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათ პროცენტს);

(თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათი ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის“ შესაბამისად;

(ი) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;

(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით ან/და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის ღონისძიება“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, (კ) პუნქტის მიზნებისთვის, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიის სასესხო პორტფელის დაგირავება ჩაითვლება „ნებადართულ უზრუნველყოფად“;

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (კ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ ჯამური ძირი თანხა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, არ აღემატება „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათი პროცენტს).

ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ზემოთ ჩამოთვლილი „ნებადართული უზრუნველყოფები“ დაშვებულია მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მათი არსებობა არ გამოიწვევს დოკუმენტის შესაბამისად დადგენილი „თავისუფალი აქტივების კოეფიციენტის“ დარღვევას.

"ობლიგაციონერი" / „ინვესტორი" ნიშნავს „ობლიგაციების" მესაკუთრეს.

"პირი" არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

"პოტენციური დეფოლტის შემთხვევა" ნიშნავს იმგვარ მოვლენას ან გარემოებას, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე შესაძლოა გახდეს "დეფოლტის შემთხვევა".

"ემისიის პროსპექტს", "წინასწარ პროსპექტს", "საბოლოო პროსპექტს", "წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტს", "საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს" , "შეთავაზებას" (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე "პირობებში" აქვს "ფასიანი ქაღალდების კანონის" შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.

"რეპო ოპერაცია" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ–გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

"სამართლიანი საბაზრო ღირებულება" ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის.

„**ძირითადი საშუალება**" ნიშნავს „ემიტენტის" ყველა მატერიალურ აქტივს, რომლებიც IFRS-ის შესაბამისად აღიარებულია როგორც ძირითადი საშუალება, მათ შორის მიწას, შენობებს, ქარხანა–საწარმოო ობიექტებს, მანქანა-მექანიზმებს, აღჭურვილობას, დამონტაჟებულ სისტემებსა და სხვა მსგავს საოპერაციო აქტივებს, გარდა: (i) IFRS 16-ის შესაბამისად აღიარებული გამოყენების უფლების აქტივებისა, თუ „ემიტენტი" პირდაპირ არ თვლის მათ ძირითად საშუალებად; (ii) გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივებისა; და (iii) სრულად ამორტიზებული აქტივებისა, რომელთა საბალანსო ღირებულება ნულოვანია.

"უზრუნველყოფის ღონისძიება" ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად აღნიშნული რეგისტრირებული, დაფიქსირებული ან სხვაგვარად აღრიცხული არის თუ არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პირობითი გაყიდვის ან სხვა საკუთრების შენარჩუნების ხელშეკრულების ჩათვლით, ნებისმიერი იჯარა, ნებისმიერი ოფცია ან სხვა შეთანხმება უზრუნველყოფის უფლების გაყიდვის ან გადაცემის შესახებ და ნებისმიერი განცხადებით მიმართვა ან შეთანხმება ფინანსირების შესახებ (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).

"ფასიანი ქაღალდების კანონი" ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

"ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები" ("IFRS") არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

„ფინანსური ვალდებულება" ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან" მიმართებით, ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე), ამგვარი „პირის" ყველა სახის ფინანსურ ვალდებულებას, მათ შორის: (ა) ამგვარი „პირის" მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად წარმოშობილ ყველა დავალიანებას, გარდა ფულით უზრუნველყოფილი დავალიანებებისა, იმ პირობით, რომ „ემიტენტის" მიერ გახსნილი საკრედიტო ხაზის ფარგლებში წარმოშობილი „ფინანსური დავალიანება" გათვალისწინებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც აღემატება 0.5x EBITDA-ს; (ბ) ამგვარი „პირის" ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან სხვა მსგავსი ხასიათის დოკუმენტებით; (გ) „IFRS"-ის შესაბამისად აღიარებულ ნებისმიერ სხვა ფინანსურ ვალდებულებას; და (დ) ამგვარი „პირის" მიერ ნაკისრ თავდებობებს, გარანტიებსა და გარე-საბალანსო ვალდებულებებს.

"ფისკალური პერიოდი" არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც "ემიტენტს" მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული დეფინიცია მოიცავს როგორც წლიურ აუდიტირებულ, ისე ნახევარწლიურ (12 კალენდარული თვის ჭრილში მომზადებულ) ფინანსურ უწყისებს.

"შეთავაზების დასრულების თარიღს" აქვს "შეთავაზების ძირითად პირობებში" განსაზღვრული მნიშვნელობა.

"შვილობილი" ნებისმიერ "პირთან" (შემდგომში "პირველი პირი") მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე "პირს" (შემდგომში "მეორე პირი") (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება "პირველი პირის" მიერ, ან (ბ) რომელშიც "პირველი პირი" პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს.

"ჯგუფი" გულისხმობს "ემიტენტს" და მის "შვილობილებს" ერთობლიობაში.

"გადასახადი" ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი წარმოშობილი (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.

"საქართველოს საფონდო ბირჟა" ("GSE") ნიშნავს სს "საქართველოს საფონდო ბირჟას".

„თბილისის საფონდო ბირჟა" („TSE") ნიშნავს სს „თბილისის საფონდო ბირჟას".

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათისა და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ტრანზაქციებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, უცხოურ საფონდო ბირჟებზე და სავალუტო ოპერაციებისთვის) თბილისში, საქართველოში;

„სამუშაო დღის კონვენცია“ ნიშნავს კორექტირებულ შემდგომ დღეს (“Modified Following”), რომლის მიხედვითაც „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად), გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო „სამუშაო დღე“ გადანაცვლებას ახდენს შემდეგ კალენდარულ თვეში, რა შემთხვევაშიც ასეთი „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადაინაცვლებს წინა „სამუშაო დღეს“.

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს თითოეულ პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღით“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს პროცენტის გადახდის თარიღამდე და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მთავრდება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღით“ ან თუკი „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი, ეს უკანასკნელი თარიღი (როდესაც „ობლიგაციები გახდება ვადამოსული და გადასახდელი), „სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ***„ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და განსხვისებასთან დაკავშირებით, ასევე – „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე.*** *მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.*

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით იმ დაშვებით, რომ პირი არ არის რეგისტრირებული შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი. ამასთანავე, გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და მიმღების ერთობლივ შემოსავალში არ ჩაერთვება „ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი იმ დაშვებით, რომ „ობლიგაცია“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში.

წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ითვლება აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

„ობლიგაციების“ რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) იბეგრება შესაბამისი გადასახადებით, კერძოდ, ფიზიკური პირის შემთხვევაში მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მიღებული მოგება (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით. იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთანავე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის „ობლიგაციების“ რეალიზაციის შემთხვევაში, მიღებული შემოსავლის გაცემისას საბროკერო კომპანიაა ვალდებული გადახდის წყაროსთან დააკავოს გადასახადი. აგრეთვე, ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ ორ წელზე მეტი ვადით ფლობისა და ეკონომიკურ საქმიანობაში არ გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე (იგულისხმება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან/და თბილისის საფონდო ბირჟაზე) სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტის) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, რომ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში